



# კეზლის კეზლახევი

34

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS



საქართველოს  
კულტურის  
ძეგლთა დაცვის  
საზოგადოება



მუგურული კარმეხაძე, აბაშის რაიონის სოფ. მარანი  
Усадьба, село Марани, Абашского района

სერია: „მათერიალური კულტურის ძეგლები“



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ქველის ქუთხარი

კრებული ოცდამეთერთხეტი



სერიის რედაქტორი — ოთარ თაყთაიშვილი  
Редактор серии — ОТАР ТАКТАКИШВИЛИ

რედაქტორი — გიორგი ჩიტაია

Редактор номера — ГЕОРГИЙ ЧИТАЯ

გამომცემის საერთაშორისო საფუძისებზე

---

საკრედიტო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, შალვა ამირანაშვილი, ანდრია  
კვამიში, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭვაძე (პ/მე. მდი-  
ვანი), ლალო გუდიაშვილი, ოთარ თაყთაიშვილი, თეო-  
ფურაზ კანდელაკი, ირაკლი ჯაჭარიაშვილი, ნიკო კაც-  
ხოველი, ლევან მატარაძე, ოთარ სანთელიძე, გიორგი  
ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

## სამეურნეო ნაგებობანი საქართველოში

საქართველოს ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ სამეურნეო ნაგებობათა საინტერესო ნიმუშები შემოგვინახა.

ჩვენი ქვეყანა სამეურნეო ნაგებობათა განსაკუთრებული სიუხვით ხასიათდება. სამეურნეო ნაგებობებიდან კონსტრუქციულ-მხატვრული დახვეწილობით, ამასთანავე ფართო გავრცელებით უთუოდ გამოირჩევა სამარცვლე ნაგებობები; ამ ნაგებობებს ხანგრძლივი ისტორიული ტრადიცია გააჩნია, იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მემინდერობასთან — ქართველი ხალხის უძველეს ეკონომიურ წინამძღვართან.

სამარცვლე ნაგებობათა არსებობის შესახებ უძველესი წერილობითი წყაროები არაპირდაპირ ცნობებს გვაწვდიან. ქსენოფონტეს (430—355/4 წწ. ჩ. წ.) აღნიშნული აქვს, რომ ელინებს მოსინიკების სახლებში პურის გაღვწილი და წინა წლის გაულეწავი თავთავის დიდი მარაგი უნახავთ.

ქართული წერილობითი მონაცემებიდან სამეურნეო ნაგებობებზე მნიშვნელოვან ნასალას იძლევა ნიკორწმინდის სიგელი (XI საუკ); მათ შესახებ ცნობები მოცემული აქვთ: არქ. ლამბერტს, ეან. შარდენს, ქრ. კასტელს, XVIII—XIX სს. მოგზაურებს: გიულდენშტედტს, ვიხენვალდს, კოსს, პაუქსტაუზენს. უფრო სრულ ცნობებს ვხვდებით ფრ. ბაუმპაუერის და მერცხაბერიის შრომებში.

სამეურნეო ნაგებობებს აგებულების სხვადასხვაობა ახასიათებს. ეს ძირითადად მათი დანიშნულების მრავალგვარობით აიხსნება. ამას ემატება კიდევ საქართველოს ცალკეულ მხარეთა თავისებურებანი, მშენებლობის ტრადიციები, რომელიც მხოლოდ ერთ მაკრო და მიკრო რაიონშია და სხვაგან იშვიათად გვხვდება, რასაკვირველია, კონკრეტული გარემოც თავის დაღს ასვამს. შეიძლება მაგალითად, რომ სასიმინდეთა უმრავლესობა აგებულია მალა—„საქროლაე“ ადგილზე, ხშირად უადგილობის გამო ნაგებობა ორსართულიანია, ქვემოთ ბეღელია და ზემოთ სასიმინდე. სრულიად სხვა ვითარებაა საქართველოს ბარში, იქ, სადაც ნაგებობა იგება სახლთან ახლოს ადვილად მისასვლელ ადგილზე; თან ისეთი მოცულობისა, რომ თავისუფლად დაიტევდა ხის რამდენიმე პატარა ნაგებობას (შდრ გურია-სამეგრელოში და ქვემო იმერეთში გავრცელებული სასიმინდეები და ქვ. სვანეთის პატარა სასიმინდეები) ეს არის პრინციპული განსხვავება, რომელსაც მთისა და ბარის სხვადასხვა პერიოდები ქმნიან. ეს ნაგებობები ძალზე ნაირნაირია, ყოველი ოჯახი ცდილობდა ეზრუნა გარეგანი ლაზათიანობისათვის. ქვემო სვანური და ზემო იმერული სასიმინდეები გამოირჩევიან მხატვრულ სახეთა რაობითა და კომპოზიციით.

მრავალრიცხოვანი მონაცემები (საველე მასალა, საარქივო და ლიტერატურული მონაცემები) შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვადგინოთ სამეურნეო ნაგებობათა ტიპოლოგია და განვსაზღვროთ თითოეული ტიპის გავრცელების ფარგლები.

1 მიწისზედა ნაგებობა

ა. ნ ა ლ ი ა, ბ. ბ ე ღ ე ლ ი, გ. ხ უ ლ ა, დ. ს ა ს ი მ ი ნ დ ე

II სახლისშიდა ნაგებობა — სათავსო



ა. ბეღელი, ბ. ხარო, გ. კიდობანი, დ. ამბარი

III მიწისქვეშა ნაგებობა

ა. ორმო, ბ. ხარო.

საქართველოს ბარში წარსული ყოფისათვის დამახასიათებელი იყო უმთავრესად მიწისზედა კომპლექსები. რეფორმამდელი პერიოდიდან მიმდინარე საუკუნის დასაწყისისათვის სამოსახლოში სახლთან ახლოს, ერთმანეთის გვერდზე იდგა; ნალია, ბეღელი ან ხულა და სასიმინდე. ასეთი დაგეგმარებით შემორჩენილმა ნაგებობებმა მცირე კონსტრუქციული ცვლილებებით მოაღწია XX საუკუნის მეორე ნახევრამდე და ახლა თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის.

მთაში: მთის რაჭაში, სვანეთში, აჭარაში, დასავლეთ საქართველოს ბარის სოფლების მთიან ზოლში, მთა-თუშეთში, ხევსურეთსა და ფშავეში, მთიულეთ-გუდამაყარში ზვეში; საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ფარგლებში — მესხეთ-ჯავახეთში, წალკასა და თრიალეთში, სახლი სამეურნეო ფუნქციების მატარებელიცაა. ზოგიერთი სამეურნეო ნაგებობა მასთან ერთ ჭერქვეშ პორიზონტალურ და ვერტიკალურ დაგეგმარებაში ან მიწაშია მოქცეული. ქვ. სვანეთში, დასავლეთ საქართველოს ბარის სოფლების მთიან ზოლში და აჭარის ზოგიერთ რაიონში, დაახლოებით XIX საუკუნის დასასრულს ჩნდება ეწოში განლაგებული სამარცვლე ნაგებობები, რაც უშუალოდ უკავშირდება ამ კუთხეთა დასახლების ტიპის მკვეთრ ცვლილებას.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მშრალ, ნაკლებტენიან რაიონებში სამეურნეო ნაგებობათა ნაწილი (ორმო და ხარო) სამოსახლოში მიწისქვეშ იყო მოთავსებული; ხოლო მესხეთ-ჯავახეთში იგივე ნაგებობა სახლში ჰქონდათ.

საველე ეთნოგრაფიული მასალის მონაცემებით ირკვევა, რომ რეფორმის მომდევნო ხანაში, ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების შედეგად გამოწვეულმა ცვლილებებმა: მეურნეობის სპეციალიზაციამ და დასახლების ტიპის შეცვლამ, ახალი სამეურნეო ნაგებობანი წარმოქმნა, ხოლო XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც სიმინდის პურის მოსავალი ინტენსიურად გაიზარდა და სოფლის დასახლების ფორმა კიდევ უფრო შეიცვალა, ახალი სამეურნეო ნაგებობების გაუმჯობესების ცდამ თანდათან მასიური ხასიათი მიიღო. ორმო და ხარო მივიწყებას მიეცა, მათი ადგილი ბეღელმა, სასიმინდემ, ხის ხარომ და ამბარმა დაიკავა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ზოგი სამეურნეო ნაგებობა თავის დანიშნულებას ძველებურად ასრულებდა. საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების შედეგად ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი სათავსოები სრულყოფილი სახით აღარ გვხვდება, ახალი სახლები თავიანთ საბურავქვეშ ითავსებენ სამარცვლე ჭურჭლებს; სამეურნეო ნაგებობებიდან უცვლელი სახით, შეიძლება ითქვას, სასიმინდე დარჩა.

ამ მხრივ სხვა ვითარება გვაქვს მესხეთ-ჯავახეთში, XX საუკუნის დასაწყისისათვის აღნიშნულ ნაგებობათა შიდა განლაგების წესი იგივეა, ხოლო საკოლმეურნეო წყობილების პირობებში, ორმო და ხარო ხმარებიდან გამოვიდა, ამბარი კი თითქმის უცვლელია.

ახლა ორიოდე სიტყვა ზოგიერთ ნაგებობაზე, რომელიც ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად დადასტურდა.

ნ ა ლ ი ა | | ნ ა ნ ი ა ლომის თაველის საშრობი — „გასაწყობი“ ნაგებობაა. გარდა ლომის თაველისა, ნალიაში საჭიროების დროს სხვა მარცვლულ კულტურებსაც აშრობდნენ.

ნალიის გავრცელების არეს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ის ტერიტო-

ნალია — Кукурузник (помещение для хранения кукурузы).



რია, რომელიც ძირითადად გურია-სამეგრელო და იმერეთის ტერიტორიით ლოკალიზდება.

აღნიშნული ნაგებობა XIX საუკუნის მთელ მიჯნაზე და XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს დასახლებულ კუთხეებში ერთნაირი სიხშირით არ იყო გავრცელებული. გურია-სამეგრელოში ნალია ხშირია, ვიდრე იმერეთში, რადგან იქ აღნიშნული დროისათვის ძირითად მარცვლეულს ისტორიულადვე ღომი წარმოადგენდა. იმერეთის ისეთ რაიონებში, სადაც პურეული კულტურების უპირატესობა შემჩნეოდა, ნალია იშვიათად დგინდება.

ნალია კეთდებოდა მოღობილი ფაცხა „მორაგული“, ფიცრული და „ძელური“. იგი კონსტრუქციულად წააგავს სასიმინდეს, მაგრამ მასზე დაბალი, გრძელი, ორფერდა სახურავით დახურული ნახევრად ღია ნაგებობაა.

ქვის ან ხის სვეტებზე გადებდნენ ოთხ გამწვდომ დირეს, რომელზედაც აგებდნენ ჭერს ან ღებდნენ ჩელტს თაველის დასაყრელად — „დასაფენად“. დირეს ოთხივე მხრივ დაადებდნენ მრგვალ მორებს ან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე მოწნავდნენ, რომ გასაშრობი თავთავი არ გადაყრილიყო. როდესაც თაველის გაშრობა ცეცხლით იყო საჭირო (დას. საქართველოს ზოგიერთ რაიონში ღომის თაველი მხოლოდ ცეცხლით შრებოდა), ნალიის სვეტებს და სხვენს ნედლი ხის ტოტებით, გვიმრით ან სიმინდის ჩალით შემობურავდნენ, რომ სიმხურვალე არ გაფანტულიყო და საგანგებოდ მომზადებული მბოლავი შეშით ზომიერ ცეცხლს დაანთებდნენ. ზოგიერთ რაი-

ონში (სამტრედია, წულუკიძე, ტყებული, წყალტუბო, ზესტაფონი) კლიმატის ვისებურების გამო თაველი ნახევრად ღია ნალიაში შრებოდა.

ნალია სასიმიინდის აღმნიშვნელ ტერმინდაც იხმარება, რაც იმით გამოწვეული, რომ დროთა ვითარებაში აღნიშნული ნაგებობა ორივე კულტურისათვის იყო გამოყენებული, ხოლო შემდეგ სიმიინდის მეურნეობის ინტენსიურმა განვითარებამ ამ ნაგებობის კონსტრუქციული ცვლილება გამოიწვია იმ სახით, როგორც დაახლოებით ჩვენს ყოფაში არსებული სასიმიინდია.

ბ ე ლ ე ლ ი ღომის შშრალი თაველის, მარცვლეულის (ღომი, ხორბალი, ფეტვი, ჭვავი, ქერი, სიმიინდი და სხვ.) და ფქვილის შესანახი ნაგებობაა.

ბელელი მთელ საქართველოში გავრცელებული. გვხვდება ერთსართულიანი და ორსართულიანი ბელელი.

ერთსართულიანი ბელელი არის ერთ და ორ ოთახიანი. ერთსართულიანი ერთოთახიანი ბელლის რამდენიმე ვარიანტია ცნობილი: 1. უაივნო კვადრატული — „კოთხო“ ბელელი; 2. აივნიაანი ბელელი. აივნიაანი ბელელი სამგვარია: ორსვეტიანი ღია აივნიაანი, ორსვეტიანი მოაჯირიანი, რომელსაც დაჩარხული რიკულებიანი მოაჯირი და სვეტის ზედა ნაწილზე დაფანჯრული ჩუქურთმა აქვს; რიკულები ზომით მცირეა, რაც ესთეტიკურ შთაბეჭდილებას აძლიერებს და ნაგებობის აღქმის მაშტაბურობას ზრდის. 3. დახურულ აივნიაანი ბელელი, რომელსაც საპაეროდ ღიობები აქვს. 4. ბელელი, რომლის სხვენი სათავსოდ არის გამოყენებული და ცალკეა შესასვლელი. 5. ბელელი, რომლის დერეფნის სხვენიც სათავსოა და მასაც ცალკე შესასვლელი აქვს.

როგორც ვხედავთ, ზოგან ბელლის განვითარება ერთი ფორმის სრულყოფით დასრულდა, მას სხვადასხვა კონსტრუქციის აივანი გაუკეთდა, ზოგმა თავისი სრულყოფა სახურავის სათავსოდ გამოყენებაში ჰპოვა.

დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, ქვემო იმერეთის ზეგანზე ოდითგანვე ტრადიციული ყოფილა ოროთახიანი ბელელი ბელელ-ოთახი ან როგორც აქ ეძახიან „ბელელი და ბელლის ოთახი“ (ტყებულის და წყალტუბოს რაიონი). იგი ერთსართულიანი დიდი ნაგებობაა, რომელიც დაბალ ქვის ან პლასტმასზე აგებული, აქვს ღია ან მოაჯირიანი აივანი და გადახურულია ორფერდა ან ოთხფერდა სახურავით. ამ ტიპის ბელელ-ოთახი სამეცნიერო ლიტერატურაში სასტუმრო ოთახად არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ბელელ-ოთახი არა მარტო სასტუმრო იყო, არამედ იგი ახალ დაქორწინებულთა საცხოვრებელიც ყოფილა. ბელლის ან დეფანის (ბელლის გვერდზე მიდგმული პატარა ოთახის) გამოყენება ახალდაქორწინებულთათვის ზემო რაჭაშიც (სოფ. ღები) სკოდნიათ. ბელლის ოთახის სახელად ხშირად იხსენიება ხულა.

ორსართულიანი ბელელი დაშენებული ყოფილა სხვადასხვა გამოყენების და სახის სამეურნეო ნაგებობებზე და უმრავლეს შემთხვევაში ეკავა შენობის ზემო სართული. ბელლის დაშენება რომელიმე სამეურნეო ნაგებობაზე ძველ საქართველოში ყოფილა გავრცელებული.

იმერეთის ზეგანზე გვხვდება ბელელ-სასიმიინდე, რომლის პირველ სართულზე სხვადასხვა სახის მასალისაგან აგებული ბელელია მოთავსებული, მეორე სართული კი სასიმიინდეს წარმოადგენს. ზოგჯერ პირველი სართული მომცრო ხულას უჭირავს, რომელიც გამოყენებულია ტურტლისა და ზამთრისათვის

განკუთვნილი მშრალი პროდუქტის სათავსოდ, მეორე სართულზე კი დაშენებულია ბე-  
ღელი.

აჭარაში ორსართულიანი ბეღლის პირველ სართულზე ხშირად შენობები  
ლია მოთავსებული.

ბეღელს აშენებდნენ დაბალ სვეტებზე, სამზარეული სახლთან ახლოს. რაჭაში  
მაღალ სვეტებზე ნაგები ბეღელიც დასტურდება, ასეთ ბეღელს ორი სვეტი ჰქონდა,  
ხოლო მისი წინა ფასადი კოჭებით საჯალაბო სახლზე იყო შემოდგმული.

მთის ზონაში ბეღელი საცხოვრებელი სახლის კომპლექსში შედის და იგი სახ-  
ლის პირველ სართულზე ან სხვენზეა მოთავსებული. აჭარლებთან (ჩოხატაურის რაი-  
ონის სოფლები: ზოტი და ჩხაკურა) ბეღელი სახურავში სხვენზეა აგებული. ბე-  
ღელში შესვლა ხდება სხენიდან, ხოლო სხვენზე ადიან ხის ვიწრო კიბით.

ბ ე ღ ე ლ ი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხატის კომპლექსში შემაჯა-  
ღლი სამეურნეო დანიშნულების ნ ა გ ე ბ ო ბ ა — ს ა მ ა რ ც ვ ლ ე ა .

ბეღელი იგება წაბლის, ცაცხვის, თელას ფიცრისაგან. აშენების დროს ყურად-  
ღებას აქცევენ იმას, რომ ბეღელს მთლიანობა ჰქონოდა შენარჩუნებული ე. ი. ნაკ-  
ლებად ყოფილიყო „დაკუნული“ — დაჭრილი. ამიტომ მასალად ფართო და კარ-  
გად დამუშავებულ ფიცრებს იყენებდნენ. კედელი შენდებოდა კოტისა და ჭდის სა-  
შუალებით. ბ ე ღ ე ლ ი ს კუთხეები შენდებოდა ქილიკით ყურით, ბოყვი ბეღელს  
არ აშენებდნენ.

ბეღელს ფასადის მხარეს აქვს პატარა კარი, რომელიც ან ხის საკეტით დათვა-  
ბოყვათი იკეტება ან რკინის რაზით. ბეღლის კარზე ვხვდებით ამოტვიფრულ ჯვარს,  
სარტყელზე და ლირსზე ჩუქურთმივან როზეტს.

ორსართულიანი ბეღლის მეორე სართულზე ასვლა ხდებოდა აივნიდან ან ეზო-  
დან სპეციალური მისადგომი კიბით, რომელსაც იმერეთში ადამკიბეს ეძახიან.

ბეღელი დახურულია ორფერდა, სამფერდა ან ოთხფერდა სახურავით. ისლით,  
კოროლით — ჩალით, ყავრით ან კრამიტით. სახურავის მასალის შესაბამისად ბე-  
ღელს ჰქონდა მალალი ან დაბალი სახურავი.

მასალის დამუშავების თვალსაზრისით გვხვდება ძ ე ლ უ რ ი ო რ კ ი ს ქ ა რ -  
გ ვ ლ ი ს ს უ კ ი ა ნ ი, ფ ი ც რ უ ლ ი და ს ი პ ი ს ა გ ა ნ აგებული ბეღელი (აღმო-  
სავლეთ საქართველოს მთა).

ბეღელი არის დაყოფილი და დაყოფილი. დანაყოფების სხვადასხვა სახელია  
ცნობილი: თ ვ ა ლ ი, ხ ა რ ო, ხ ე ი მ ე რ ა, მ ა ჩ ა, ა კ ო (ფშავი).

დანაყოფები გამოყენებული იყო მარცვლეულის და ფქვილის შესანახად.


ბეღლის შემდეგი სახელწოდებები დასტურდება: ბ ე ღ ე ლ ი (იმერეთი, გურია,  
რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, ქვ. სვანეთი, აღმ. საქართველოს მთა). ბ ა ლ - ბ ა ლ უ (სამეგრე-  
ლო, ჭანეთ-ლაზეთი). ბეღლის სინონიმად იზმარება ხ უ ლ ა (ქვ. სამეგრელო, იმე-  
რეთი, გურია). ხ ა რ ო (იმერეთი). ზემო სვანეთში გ ე მ | გ ე ე მ, რომელიც მაჩუბს  
მინაშენის სახით აკრავს. ა მ ბ ა რ ი | ლ ა ზ ა მ ბ ა რ ი | ს ა ხ ე ლ ა მ ბ რ ე (მესხეთ-  
ჯავახეთი).

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით დასავლეთ საქართველოში ბეღ-  
ლის გამოყენების ხანგრძლივი ტრადიცია დასტურდება. ბეღელს ეხვდებით XI საუ-  
კუნის ისტორიულ დოკუმენტში — ნიკორწმინდის სიგელში, სადაც იხსენიება ორ-  
სართულიანი სხვადასხვა სახის — ს ა დ ა გ ი და ხ ე რ ხ უ ლ ი ბეღელი.

პროფ. ვ. ბარდაველიძის საგანგებო კვლევის შედეგების მიხედვით ბეღელი ქარ-



ქართული  
სახელმწიფო



კურული ბელელი სოფ. ლიხაურიდან

Гурийский амбар, село Лихаури

თულ ენაში უძველესი ტერმინია; ლინგვისტური მონაცემებით იგი ქართულ-ზანურ ენათა ერთობამდე მიდის.

ბელელთან დაკავშირებით მთელი რიგი მაგიურ-რელიგიური ხაპიათის წესჩვეულებებია ცნობილი, როგორცაა: ვულის რიტუალი (სვანეთი) „კერია-ბერასთან“ დაკავშირებული ჩვეულება (რაჭა), ლილაშუნეს დღეასწაულზე ბელლის გამოსახულების კვერის არსებობა (სვანეთი) და თვით თუშური ქორბელელას წრიული ფერხულები, რომელთა შესრულებაც ნაყოფიერებასა და აღორძინებასთან დაკავშირებულ მოტივებს შეიცავდა.

აღსანიშნავია, რომ ბელელი საზომი ერთეულია ყაფრისათვის.

ს ა ს ი მ ი ნ დ ე. სასიმინდე ტაროიანი სიმინდის სახმობი ნაგებობაა, მისი გავრცელების არე ძირითადად დასავლეთ საქართველოშია, გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში: კახეთი, ქართლი. სასიმინდის შესატყვისია ნ ა ლ ი ა (გურია, ზემო იმერეთი) ნალია (ქვემო სვანეთი); ხ ა რ ო (ზემო გურია); ტურაბელელა, ნალიე (აჭარა) სამეგრელოში მას მ ა ლ ა ზ ა ჰქვია. ზემო იმერეთის ზოგ სოფელში და ქართლში სასიმინდეს ძ ა რ ს ეძახიან.

სასიმინდე ძირითადად ერთსართულიანი ნაგებობაა, გვხვდება ორსართულიანი — კომბინირებული სასიმინდე.

ერთსართულიანი სასიმინდე არის როგორც ერთგანყოფილებიანი ასევე ორ, სამ და ოთხ განყოფილებიანი — გ რ ძ ე ლ ი ს ა ს ი მ ი ნ დ ე ე ბ ი.

ორგანყოფილებიან სასიმინდეში ერთი განყოფილება სასიმინდეა, ხო-




საფრანგო ბრძოლა  
ალბარ იმერეთისკენ.





საქართველოს  
წიგნობის ეროვნული  
სამუშაოები




სასიძინდე-საფშენელი, სოფ. ქობეთი

Кукурузник, село Корети

სასიძინდე, ქ. ზვანეთი, სოფ. სასაში

Кукурузник, нижн. Сванетия  
село Сасаши





ლო მეორე საცხეს წარმოადგენს. სამგანყოფილებიან სასიმიინდეში კი შუა განყოფილება საცხესია, გვერდის განყოფილებები — სიმიინდის სათქვეთებელი ორსართულიანი სასიმიინდის რამდენიმე სახეა ცნობილი: ახორიბნაშენი, მინდე, ბელლიანი სასიმიინდე, საცხრილავეიანი სასიმიინდე და ხულა სასიმიინდე.

დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზემო იმერეთში დღესაც ხშირია ორსართულიანი, ორ-სამ და ზოგჯერ ოთხგანყოფილებიანი შქერისაგან მოწნული სასიმიინდები, რომელზეც მიშენებულია დაკუთხული ფიცრებისაგან აგებული სიმიინდის საფშენელი-საცეხველი, ქვეშ საცხრილავეით, სადაც ნაცეხვი სიმიინდის მარცვალი ცვივა.

სიმიინდის საცეხვის იატაკი დახვრეტილია ბურღით, რომ ცეხვის დროს სიმიინდის მარცვალი ქვემო სართულში ჩაცვივდეს. ზოგჯერ საცეხვის ჭერს აწობენ ისე, რომ ხეებს შორის ჭუჭრუტანები დარჩეს, საიდანაც სიმიინდი ტუკით გაფშენის დროს ძირს იყრება.

გავრცელებულია აგრეთვე ისეთი სასიმიინდები, რომელთაც ქვემოთ აქვთ ფიცრული ან ძელური ხულა. ასეთ სათავსოს ხაროს და ბელელსაც ეძახიან. ზოგიერთ სასიმიინდეს ქვემოთ ახორიქიხური აქვს და გვერდზე საღორეა მიშენებული. ორსართულიანი სასიმიინდის ერთი მხარე სვეტებზე იგებოდა, ხოლო მეორე მხარე ახორის ან ბელლის სარტყელზე.

მასალის დამუშავების მიხედვით გვხვდება ძელური, ქარგვალი როკის სუკიანი, ფიცრული და მოწნული სასიმიინდე. ფიცრული სასიმიინდე სამგვარია: ფიცრული უმარტივესი, რომელსაც არა აქვს ორნამენტი, მაგრამ ფიცრებს შორის პაერისათვის ქვე აქვს გაკეთებული, ფიცრული მარტივი ორნამენტით და ფიცრული რთული ორნამენტით — აეურული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღიობებით (ქვემო სვანეთი, გურია). ქარგვალისა და სუკიანი სასიმიინდის ძელის გვერდები ერთმანეთზე დამკვებული არ იყო; ზოგჯერ ძელს ორივე მხარეს გაკეთებული ჰქონდა სამკუთხედის ფორმის ჭრილები, რომელსაც ზემო იმერეთში „სასულე თვლები“ ერქვა.

სასიმიინდე ძირითადად იწვნება შქერის წნელით. მოწნული სასიმიინდე სხვადასხვაგვარია: ძარული, ძარიანი, გრიგლური, ჩასკენილათ მოწნული, ლასტური, ღობური, ნაპწენი ფაცხა.

სასიმიინდე იგებოდა მშრალ, მზიან და „საქროლა“ (ზენა ქარი რომ მოხვედროდა) ადგილზე. ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სასიმიინდეს ზოგჯერ ეზოს შემოსასვლელი კარის თავზე ქვის ან ხის ორმეტრიან სვეტზე მართავდნენ ხოლმე.

სასიმიინდის სვეტის თავებს ქვის ან ხის მრგვალი, ცალმხრივ ჩაღრმავებული დისკო აქვს დადებული, რომელსაც გარშემო წაბლის გარეკანს ახვევდნენ. ამავე დანიშნულებით იყენებდნენ აგრეთვე მცენარე თავგის სარას ან გკლიან კრაზანას, რომ თავი ბოძიდან სასიმიინდეში არ შესულიყო.

სასიმიინდეს ფსადის მხარეს აქვს პატარა კარი. სასიმიინდე არის აივნისანი და უაივნო. აივნისან სასიმიინდეს შედგმული აქვს მოკლე სვეტები.

სასიმიინდე იგება პაერის მუდმივი ცირკულაციის პრინციპზე, ამიტომ არის იგი მოლობილი ან ორნამენტირებული. პაერის სამოძრაოდ სახურავიც ისე ეუთდებოდა, რომ ლარძაყინებიდან პაერი შესულიყო.

პაერის მოძრაობის გასაადვილებლად და სიმიინდის ლპობის თავიდან ასაცი-

ლებლად სასიმიინდის ქვედა ჭერს კრიდნენ და მასზე დებდნენ თხილის წნელისაგან მოწულ ერთი მეტრი სიმაღლის ძარს, რომელააც ზემოდან სიმიინდა აყრიდნენ. სასიმიინდიდან სიმიინდის გამოღება ხშირად აქედანაც იცოდნენ.

სასიმიინდე იხურება მაღალი და დაბალი სახურავით ისლით, ჩალით, ყავრით და კრამიტით. სასიმიინდის სახურავი ორფერდაა. სახურავის აგების პრინციპი ისეთი იყო, რომ მისი ახდა შეიძლებოდა, როგორც სიმიინდის დაბინავების, ასევე გაზაფხულზე სიმიინდის ამოღების დროს.

სიმიინდის კულტურის მასშტაბების შესაბამისად გურიასა იმერთსა და სამეგრელოში დიდი ზომის სასიმიინდეებს ვხვდებით. ასეთი დიდი სასიმიინდეების აგება მაშინ დაიწყო, როცა სიმიინდის ნათესები მასობრივი გახდა და იგი საექსპორტოდ გამოიყენეს. 1880-იანი წლებიდან, როდესაც ნათესების ფართობი გადიდდა, ამ პროდუქციის შესანახი სათავსოც გაიზარდა.

საყურადღებოა, რომ სასიმიინდეს უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში დიდი ცვლილებები არ განუცდია. ზოგიერთი სასიმიინდე დიდ მსგავსებას იჩენს იმ სასიმიინდესთან, რომელიც XVII საუკუნეში ნახა და ჩახატა იტალიელმა მხატვარმა კასტელიმ.

ხარო — მარცვლეულის მიწისქვეშა, ქვეთიკრით ამოშენებული სწორგვერდა ან მრგვალი სათავსოა, იგი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ, ნაკლებტენიან რაიონებში გვხვდება.

ხარო ეზოს კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი სამარცვლე ნაგებობაა. მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში ხარო სახლის შიგნით, უშუალოდ დარბაზსა და აარაპანშიც დასტურდება. ხარო ცკლესია-მონასტრების ეზოებშიც ქპონიათ.

ხარო დასავლეთ საქართველოში ბელლის ან ბელლის თვალის შესატყვის ტერმინად იხმარება. მესხეთ-ჯავახეთში იგი ლაზამბარის დანაყოფი თვლების სახელიცაა. ზემო გურიასი ხაროს სასიმიინდეს ეძახიან.

ხარო ისტორიულ წყაროებში სკუმონ მესუეტის ცხოვრებიდანაა ცნობილი, სადაც აღნიშნულია, რომ არსებობდა საიფქლე ნაგებობა, რომელსაც საიფქლე ხარო ერქვა.

საბას მიხედვით ხარო არს მთხრებლი — შინაგანი ქვეთიკრით ამოგებული.

ორმო — მარცვლეულის (პურეულის და ფეტვანირის) შესანახი მიწისქვეშა სათავსოა. იგი ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ნაკლებტენიან რაიონებში. ორმო კეთდება მიწაში როგორც სახლში, ასევე კალოსთან ახლოს; იგი არის ყელვიწრო და ძირგანიერი ქვევრის მსგავსი სათავსო, რომლის კედლები წიფლის ხის ფოთლიანი ფიჩხით იყო ამოგებული. ფიჩხი, რამდენიმე ადგილზე კაპიანი პალოთი იყო დამაგრებული. პალო იჭურდა ფიჩხის თავს, მისი მეორე ბოლო კი ორმოს კედელში შედიოდა. ორმოს შუა წელზე გარშემოკრული ფიჩხების დასატერად გაკეთებული იყო ხის წნელი. ორმოს ძირზე ეყარა ბზე, რომ მარცვლეულს მიწიდან სინესტე არ მიეღო. ორმო ყოველგვარ მიწაში არ ითხრებოდა, მას „თირი“ (კლდისაგან ნაშალი) მიწა სჭირდებოდა. ქვეშიან მიწაში ორმოს არ აკეთებდნენ, რადგან ქვიშა წყალს იკრებს, ნესტიანია და მარცვალი გაფუჭდება.

ორმოში ინახავდნენ სუფთა-გაცხრილულ მარცვალს. საესე ორმოს თავზე ნაშჯას აფარებდნენ, ზემოდან მუხის ფიცრებს — ბადიმებს დააწყობდნენ, მერე ნაკელით გადაგოზავდნენ და ზედ მიწას დააყრიდნენ, რომელსაც კრამიტს ან ღრუ ხეს დაადებდნენ და ძეძვს დააყრიდნენ.



ორმო სხვადასხვა მოცულობის იყო. გვხვდება ერთი, ორი და სამი ურმის ტყავ-  
დობის ორმოები.

მოცემულ წერილში არ მოხერხდება მთელი მასალის გაცნობა დასკვნების  
დასკვნების გაკეთება, რადგან გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ  
ცვლილებას განიცდის ჩვენი წარმოდგენა სამეურნეო ნაგებობებზე.

უმდიდრესი მასალა დაგროვდა და გროვდება საქართველოში სამეურნეო ნაგე-  
ბობების მშენებლობის ხელოვნებისა და კულტურის ისტორიაზე. ატლასის ხაზით მო-  
პოვებულმა მასალებმა და ღიაციხეებში მუზეუმში ამჟამად წარმოდგენილმა სამეურნეო  
ნაგებობათა შესწავლამ არა მარტო მარცვლეულის, არამედ საერთოდ ყველა სახის  
სამეურნეო ნაგებობების ისტორიის არა ერთი ფურცელი გახადა ახლად დასაწერი,  
მაგრამ შესრულებულია საქმის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.

მიუხედავად ამისა, ეთნოგრაფიული ცოდნის დღევანდელ დონეზე შეიძლება  
ითქვას, აღნიშნულ ნაგებობათა საუკუნეთა მანძილზე გამომუშაებული კონსტრუქ-  
ციული მრავალსახეობა, ორნამენტაციის თავისებური გამომსახველობა, ტერმინოლო-  
გიის სიუხვე, მემინდვრეობის სიძველის მაგალითზე იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ  
აღნიშნულ ნაგებობათა სახით ქართული ხალხური მატერიალური კულტურის მნიშ-  
ვნელოვან მონაპოვართან გვაქვს საქმე.



საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ფუნქციონალური  
ორგანიზაცია

ხალხური შემოქმედებისა, და კერძოდ, ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლას დღეს დიდი ყურადღება ექცევა. ძველი საცხოვრებელი საინტერესოა როგორც არქიტექტურული ფორმების განვითარების ისტორიისათვის, ასევე ხუროთმოძღვრების ნაციონალური ხასიათის გარკვევისათვის. ამას შეუძლია აგრეთვე დიდი სარგებლობა მოუტანოს თანამედროვე დამგვემარებლებსაც.

მიმდინარეობს გარდაუვალი პროცესი ძველი ნაგებობების ახლით შეცვლისა. დღეს ძველი საცხოვრებლის მრავალმხრივი შესწავლა და განსაკუთრებით კი მისი ინტერიერის ორგანიზაციის პრინციპების ახსნა წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას, როგორც ეთნოგრაფიის, ასევე არქიტექტურის თვალსაზრისით. ეს არის გარემო, სადაც იმყოფება ოჯახი თავისი სპეციფიკური ნიშნებითა და ეკოლოგიური თავისებურებებით. ეს ადგილია, სადაც მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროცესები და ყოველ ნივთს, გარდა უტილიტარულსა, სემიოტიკური მნიშვნელობა აქვს

ინტერიერის ორგანიზაციის პრინციპების განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, ერთი მხრივ საცხოვრებლის შიგა სივრცის ფუნქციონალურ ზონირებაზე, მეორე მხრივ სივრცის ორგანიზაციის კომპოზიციურ გადაწყვეტაზე.

ფუნქციონალური ზონების გამოყოფით და ფიქსირებით უფრო თვალნათლივ წარმოგვიდგება ადამიანის სამეურნეო თუ საოჯახო საქმიანობა — ფაქტურად მთელი კომპლექსი ადამიანის მოღვაწეობისა, დაკავშირებული საცხოვრებელთან<sup>1</sup>.

შეუძლებელია განვიხილოთ ინტერიერი, მისი შინაგანი ორგანიზაციული სტრუქტურა იმ ტექნიკური კონსტრუქციული სისტემის გარეშე, რომელიც დაედო საფუძვლად მთელი ნაგებობის კომპოზიციურ გადაწყვეტას.

ასევე გასათვალისწინებელია ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ინტერიერში. აკად. გ. ჩიტაია მიგვიითხმებს, რომ „ენება დასახლება ვარაუდობს ადამიანის საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობას“. თვით საცხოვრებლის ინტერიერშიც კავშირი ოჯახური ყოფისა და შრომის პროცესისა თვალნათლივაა წარმოდგენილი.

საცხოვრებლის ინტერიერი იყოფა გარკვეულ ფუნქციონალურ ზონებად. ძილის, საჭმლის დამზადებისა და მიღების, დასვენების, საოჯახო საქმიანობის, სტუმრების მიღების, რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ადგილებისა და სხვა. ყოველივე ამას ეთნოგრაფიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას ვ. კობიჩევი და ა. რობაქიძე მასალებში კავკასიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი სახლების ტიპების დასადგენად მრავალრიცხოვანი მასალა არსებობს, არსებული ფორმების უძველეს ტიპებთან დამაკავშირებელი ხაზი არ არის ნათელი, თავდაპირველი ტიპის თანმიმდევრული ევოლუცია არ არის გამორკვეული.

შემოთხსენებული საკითხის შესწავლის მიზნით ჩვენ ავირჩიეთ საცხოვრებელი



სახლის ერთი ტიპი. გავაყოლოთ თვალი მის ევოლუციას რა ცვლილებები მოხდა მის კონსტრუქციაში და შიგა სივრცის ორგანიზაციაში.

კახეთში, უკანასკნელად მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ ყველაზე გაყრცელებული საცხოვრებლის ტიპი XIX საუკუნეში იყო ნახევრისათვის არის საჩიხიანი<sup>1</sup> საჩიხიანი სახლი<sup>2</sup>.

საჩიხი ანუ დერეფანი, როგორც მას უწოდებენ, საცხოვრებლის ერთმხრივი ღია ნაწილია, სვეტებზე დაყრდნობილი გადახურვით.

პირველი ყველაზე ადრინდელი ვარიანტი საჩიხიანი სახლისა ფიკრულია, ეს გასაგებიც არის, კახეთი ხის მასალით მდიდარი იყო. „წლუმში არ შემოუვა, სისუფთავე იქნება და ამიტომ კეთდება საჩიხი“—ო ამბობს მთხრობელი (სიკო გიორგის ძე ბაღანაშვილი 86 წ. ს. ვაჭირი).

საინტერესოა მისი კონსტრუქციული ტერმინოლოგია (ნახ. 1) გადახურვის კონსტრუქცია (ნახ. 1C) შემდეგნაირად ეწყობოდა: ლატანზე, რომელიც თითო მტკაველის დაშორებით იდებოდა კავზე, წნელით ამოაკრავდნენ ჩიხს. ქვევიდან ასწორებდნენ ტაბოციტ<sup>3</sup> ტაბუციტ, ხოლო ზევიდან საკვერცხით. შემდეგ მუკენს ამოაკრავდნენ წნელით. მუკენი (ხის ჯოხი) სახურავის დახრის მიმართულებით მაგრდებოდა. ასეთივე თანმიმდევრობით სრულდებოდა ჩალის დახურვაც. აფრა, რომელზეც სათავე იყო გადებული, ეყრებოდა სარტყელს. მოხდენილად იყო გადაწყვეტილი სახლის კუთხე (ნახ. 1D).


საცხოვრებლის ინტერიერი მარტივია. ორ ბოძს შორის შუაცეცხლია, იატაკი მიწისაა. ქვაბი დაკიდებულია ხის საკიდელზე, რომელსაც გრიგვლები აქვს სხვადასხვა სიმაღლეზე. რკინის საკიდლებიც არსებობდა. ლოგინებად ქვეშაგები იყო, რომლებიც იდებოდა ლასტზე.

საცხოვრებლის შემდეგ ვარიანტში უკანა მხარეს ჩნდება ქვითკირის კედელი, რაც იყო გამოწვეული შუაცეცხლის მოშლითა და ბუხრის გაჩენით. აქ უკვე ხდება დიდი ცვლილება სივრცის ორგანიზაციის მხრივ და სახურავის კონსტრუქციის თვალსაზრისითაც (ნახ. 2 A, B, C, D).

ისევე როგორც „დარბაზის ინტერიერში“, კომპოზიციური ცენტრი ოთახის გეომეტრიული ცენტრიდან (კერა) გადადის უკანა მხარეს, ბუხართან, სადაც ხდება ოჯახის წევრების განაწილება (ნახ. 2 B) სხვადასხვა საოჯახო პროცესების შესრულების დროს. უკანა კედელი, თავის მხრივ იყოფა სიმეტრიულად. მარცხენა მხარეს, როგორც წესი, განჯინება კურჭლის და სურსათის შესანახად. განჯინა დაყოფილია სამ ნაწილად ზევით თიხის კურჭელია, შუა ნაწილში ხელაღები. ჩარქები, ქვედა ნაწილში მაღალი დოქები ქილები, ერბო, ყველი, სპილენძის ქვაბები, ბუხრის მარჯვენა მხარეს წალოა, იგი ორ ნაწილიანია. ზედა ნაწილში ფარდაგები მუთაქები, ხალებია, დაბლა ლოგინებია.

თაროები და კედელში ჩაშენებული კარადები დამახასიათებელია საქართველოს საცხოვრებელი სახლებისა და ნაგებობათა იმ ტიპებისათვის, რომელშიც სამშენებლო მასალად ქვა არის გამოყენებული. ჩრდილო კავკასიის მასალებშიც უხვდებით ანალოგებს<sup>4</sup>.


ბუხრის ზედა ნაწილი და თაროები, რომელზეც მოხდენილად იყო განაწილებული სხვადასხვა დანიშნულების კურჭელი საზეიმო განწყობილებას ქმნის „დარბაზის“ ინტერიერში, წერს გარაყანიძე. მისი აზრით, ჩაშენებული ავეჯი სათავსოს განუყო-



ფელი ნაწილია და ბევრ შემთხვევაში წარმოადგენს შიგა სივრცის კომპოზიციის ერთ-ერთ ძირითად მოტივს.

ამ ვარიანტის საცხოვრებელში ქვიტკირის კედლის გაჩენამ, სივრცის განთავისუფლებამ გამოიწვია სახურავის კონსტრუქციის შეცვლაც (ნახ. 2 D) აქ სათავე იდება „შტრაფილებზე“ (ადგილობრივი ტერმინი რუსულიდან — стропила (ნივნივებზე), დახრილ კოჭებზე, ე. ი. ამ კონსტრუქციამ გამოდევნა სათავის ბოძებზე დაყრდნობა. ასევე ცვლილება მოხდა საჩიხის გადახურვის კონსტრუქციაში (ნახ. 2 C). დაიხვეწა სვეტის პროფილი, ზედ გაჩნდა დეკორის სახით არშია (ნახ. 2 C). გარდა ამისა, შემოვიდა ახალი ელემენტი — კოჭი, რომელსაც აქ „მანდალიონის“ კოჭს უწოდებენ. ამით საჩიხი ამაღლდა, საჩიხი „ჩამოფხატული“ (როგორც აქ მას უწოდებდნენ) აღარ არის. ზოგიერთ შემთხვევაში საჩიხის კონსტრუქცია ინარჩუნებს პირვანდელ სახეს.

შემდეგი ვარიანტი საჩიხიანი სახლისა საბოლოოდ იღებს თითქმის დასრულებულ სახეს — იგი ქვიტკირისაა (ნახ. 3) საჩიხს ცალ მხარეს უკეთდება ყური<sup>5</sup>. ყურში ბუნარია დატანებული. ეს საზაფხულო სამზარეულოა (ნახ. 3 B, C) ყურის მიშენების დროს ითვალისწინებდნენ ქარის მოძრაობას და ორიენტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა საჩიხი ორიენტირებულია სამხრეთით ან აღმოსავლეთით. ხოლო უკანა



ნახ. 2. საჩიხიანი სახლი (ქვიშა ქვიშაძირს კედლით)


ღრუ კედელი გზის მხარესაა. ქვეითკირის სახლი დახურულია კრამიტით (ნახ. 3 D) ფანჯრების თაღებს გასდევს აგურის წყობით ამოყვანილი არქივოლტი. ამდაგვარი სახლის მშენებელი მაგალითია სახლი სოფელ ვაჭირში (იგი ეკუთვნის 74 წლის ვარო მიხეილის ასულ ნანობაშვილს). გვხვდება კიდევ საჩიხიანი სახლის გადაბმული ვარიანტი, რომელიც ორი ოთახისაგან შედგება (ნახ. 3 B+C).

ამით საჩიხიანმა სახლმა მიიღო თავისი დასრულებული სახე. იგი ჩამოყალიბდა როგორც ტიპი. ამის შემდეგ იწყება მისი გადაკეთება, უჩნდება შუშაბანდი და შემდეგ „ტუმბურკა“ (ყოფილ საჩიხში ტიხრით გამოყოფილი დამხმარე სათავსო) რითაც დაკარგა თავისი პირვანდელი ლაკონიურობა და სიმსუბუქე. ყოველივე ეს განოწვეული იყო ახალი ფუნქციებით, რომელიც გაუჩნდა საცხოვრებელს.

ინტერიერში კედლები მოუპირკეთებელია. „თევზიფხური“ წყობით კედლის ტექტონიკა გამომჟღავნებულია და ამით ინტერიერი ერთგვარ კონტაქტს ამყარებს გარე სამყაროსთან.

სათავსოს დაბალი სიმაღლე ფსიქოლოგიურად ადვილად აღსაქმელია დაბალი საჯდომებიდან, რომლებიც ბუხართანაა განლაგებული (ზის კუნძები, სამფეხა სკანები). კარგად არის დაცული არქიტექტურული მასშტაბი, რომელიც სპეციფიკურია ყოველი პერიოდის ხუროთმოძღვრებისათვის<sup>6</sup>.





ნახ. 3 საჩიხიანი სახლი (ქიქოძეძიკო)

ოთახში არაერთგვაროვანი გამოყენებული ავეჯი არ არის — ყველაფერი ინახება კედელში — განჯინებში, წალოებში, თაროებზე. ეს იყო ხალხის ემპირიული ცოდნა სივრცის გადაწყვეტისა, განთავისუფლებისა ყოველგვარი ზედმეტობისაგან, რასაც დღეს ისევ უბრუნდება არქიტექტურული პრაქტიკა.

მიწური იატაკიდან აწეულია ხის იატაკი, რომელსაც უწოდებენ ტახტს, მას ფაქტიურად როგორც დასაწოლი ასევე დასაჯდომი ფუნქციები აქვს. იგი მოხერხებულად ამოჭრილია კარების წინ, სადაც შესვლისთანავე შემსუფთავებელი უნდა გაიხადოს ფეხზე და ავიდეს მასზედ წალოზე ჩამოღარებულია ფარდა, რომელსაც ქალები ქსოვდნენ ან ჩითავდნენ. ესეც თავისებურ სიმყუდროვეს ქმნიდა ინტერიერში.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ქვეთიკრის სახლი იყო შუაცეცხლითაც. ორ არ-შინახებვარზე იყო ამოჭრილი ტახტი და მოწყობილი იყო შუაცეცხლი.

ფუნქციონალური მიზანშეწონილება და მხატვრული გამომსახველობა აქ წარმოვდიდგება ერთ მთლიანობაში, რომელიც სავსებით პასუხობს თავის დანიშნულებას.

საცხოვრებლის ვარიანტებში კონსტრუქციული ცვლილებები ქმნიდა სივრცის ორგანიზაციის ახალ ფორმებს. ახალი ფუნქციები კი, რომლებიც უჩნდებოდა საცხოვრებელს, თავის მხრივ კარნახობდა ახალ კონსტრუქციულ სისტემას.



ბუნებრივია, რომ მონუმენტალური ხუროთმოძღვრების ფესვები უნდა ვეძიოთ ხალხურ შემოქმედებაში, ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ის დიდი როლიც, რომელიც მელიც უნდა შეესრულებინა კახეთის მონუმენტალურ არქიტექტურას ხალხურ-საეკლესიო ხოვრებლის დახვეწაში და მისი ხასიათის ჩამოყალიბებაში. ძლიერი, დამაჯერებელი ფორმები საეკლესიო ნაგებობებისა, ქვის კედლების ტექტონიკა, გამოხატულებას პოულობს ხალხურ ხუროთმოძღვრებაში.

სახიზიანი სახლის ინტერიერის თითოეული ელემენტი ხასიათდება კონსტრუქციული სიმართლით, მასალის თავისებურებათა გამომჟღავნებით.

ინტერიერის ფორმების სიმარტივე და სისადავე ქმნის ყველა სიბრტყის სამსუბუქის შთაბეჭდილებას. ლაკონიურობა, მკაფიო რითმი ახასიათებს თითოეულ სიბრტყეს.

შიგა სივრცეს ახასიათებს კომპოზიციური მთლიანობა, მისი დაქვემდებარება ნაგებობის მთლიან მხატვრულ გადაწყვეტასთან.

ფუნქცია და ფორმა შეესატყვისება ერთმანეთს და ამიტომაც ინტერიერის ელემენტები და მოწყობილობა გამოვლინებულია ნათელი ტექტონიკური ხისტემებით.

ამრიგად, საეკლესიო ხოვრების ინტერიერის შესწავლა ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, მისი თავისებურების და სპეციფიკის გამომჟღავნება გვაძლევს საშუალებას ნაწილობრივ გავამუქოთ საეკლესიო ხოვრებელი ერთი გარკვეული კუთხით. საეკლესიო ხოვრების ინტერიერთან დაკავშირებული არა ერთი საკითხი დეტალურ დამუშავებასა და შესწავლას მოითხოვს.

<sup>1</sup> Е. Шемшурина, О. Смирнов. Архитектор-художник-конструктор квартира. Архитектура СССР 1967, 2, стр. 30.

2. სახიზიან სახლს ძველად ჩიზიანსაც უწოდებდნენ, რადგანაც იგი ჩიზით იყო გადაბურული. შესაძლებელია საჩხი — ჩეხვასთანაც იყოს დაკავშირებული. საბას მიხედვით — „საჩხი ქართულად დერიაფანის პირის საზრდილობელ ფიკარს ჰქვან“. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი ტფილისი 1928.

<sup>3</sup> М. Гараканидзе. Грузинское деревянное зодчество. Тб., 1959, стр. 86.

<sup>4</sup> Г. Н. Любимова, С. О. Хан-Магомедов. Народная архитектура Южного Дагестана, М., 1956, стр. 8.

5. სახიზიანი სახლის პირველ ვარიანტებში უფრო არ სჩანს, თუმცა უძველესი საეკლესიო ხოვრების ტიპს — მეგარიონს (ანტიკური საბერძნეთი, პომპეოსის პერიოდი XII—VIII სს ჩვ. წ.-მდე), რომლის პარალელსაც ქართულ ხალხურ საეკლესიო ხოვრებლებშიც ვხვდებით — აქვს ანტები. ანტი და უფრო კი საეკლესიო ხოვრების ერთი და იგივე მნიშვნელობის ელემენტებია.

<sup>6</sup> Л. Кириллова. Масштабность в архитектуре. М., 1961, стр. 99.

**ტერმინ „ეზოს“ გაგების საკითხისათვის**

ტერმინი „ეზო“ ქართულ ენაში იხმარება საცხოვრებელი სახლის გარშემო მდებარე საკარმიდამო ნაკვეთის აღსანიშნავად<sup>1</sup>. საბასეული განმარტებით „ეზო-გალავანი მოხრილი; არს არა გარე ზღუდედ მოვლებული, არამედ კერძო, ანუ გუცრდით მოხრილი გედელი რათა შუა ადგილი აქუნდას“, მეორე განმარტებით: კარავთა გარე მოსაზღუდავთაცა ეზოდ სახელ ედების, „ეზოს“ ძველი მნიშვნელობაც აბსოლუტურად ემთხვევა ამ სიტყვის თანამედროვე გაგებას.

დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც „ეზო“ ამავე მნიშვნელობით დატურდება. მაგ. იმერეთში, თუშეთში, კახეთში, სამეგრელოში, გურიაში და სხვა. ამავე მნიშვნელობითაა ფიქსირებული მეზობელი ხალხების ყოფაშიც, ბალყარეთში — „აბზარ“ „ეზო“.

მაგრამ „ეზოს“ აღმნიშვნელი ტერმინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ზოგან სულ არ არსებობდა, მაგ. თრიალეთის ურუმ მოსახლეობის საცხოვრებელ კომპლექსში, სადაც საკარმიდამო ნაკვეთი სულ არ შედიოდა და „ეზოს“ აღმნიშვნელი ტერმინი არ გააჩნდათ ან სულ სხვა მნიშვნელობით იყო გაგებული. მაგ. ხევსურეთში „ეზო“ შედიოდა საცხოვრებელი „კალოიანი სახლცა“ კომპლექსში. „ეზო“ მოქცეული იყო პირველ სართულზე, სახლის წინა ნაწილში, „ქარიპანს“ და „სენეს“ შორის შეშისა და სხვა საოჯახო საგნების შესანახად. ახალ გადაკეთებულ სახლებშიც „ეზო“ გამოყენებულია ტანსაცმლისა და ფარდაგ-ხალიჩების შესანახად. შევუთმეც ამავე მნიშვნელობით ნ. მარის მიერ არის დადასტურებული „ეზო“. იგი სახლის შიგნით არის მოქცეული «С нижнего этажа... во второй этаж ведет лестница (კიბე). Вступаете на балкон и оттуда в коридор... коридор Суреванец назвал «Эзо» (по груз. двор)<sup>2</sup>.

სეანეთში „ეზო“ „ქაზუ“ არის ყორესა და სახლს შორის მოქცეული ვიწრო გასასვლელი ადგილი.



საქართველოს სინამდვილეში ტერმინი „ეზო“ სხვადასხვა პერიოდებში სხვადასხვა მნიშვნელობებით იხმარებოდა. მაგ. ძველი წერილობითი ძეგლების მიხედვით თავდაპირველად იგი რუსული двор-ის მნიშვნელობით გვხვდება. „მამინ შუკრებს მღდელთ მოძღვარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი ეზოსა მას კაიაფაის მღდელთ მოძღვარისასა“<sup>3</sup> (მათე, 26, 3) ან „პეტრე ჯდა ეზოსა შინა“ (მათე, 26, 69).

შემდგომ „ეზო“ გადასულა „კარის“ მნიშვნელობაზე. დ. ჩუბინოვთან „двор“ ახსნილია როგორც კარი ხელმწიფისა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „ეზოას მოძღვარის“ ბრწყინვალე თანამდებობა სამეფო კარზე. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია ბასილი ეზოს მოძღვარი, თამარ მეფის ისტორიკოსი, მაგრამ რა როლს ასრულებდა თამარ მეფის კარზე, არა ჩანს.

ისტორიულად „ეზოას მოძღვარი“ სამეფო სახლის გამგებელია.

ნ. ჩუბინაშვილთან ეზოას მოძღვარი არის მწე, მოხელე, სასახლის განმგებელი.

სულხან საბასთან საგანგითა განმგებელი. „ეზოას მოძღვარის“ უფლებების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა არმაზის გათხრების დროს აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, სადაც ნახსენებია „ხსეფარნუგ მეფის მრავალი გამარჯვების



ა. ბ. ჩოხელის საცხოვრებელი სახლი და გეგმა. ჟუთიწუაროს რაიონი სოფ. ქსოვრეთი  
1. სახბორე, 2. ეზო, 3. ბაგა, 4-5 საცხოვრებელი ოთახები, 6. საეუქნაო

Жилой дом и план И. Б. Чохели. Тетрицкаройский р-н, с. Ксопрети  
Телятник, 2. Двор («Эзо»), 3. Кормушка, 4-5. Жилые комнаты, 6. Кладовка

მომპოვებელ ეზოას მოძღუარი იოდმანგანი<sup>44</sup> აქ ეზოას მოძღუარის უფლებებში სამხედრო საქმიანობაც ჩანს.

ამ წარწერის შუქზე მკვლევარების მიერ დადგენილია<sup>45</sup> „ეზოას მოძღუარის“ თანამდებობა ბერძნულ და სპარსულ ტერმინებშიც. მის მოვალეობაში შედიოდა მეფის დაცვა და ამიტომ ის განაგებდა მეფის ეზოს (ქარს, სასახლეს).

პროფ. აკ. შანიძე „ეზოას მოძღუარის“ ეტიმოლოგიურად გარკვევის დროს, ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს „ეზოს“ სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებსაც: თავდაპირველად „ეზო“ (რუსული двор-ის მნიშვნელობით) შემდგომ „ეზოა ცხოვართა“-ს (ქრისტიანული ძეგლების მიხედვით) შემდეგ „სამეფო კარი“ (двор царский) სწორედ ამ უკანასკ-

ნელთან უნდა იყოს დაკავშირებული „ეზოს მოძღუარის“ თანამდებობა ე. ი. კარის მოძღვარი.



ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ტერმინ „ეზოს“ საქონლის (ცხვრის) დასაყენებელი ადგილის მიმართ ხმარება, რადგან „ეზოს“ „ეზოა ცხოვართას“ მნიშვნელობით ხმარების შემთხვევა თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დასტურდება.<sup>6</sup> კერძოდ საქონლის სადგომ ბინაში — გომში „ეზო“ ეწოდება (ალექსე გამოყოფილი ადგილის, რომელიც წნელით არის შემორავული და გამოყოფილი ცხვრის დასაყენებლად ზამთრის პერიოდში).

ამ ტერმინის ცხვრის დასაყენებელი ადგილის მიმართ ხმარება ყურადსაღებია იმდენად, რომ იგი ძველ ქრისტიანულ ძეგლებშიც ამავე მნიშვნელობით გვხვდება. „რომელი არა შევიდეს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხეთ შთავკდეს, იგი მპარავი არს და ავაზაკი“. (იოვანე 10<sub>1</sub>).

მასასადამე „ეზოა ცხოვართა“-ს ტერმინის დღევანდლობაში ამავე მნიშვნელობით შემონახვა მეტად საინტერესოა მოვლენა ჩანს. თუ დავყვარდნობით ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალას და ლიტერატურულ წყაროებს, გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ძველთაგან საქართველოში საქონლის დასაყენებელი ადგილის შემორავვა სყოფნით მთაშიც და ბარშიც,<sup>7</sup> და ის გარემოებაც რომ „ეზოდ“ ნაგულისხმევი ადგილი აუცილებლად წრიულად შემორავული უნდა იყოს, შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია ტერმინი „ეზოს“ სწორედ საქონლის დასაყენებლად შემორავული ადგილის აღსანიშნავად იყო ხმარებული.

1. იხ. ეზო — შემოკავებული მიწის ნაკვეთი, სადაც სახლი და სხვა ნაგებობა დგას და სადაც ხშირად საზრდაობელი ხეები და ბუჩქნა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 111, თბ. 1953, გვ. 1287. ეზო-ურტუ-სახლის გარშემო კარ-მიღამოს ჰქვია. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ. 1934, გვ. 68.

ეზო-სასახლეთა შესახებერი ადგილი, მოზღველი უსართლოდ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ. 1961, გვ. 208. მეორე განმარტებით: სახლთა ზღუდე მოკლებული განითი განად, ანუ სივრცითი სივრცედ, რათა საშუალო აქუნდეს ადგილი. ნ. ჩუბინაშვილი, გვ. 226.

<sup>2</sup> И. Я. Марр, Георгий Мерчул. Жизнь св. Григория Хандзтийского. См. дневник воездки в Шавшетню и Кларджетню, с. Петербург, 1911, стр. 75.

3. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ავ. შანიძის გამოცემა, თბ. 1945, გვ. 9.


4. ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, საქ. მეც. აკად. მოამბე ტ. 11, 1, 2, თბ. 1941, გვ. 172.

5. იხ. ვ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, თბ. 1942 ს. ყაუხჩიშვილი, დას. ნაშრომი. ავ. შენიძე, Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина езоის მოძღუარი «Эзоисмодзгуар»-и в древнегрузинском საქ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 11, 1-2, თბ., 1941 Г. А. Меликишвили, к истории древней Грузии, Тб., 1959.

6. ტერმინი დამოწმებული იქნა სოფ. ქსოვეტში (თეთრიწყაროს რ-ნი). მოხრობელი ჩოხელი ილია ბაგრატიის ძე, 75 წლის.

7. ბაკი, ქარაბაკი, ტურქმული, ხეასტკათი სადგურად მოკლებული ფიჩხისა და წენელისაგან, იხ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 226.

## ხითნაგები გზა მთის რაზაში



სოფელი გლოლა.

## Деревня Глола

საქართველოს მიწა-წყალზე ჯერ კიდევ მრავალი ისტორიული ძეგლი მოითხოვს საფუძვლიან შესწავლასა და ფიქსაციას, ბევრი გვხვდება ისეთი ძეგლი, რომლის ახლოს ვცხოვრობთ, ყოველდღიურად თვალს ვაგვლებთ მის სიდიადეს, ვამაყობთ მარჯვე ოსტატების ნახელავით, მაგრამ რატომღაც ჯერ არავეინ დაინტერესებულა მისი შესწავლით. დრო კი არ ითმენს, თავის უღმობელ დაღს ამჩნევს მათ. ასეთ ძეგლად შეიქმნება მივიჩნიოთ ხით ნაგები გზა, რომელსაც არაერთი მნახველის ყურადღება მიუქცევია. წინაპართა ამ ნაოსტატარზე უკანასკნელ დრომდე მიმოსვლა არ შეწყვეტილა, მაგრამ ჯერ მის შესახებ ფართო საზოგადოების გასაგონად სიტყვა არ თქმულა.

მთის რაჭის სოფლები მჭიდრო დასახლებით გამოირჩეოდა. მკვიდრად ნაგები დუროიანი ციხე-სახლებით დამშვენებული აქაური სოფლები დღემდე იპყრობენ მნახველთა ყურადღებას. ქვიტკირის სახლები ქვაფენილით ან ხით ნაგები ვიწრო ქუჩე-



საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

სანახში, მამაკაცთა საკრებულო. სოფ. ქიორა

**Sanaxi (место для сходки мужчин)**

ბით იყოფოდა ერთმანეთისაგან. ასეთი გზები საერთო სასოფლო საკუთრებად ითვლებოდა. მათი მშენებლობა დიდ ჯაფასა და ოსტატობას მოითხოვდა. ამიტომ მშენებლობაში სოფლის ყველა შრომისუნარიანი ადამიანი იღებდა მონაწილეობას. შეძლებისდაგვარად განაწილებული იყო შრომითი ფუნქციები ხელოსნებსა და უბრალო მუშებს შორის.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ თუ ძველ რომაელებს გზის სიმკაცრისათვის თხრილები გააკყავდათ, რომელსაც შემდეგ ქვებით ავსებდნენ და ზემოდან მიწით ფარავდნენ გზა რომ არ დარღვეულიყო, ჩვენს წინაპრებს ამ მიზნით უკეთესი ხერხები და საშუალებანი გამოუყენებიათ. სანამ გზის მშენებლობას შეუდგებოდნენ, წინასწარ ნოჭრიდნენ მუხის ხეებს, რომლებსაც ქერქს შემოაცლიდნენ და განსაზღვრული ზომის მორებად ღაჭრიდნენ. მიწაში, რომ არ ემოდრავა, მორებს დუროიან სახლებს შორის მჭიდროდ აწყობდნენ, შემდეგ კი ხის თავსა და ბოლოს გაბურღავდნენ და პალაობით დაამკრებდნენ მიწაში. გზის მთელ სიგრძეზე სიგანით ჩაწყობილ მორებს ერთიმეორისაგან 60--70 სანტიმეტრით აცილებდნენ და რკინიგზის განძელებივით აგებდნენ, შემდეგ მორებს რომ არ ემოდრავა და გზის ზედაპირი სწორი ყოფილიყო, მთელ ქუჩას ქვიშით ფარავდნენ. მორების ზედაპირი მიწიდან ოდნავ მოჩანდა. ასე ნაგები გზა სწორი, მაგარი, ქვეითად თუ ხარ-მარხილით და ხარ-ურმით მავალთათ-



ხონაგები გზა

### Дорога устланная кругляками

ვის მეტად მარჯვე და მოსახერხებელი იყო. სინესტისაგან დასაცავად გზას ორივე მხა-  
 ივეზე სოფლის თავიდან სოფლის იოლომდე მთელ სიგრძეზე ხის საწრეტი ღარები მი-  
 უყვებოდა და მდინარე რიოსს უერთდებოდა, რაც აო უდა დიდი ღვაოთქაფი მოსუ-  
 ლიყო, ასე ნაგები გზა არც ზიახდებოდა, არც იოლვეოდა და აოც ტალახიახდებოდა,  
 ღარებით წყალი ხდინარისაკენ მიემართებოდა.

ხით ნაგები გზა თავისი ჰირვახდელი სახით სოფელ გლოლაში იყო შემორჩე-  
 ნილი, კიდევ კარგი მისი ფოტოგადაღება დროზე მოხერხდა, ამ ორი წლის წინათ  
 სასოფლო გუბნის შეკეთებისას არავის გაუთვალისწინებია ხით ნაგები გზის ისტო-  
 რიული მნიშვნელობა, შორები აუყრიათ და გზა გაკეთების მაგიერ გაუუფერულებით  
 და გაუფუჭებიათ. დღეისათვის ეს სურათი შემოგვრჩა მხოლოდ როგორც უტყუარა  
 ნოწმე ხით ნაგები გზის უპირატესობისა სხვა სახის სასოფლო გზებთან შედარებით.  
 სოფელ ღებში და ჭიორაში ხით ნაგები გზის ნაშთებია შემორჩენილა, ჭიორაში ისევე  
 მოქმედებს ქუჩების გასწვრივ გამყოლი ხის საწრეტი ღარები, რომლებიც სილამაზას  
 გარდა ქუჩებს სინესტისა და დასურა — ატალახებისაგან იცავენ, გარდა ამისა ისინი



ერთგვარ საკანალიზაციო სამსახურსაც უწევენ სოფლის მოსახლეობას. ხით ნაგები  
გზები სოფელში ისე იყო დაგეგმილი, რომ სხვადასხვა განტოტებანი გზის სოფლის  
ცენტრში მამაკაცთა ტრადიციულ საკრებულო მოედანთან ე. წ. სანახშოტანლ ერთეულებს  
დებოდნენ. იქმნებოდა გზაჯვარედინი. სანახშოზე ყველას ადვილად შეეძლო  
მისვლა ისე, რომ ტალახში ფეხი არ დაეწვარა. გადმოცემა ამბობს და ისტორიული  
წყაროებიდან დასტურდება, რომ ოდესღაც ლები — უშგულის სამიმოსლო გზა ხით  
ნაგები ყოფილა. ხით ნაგებ გზებს რაჭის სინამდვილეში სოფლის გარეთაც ვხვდებით.  
მაგალითად, დიდი სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის გზებს, რომლებიც განკუთვ-  
ნილია მთიდან თივის მოსაზიდად ან ბარიდან მთაში სურსათ-სანოვარის გადასა-  
ტანად, ჭაობიან, ხრიოკ, დაღვარულ ფერდობებსა და აღმართებს ხშირ შემთხვევაში  
ხით ნაგები გზებით მართავდნენ და ამაგრებდნენ, იქ დღესაც შეხვდებით ასე გამაგ-  
რებულ საშთო გზებს. ეს საქმე იმითაცაა საყურადღებო, რომ დღევანდელ პირობებშიც  
კი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, იქ სადაც დღესდღეობით ასფალტის და-  
გება არ ხერხდება, შეიძლება წინაპართა ძველი მეთოდით სოფლის ქუჩების კეთილ-  
მოწყობა და გამაგრება.

---

## საფლავის ქვები ალგეთის ხეობიდან

საქართველოში ძველმა საფლავის ქვებმა შეტნაკლებად გაუძლეს ეამთა სიავეს და შემოგვინახეს ჩვენი ერის პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიური ისტორიის ამსახველი მრავალი უცნობი ფურცელი.

საფლავის ქვების შესწავლას ყურადღებას აქცევდნენ მ. ბროსე და ბარტოლომეი. მაგრამ მათ საფლავის ქვის მხოლოდ ეპიტაფიები აინტერესებდათ.

საფლავის ქვის შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, თ. ჟორდანიას, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.

საფლავის ქვების ერთი ნაწილის პუბლიკაცია ეკუთვნის: ვ. ბარდაველიძეს, გ. ჩიტაიას, მ. ამირანაშვილს, ლ. ბოჭორიშვილს, ს. ბედუკაძეს.

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმმა მიზნად დაისახა საფლავის ქვების გამოვლენა, შესწავლა და ზოგიერთი მათგანის მუზეუმის არქეოლოგიურ ზონაში ჩამოტანა და დაცვა. არქეოლოგიურ ზონაში იმყოფება აგრეთვე სიონის წყალსაცავის ზონიდან გადმოტანილი ეკლესია — ბაზილიკა (VI—VIII სს), ცნობილი „ბალიჭური“ სარკოფაგი ძველი ქართული ასომთავრული წარწერით, რომელსაც გამოკვლევა მიუძღვნა აკად. ა. შანიძემ და ვ. ჯაფარიძემ. არის აგრეთვე ფეოდალური საქართველოს უზარმაზარი თბილისური ქვევრები, რომლებიც შეისწავლა და აღწერა არქეოლოგმა გ. ლამბაშიძემ. საყურადღებოა ვეება ზეთსახდელი გელაზები. საგვარეულო აკლდამა და სხვ.

საფლავის ქვების გამოვლენის მიზნით მუზეუმის მიერ მივიღინებულ ვიყავი თეთრი წყაროს რაიონის სოფლებში: გობნარში, ტბისში, სამშვილდეში, ჩხიკვაში მაწევანში, ახალსოფელში და სხვ. ამ სოფლების მოსახლეობა სირითადად ქართველებია.

დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონი (ისტორიულად ქვემო ქართლი) ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და საირტულო ნაგებობების ამსახველი ძეგლებით მეტად მრავალფეროვანია. მთელი ალგეთის ხეობის ორივე მხარე და მის ირგვლივ განლაგებული სოფლები დაფარულია შესანიშნავი ეკლესია-მონასტრებით და მათ ირგვლივ არსებული უძველესი სასაფლაოებით. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ ამ მდამოებში უძველესი დროიდანვე უნდა ყოფილიყო განვითარებული ქვითხურობა, გამოქანდაკებლობა და ქვის სხვადასხვა სახით დამუშავება, რადგან ადგილობრივ მთიპოვებოდა იოლად დანამუშავებელი ქვები.

ჩვენს მიერ ჩამოტანილი საფლავის ქვებიდან პირველ ყოვლისა აღსანიშნავია სოფ. ტბისის ღეთისმშობლის ეკლესიის ეზოდან წამოღებული ვერძის (ყოჩის) მთლიანი ქანდაკება ზურგზე ქართული ეკლესიის მოდელითა და ჯვარით, რომელიც ერთი მთლიანი მასიური ქვისგანაა ნაკეთები. სოფელი ტბისი რაიონის ცენტრიდან 15 კილომეტრითაა მოცილებული. სხვათაშორის ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც აღწერს მდ. ალგეთის ხეობას, სოფ. ტბისის მხოლოდ ერთხელ ახსენებს და ამ ეკლესიას კერძოებით არა. ეკლესია მდებარეობს სოფლის დასავლეთით ერთ-ერთ მთაზე. სამანქანო გზა ბოლომდე არ მიდის.




საფლავის ქვა-ქანდაკება (ფოტო ირ. ზენკოსი  
და გ. საამიშვილისა)

Надгробная плита — памятник (фото  
И. Зенко и Г. Саамшвили)

ქანდაკება, რომლის სიმაღლე ერთი მეტრია, ხოლო სიგრძე ერთი მეტრი და 10 სანტიმეტრი, დადგმული იყო ეკლესიის სამხრეთით, საყდარში შესასვლელი კარიდან ხუთი მეტრის მოშორებით. თავი მიქცეული ქონდა დასავლეთისაკენ, მიწაში დაახლოებით 30 სანტიმეტრის სიღრმეზე იყო ჩაფლული. ყოჩს გვერდებზე არაფერი სარიტუალო გამოსახულება-მოხატულობა არა აქვს. ქანდაკება საუკეთესო ხარისხის ქვისგანაა ნაკეთები. ს. ბედუკაძის დასამუშავებელ ქვათა კლასიფიკაციას თუ მიეუყვნებთ, ვერძი „შაქარა“ ქვისაგან უნდა იყოს გაკეთებული: „შაქარა“ ქვას მკვლევარი ასე ახასიათებს: „ქვა არის საუკეთესო, სუფთა ლურჯი, რომელ მხარესაც არ უნდა მიარტყა იარაღი, ყველა მხრიდან კარგად ითლება“.

ჩვენი ვარაუდით ეს ქვა-ძველი უნდა აღემართათ სასულიერო პირის ან იქაური მღვდელმთავრის (ეპისკოპოსის) პატივსაცემად. იგი XI—XII სს უნდა ჯკუთვნოდეს. ამ ქანდაკების შესახებ ცნობებს ვერსად ვერ მივაკვლიეთ.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე საფლავის ქვა მშვილდის, კაპარჭის, მარცხენა მკლავის, ხმლისა და ხელის მტევნის გამოსახულებით. ქვის სიგრძე 168 სმ, სიგანე 80 სმ. სისქე კი 25 სმ. ქვა წამოღებულია სოფ. გოხნარის (ძველი სახელწოდება აძიკვი) სამაროვნიდან. საფლავი წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ-



საფლავის ქვები ალგეთის ხეობიდან (ფოტო  
 ირ. ზენკოსი და გ. სამიშვილისა)

Надгробные плиты (фото И. Зенко и  
 Г. Саамишвили)





თით მდებარეობდა საყდრიდან 4 მეტრით დაცილებული იყო ქვაზე გამოსახლებანი მეტად რელიეფურია და მალალი ოსტატობითაა შესრულებულია ფიქრებელია, რომ აქ მეომარი — მშვილდოსანი ანდა მონადირე ყოფილა ჩაღებული. იგი ცეცხლსასროლ იარაღამდეა ალბათ დასაფლავებული და ამიტომ XV საუკუნეზე ადრინდელად უნდა მივიჩნიოთ.

გონიარის სასაფლაოზე საინტერესო და არქაული ჩანს, როგორც მკვლევარი ს. ბედუკაძე მიუთითებს დასახელებულ ნაშრომში, საფლავის ორი ქვა სამმაგი ხეული რგოლების სიმბოლიური გამოსახულებით. ჩვენი მუზეუმისათვის წამოვიღეთ აგრეთვე შედარებით მცირე ზომის (შეიძლება ბავშვის) საფლავის ქვა, რომლის რიკულებიანი გამოსახულებების და ზედ ამოკვეთილი მშვილდის მნიშვნელობა ჯერჯერობით დაუდგენელია. მეტად საინტერესოა აგრეთვე საფლავის ქვა ურმის გამოსახულებით, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ მშრომელი — მუერმე იყო დასაფლავებული. მსგავსი ძეგლები გვხვდება აგრეთვე სოფ. ახალსოფელში (ძველი სახელწოდება ზა);

რაც შეეხება ქვების დამუშავების ცენტრებს და გამოთლელ ოსტატთა სკოლებს საქართველოში, იგი მრავალ ადგილას არის დამოწმებული.

ჩვენს მიერ აღგეთის ზეობიდან (თეთრი წყაროს რაიონი) ჩამოტანილი და ჩამოსატანად შერჩეული საფლავის ქვებიც გარკვეულ ინტერესს იწვევენ და ალბათ მეცნიერ-მკვლევართა ყურადღებას მიიქცევენ.



**„ღვთის სახლის“ რაობა და გენეზისი  
 კართული მონაცემების მიხედვით**

საღვთისმსახურო სახლის ან ტაძრის ერთ-ერთ სახელად საქართველოში იხმარებოდა „სახლი ღვთისა“ (ღმრთისა||უფლისა) ანუ სახლი საუფლო (საბა).

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „ხატად“ და „ჯვარად-წოდებულ ტაძრის ცენტრალურ შენობას ეწოდება „დარბაზი“, ვ. ბარდაველიძემ ამ ვარაუბრებს მიაქცია ყურადღება და სავსებით მართებულად აღნიშნა, რომ „ხატის“ ცენტრალური შენობა, როგორც ზოგიერთი მონაცემებიდან ჩანს, ურარტული ტაძრის მსგავსად, იწოდებოდა „სახლად“.<sup>1</sup>

ხეთის საზოგადოებაშიც ტაძარს ეწოდებოდა „სახლი“, სახელდობრ, „ღვთის სახლი“. ფართო გაგებით „ღვთის სახლი“ ამ საზოგადოებაში იმავს ნიშნავდა, რასაც „ჯვარი“ და „ხატი“ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში. ამ სახელებით აღნიშნული ტაძარი ანუ საკულტო ცენტრი, გარდა დარბაზისა, სადაც ინახებოდა ღვთაების რელიკვიები, სრულდებოდა საღვთისმსახურო ცერემონიები და დიდი დღეობების დროს იკრიბებოდა საბჭო (დარბაზი) — ღვთაების „საყმოს“ (თემის) მმართველობის უზენაესი თეოკრატიული ორგანო, შედგებოდა საკულტო კომპლექსი და სამეურნეო ნაგებობებისაგან — ბეღელი, საქვაბე ანუ სალუდე, საკოდე (აქ ინახებოდა ღვთის დასადღებელი და შესანახი კოდები); შენობები მსახური და მომსახურე პერსონალისათვის — საბურო, სადიასახლისო, სადასტურო და სხვ; და ბოლოს, ღვთის კარი, resp ჯვარის კარი ანუ ხატის კარი. ხატის კუთვნილებაში შედიოდა აგრეთვე „წმინდა ხეები“. („ხატის ხეები“), ხატის ტყე, ხატის ყანები, ხატის ვენახები, ხატის საქონელი. ხატს ემსახურებოდა მრავალი პირი.

საგულისხმოა, რომ ქართული წარმართული ტაძარი არა მარტო სახელწოდებით, არამედ სტრუქტურითა და შემადგენელი ელემენტების აღმნიშვნელი სახელებით ემსგავსებოდა ხეთების ღვთის სახლს. ამ სახლს „ხატის“ მსგავსად, ქმონდა საკულტო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, რამდენიმე კარი (hilammar)<sup>2</sup> ყანა-ვენახები და სხვა.

ქართული ეთნოგრაფიული მასალა გვაფიქრებინებს, რომ ხეთური „ღვთის სახლის“ კარი აღნიშნავდა არა მარტო ტაძრის კარს პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ამ კარის წინ მდებარე მოზღუდულ მოედანსაც, რომელსაც ქართულად ეწოდება „ღვთის კარი“ („ხატის კარი“). ეს ტერმინი ურარტულ ტექსტებშიც გვხვდება, მაგრამ ჯერ კიდევ სადაოა რას აღნიშნავდა იგი ურარტულების ყოფაში. ვ. ბარდაველიძემ თავის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნაშრომში ვარაუდობდა, რომ „ქართული გადმონათური მასალა უხარგებლო არ უნდა იყოს ამ საკითხის გადაწყვეტისათვის“. ეს ვარაუდი რომელიც ამჟამად უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე მაშინ, როცა იგი გამოითქვა, ემყარება იმას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა „ხატს“ რამდენიმე კარი ქმონდა. მათგან უნთავრეა იყო დარბაზის კარი და საქვაბის (||სალუდის) კარი. ხატის ყოველი კარი წარმოადგენდა სათანადო შენობის ფასადის წინ მდებარე



ნცირე ან დიდ მოედანს, რომელსაც ხშირად სამი მხრით დაბალი ყორე ქეონდა მოვ-  
 ლებული და დამშენებული იყო „წმინდა ხეებით“ და საკულტო „კოშკებით“.  
 მეტად საგულისხმოა, რომ ტაძრის კუთვნილ ყანას ხეთები უწოდებდნენ „ღვთის  
 ყანას“ (A SA DINGIR LIM) „ღვთის ყანა“ იგივეა, რაც ქართული „ხატის ყანა  
 ამ სახელწოდებაში „ხატი“ ნიშნავს ტაძარსაც და ღვთაებასაც („ღვთისშვილსაც). ხე-  
 თურ ტექსტებში „ხატის ბელის“, „ხატის ვენახის“ და „ხატის საქონლის“ იდენტუ-  
 რია „ღვთის ბელელი“, „ღვთის ვენახი“, „ღვთის საქონელი“.


ზემოთქმული ცხადყოფს, რომ განვითარებული ქართული, ისევე, როგორც ხე-  
 თური, წარმართული ღვთის სახლი რთული სტრუქტურის მქონე საკულტო-სამწერნეო  
 დაწესებულებას წარმოადგენდა. იგი ადრეკლასობრივ საზოგადოებაში გარნდა და ყ-  
 ლიბდებოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. წინაკლასობრივ საზოგადოებაში მას  
 მოეპოვებოდა წინამორბედები: საკულტო ხე, საკულტო სვეტი, ჯვარი, დროშა, საკულ-  
 ტო კოშკი თუ ნიში, საფლავი (საძვალე, აკლდამა), საკულტო ქვები, ღვთაებათა ინ-  
 სიგნიები, მათი კერპები და სხვ.

ამ ვითარების მაუწყებელია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ჩვენში ზოგიერთ ტა-  
 ძარს ეწოდება ძელიცხოველი („ძელცხოველი“). უეჭველია, რომ „ცხოველი“ ძელის  
 ანუ გაფეტიშებული ხის თაყვანისცემა წინ უხსრებდა „ძელიცხოველად“ წოდებული  
 ტაძრის წარმოშობას. ქართველების ერთ-ერთი სათაყვანებელი ხე იყო მუხა, რომელსაც  
 თავდაპირველად ეწოდებოდა ჯა<sup>2</sup>. (ამ სიტყვის სახეცვლილება უნდა იყოს „ძელი“).  
 ძელიცხოველად წარმოსახული ანუ გაფეტიშებული მუხა თავიდანვე არ იყო დაკავში-  
 რებული არც მცენარეთა სულთან და არც ღვთაებასთან. დროთა ვითარებაში იგი გარ-  
 დაიქმნა ჯერ მუხის, შემდეგ საერთოდ მცენარეთა სულის სადგურად (ბინად). საკულ-  
 ტო მუხის მიმართ შემუშავებული იდეის შემდგომი ცვლილება იმაში გამოიხატა,  
 რომ მუხა ადამიანმა გაიასრა მცენარეთა ღვთაებასთან შეკავშირებულ ფეტიშად.

მას შემდეგ, რაც ქართველ ხალხში მცენარეთა ღვთაებამ მთვარის ღვთაების სა-  
 ხე მიიღო, ცხოველი მუხა გახდა ამ ღვთაების სადგური და განსახიზრება (მთვარის  
 ღვთაებასთან ორგანულად დაკავშირებული ძელი ცხოვრებისა). მისი თაყვანისცემა  
 საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ თანდათან შეეზარდა წმ.  
 გიორგის თაყვანისცემას. რადგან აქ მთვარის ღვთაების ადგილი დაიკავა ამ წმინდან-  
 მა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ წმ. გიორგის ზოგიერთ ტაძარს ჩვენში ეწოდა  
 ძელიცხოველი (ჯა-ცხოველი). რომელიც ჯერ გაფეტიშებული მუხისა და მისი თაყ-  
 ვანისცემის ნიადაგზე გაჩენილი ღვთაების ტაძრის (ღვთის სახლის) სახელი უნდა  
 ყოფილიყო. ამრიგად, ეკლესიის „ძელიცხოველად“ მოხსენების ტრადიცია მოწმობს,  
 რომ ზოგიერთმა ტაძარმა საქართველოში სახელწოდება მიიღო მისი წინამორბედი  
 ხისაგან, რომელიც შემდგომში იდგა ტაძრის („ხატის“) კარზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთვარის ღვთაების მეგრული და სვანური სახელწო-  
 დებანი — ჯგვე (||გვე) და ჯგერაგ, რომლებიც ვენეტიკურად დაკავშირებულია ჯა  
 (მუხა — ძელი) სიტყვასთან, თავდაპირველად ნიშნავდა მუხას, „წმინდა მუხას“  
 მრავლობითში, ე. ი. მუხნარს, შემდგომში კი ხეს საერთოდ მრავლობითში, ე. ი. ტყეს.

ქართველთა ზოგიერთი ღვთაებისა და წარმართული ტაძრის („ხატის“) წმ. ხე-  
 ებთან გენეტიკურ მიმართებაზე მეტყველებს შემდეგი ტერმინებიც: კოჯორი, რომლის  
 წინამორბედი უნდა იყოს რკოჯორი (მ. გვეშიძე), ჯგვეთა (ღვთაება ჯგვეს სამ-  
 კვიდრო), ილორი (ეკლესიისა და სოფლის სახელი აფხაზეთში), ვაშლიჯვარა (ად-  
 გილის სახელი თბილისში), მუხის ანგელოზი, ნერგის ანგელოზი და სხვ.




სამლოცველო ნიში

Моляшвенная ниша

ტაძრის წინამორბედი საკულტო  
ობიექტები

Предшествующие культовые  
объекты храма







ღვთაებისა და ტაძრის საკულტო ხეებთან კავშირის მაუწყებელი ტერმინები, გარდა ქართულისა, არსებობს მრავალ სხვა ენაში. მივუთითებთ რამდენიმე „ტაძრის“<sup>1</sup> ლაც თესალიაში იყო პელასგების ტაძარი, რომელსაც ეწოდებოდა „იუპიტერის“<sup>2</sup> ლის ტაძარი“. ძველ ეგვიპტურში ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვაა Ntr სადაც n არის კუთვნილებითი პრეფიქსი, ხოლო tr — ხის აღმნიშვნელი.

კელტებში მუხა თაყვანისცემის იმდენად მნიშვნელოვანი ობიექტი იყო, რომ მისი სახელწოდება Kirk (ლათინურად querkus) კელტურიდან და ძველი გერმანულიდან წარმოქმნილ ენებში გახდა ტაძრის აღმნიშვნელი.

ის, რაც ითქვა ქართული ენობრივი მონაცემების მიხედვით გაფეტიშებული ხისა, ტაძრისა და ღვთაების ურთიერთობის შესახებ, იგივე უნდა ითქვას ამავე მონაცემების მიხედვით სვეტისა და ჯვრის ტაძართან („ხატთან“) და ღვთაებასთან დამოკიდებულების მიმართ.

ტაძრის („ხატის“) ჩასახვის მომენტიდან საკულტო ხე, გაფეტიშებული სვეტი, ჯვარი, „სახატო“ დროშა, საკულტო კოშკი, კერპი (ღვთის ქანდაკების სახით) და სხვა ამგვარი ფეტიშები გვევლინებიან ამ საკულტო ცენტრის ელემენტებად, თუმცა მისგან დამოუკიდებლადაც ისინი ინარჩუნებენ საკულტო ობიექტების მნიშვნელობას.

უძველესი „ხატები“ ანუ ტაძრები წარმოიშვა გვაროვნული წყობილების რღვევის ხანაში. გვაროვნული წყობილების რღვევამ გამოიწვია კულტმსახურების ადგილის დადგენა, ფიქსირება მომავალი ტაძრის ჩანასახის ფორმით და რელიგიური კულტის პირველი სპეციალისტების — ქურუმების გამოყოფა.

ამჟამად არსებული ქართული საკულტო ძეგლებისა და მათი ფრაგმენტების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართული წარმართული ტაძრის ერთ-ერთი პროტოტიპს წარმოადგენს კვარცხლბეკზე მდგომი ოთხმხრივ მოზღუდული სვეტის ღვთაების როშელიმე ინსიგნიით (ჯვარი, ფალოსის გამოსახულება და სხვ.). ზღუდეში დატანილია კარი. სვეტი დგას მოზღუდული მოედნის ცენტრში ან უკანა კედლის მახლობლად. სვეტის ალაგას შეიძლება ყოფილიყო საკულტო კოშკი, რომელსაც აღმართული იყო დროშა. უფრო სრული ფორმის ტაძარი მოიცავდა მცირე სახლსაც, რომელშიც ღვთაების რაიმე ემბლემა ან ემბლემები იყო.

<sup>1</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб. 1957, стр. 11.  
<sup>2</sup> Г. Г. Георгадзе, Очерки по социально-экономической истории хетского государства, Тб. 1973, стр. 108—109.  
<sup>3</sup> Н. Марр, О религиозных верованиях абхазов, Христианский Восток, т. IV, вып. I, Петроград, 1915, стр. 133—139.



XVII ს. დასაწყისში კვლავ დატრიალდა საქართველოს თავზე აგებდობის დიდი კვერი. უღვთოდ გაიღწა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა უთვალავი სიცოცხლე. მოისრა და განიავდა აყვავებული მიდამოები, იავარიქმნა, გაპარტახ-გაუკაცრიელდა საქართველოს ულამაზესი კუთხე, შაჰ აბასის ბრძანებით 100000-მდე გადაჩრეწილი კახელი გაუყენეს სპარსეთის გზას.

მიდიოდა განწირულთა, ტყვექმნილ აყრილთა ეს ბედკრული ქარავანი და ფიზიკურ და სულიერ იარებთან, სამშობლო კუთხის ჩუქრობელ სიყვარულთან თუ უკან დაბრუნების ფარულ იმედთან ერთად თან მიჰქონდა ერთი მუჭა მშობლიური მიწა და მამა-პაპური ქართული პურის თესლი...

ქართულ პურს, ხორბლის ძველქართულ ჯიშებს ბევრი მკვლევარი დაუინტერესებია. საქართველო ზომ აღიარებულია ხორბლის წარმომობისა და მის სახეობათა თუ ფორმათა წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად. საქართველო ყურადღებას იპყრობს ხორბლის ჯიშ-ვარიაციათა იშვიათი სიმრავლით. ქართველ მიწისმოქმედს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე შეუქმნია და სრულუყვია ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, გარკვეულ გეოგრაფიულ ზონებთან თუ ჰავასთან შეფარდებულ-შეგუებული ხორბლის საუკეთესო ჯიშები, რომელთაგან აღმოსავლეთ საქართველოს მემინდვრობაში ოდითგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რბილ ხორბალს. (Tr. Vulgare Vill) ამ ყველაზე პოლიმორფული ხორბლის ქართული ჯიშებიდან კი განსაკუთრებით საინტერესო ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს ხორბლის ზონების ძირითადი ნაწილისათვის (ბარისა და შუამთის ზოლი) დამახასიათებელი დოლის პური, რომლის სპეციფიკურმა თვისებებმა მიიქცია მკვლევართა ყურადღება.

აკადემიკოს ნ. კვცხოველის დახასიათებით, „ქართული დოლის პური და მისი ჯიშები ქართველი მიწათმოქმედის პირმშო შვილია. მრავალი წლის მანძილზე შერჩევითი სელექციისა და პირობების გაუმჯობესების გზით შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო ნამდვილად კლასიკური ჯიში, უფრო სწორად, ჯიშთა კვლევი, რომელიც საქართველოს ყველა ზონაში კარგად გრძნობს თავს... ვაკის დოლის ხარისხა აქამ სავრთოდ ცნობილია. მასში თითქოს ასაბუღია ჩვენი წარსულის ისტორია...“.

საველე ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, დოლის პური მრავალი დადებითი თვისებით ხასიათდება. ხალხური სელექციის მიერ ყოველი გარკვეული რაიონისა თუ აიკოროაიონისათვისაც კი გამოყვანილი, ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ან ხორბლის შესატყვისი ვარიაციები უზრუნველყოფს მალაქმოსავლიანობას. ამასთან, დოლის პური განსაკუთრებით ფასდება მოსახლეობაში როგორც იშვიათი სარისხის ხორბალი. ამიტომაც ძირითადად დოლის პურის გავრცელების არეში, მოსახლეობა მას „ნთავარ“ პურს უწოდებდა, სარიტუალო დანიშნულებისათვის, სამღიოსათვის სწორედ მას იყენებდა და მხოლოდ მისი ბარაქის მადლს იფიცებდა. საუკეთესო ბოობლის ამ ჯიშისაგან გამომცხვარი პური, მისი ცომი ზელაში კარგად ღვივდება, იმატებს, ძარღვიანია — „ღვედიანია“. გამწვავია, პური კი გემრიელი, სურნელოვანი



დოლის პური

Озимая пшеница



და რბილია, არ ფაშრდება, ნოყიერი, მაწიერი, წიაღიანია“. იგი სხვა ზორბალთან შედარებით მალალ ფასში იყიდებოდა.

დოლის პურის, ამ საშემოდგომო კულტურის, სათესლე მარცვალი მარცვალს აქვს — მრავლდება, აქვს დაბუჩქების უნარი, „ძლიერად“ ამოდის, მაგარი ღერო აქვს, სხვა ზორბალთან შედარებით უფრო საიმედოა, მარცვალს მეტს იძლევა, ბარაქიანი ჯიშია. უძლებს გვალვასაც, ქარსაც და, რაც მთავარია, სეტყვასაც. ამ უკანასკნელის მიზეზი კი ისაა, რომ დოლის პურის მარცვალი მაგრად, მკვრივად ზის ბუდეში, ამიტომაც იგი ხორბლის სხვა, რუსული და ევროპული ჯიშებისაგან განსხვავებით ადვილად არ ცვივა. ეს გარემოება კი განსაკუთრებით ხელსაყრელსა და ფასეულს ხდება ამ ჯიშს იმის გამო, რომ საქართველოს მუდმივი ძნელბედობისა თუ სხვა მიზეზით მოუცლელობის შედეგად არც თუ ისე იშვიათად გვიანდებოდა მოსავლის აღება. ასეთ პირობებში კი ფასდაუდებელი იყო ჯიში, რომელიც არ ჩაიბნეოდა, ქარ-სეტყვასაც გაუძლებდა და დავიანებებითაც კი მოსავლის უდანაკარგოდ აღების საშუალებას იძლეოდა. თანამედროვე მექანიზებული სოციალისტური მეურნეობის პირობებში ხორბლის ამ ჯიშის ბუდეში მკვრივად მჭდარი მარცვალი ძნელი გასალეწი აღმოჩნდა კომბაინისათვის და ნელი-ნელ გაქრა ყოფიდან ხალხური სელექციის ეს საუკეთესო ნაყოფი. იგი შეცვალა ახალმა, თანამედროვე სელექციურმა ჯიშებმა.

...დაშკვიდრდა ფერეიდანში კახეთიდან აყრილი მოსახლეობა. გლეხმა იქაც, იმ უცხო მიწაზეც გუთანსა და თოხს მოკიდა ხელი, ამრავლა პურის თესლი. დახვდა სპარსეთს გადასახლებულ მიწის მუშას ხორბლის ადგილობრივი ჯიშ-ვახიაციები, მაგრამ განსაკუთრებით სათუთად ეპყრობოდა და უფროთილდებოდა იგი საქართველოდან წადებულ, მშობლიური პურის თესლს, რომელმაც ჩანს, ახალ გარემოშიც შეინარჩუნა მისთვის დამახასიათებელი დადებითი თვისებები. ამის მაღლია ის, რომ სამნახევარი საუკუნის მანძილზე თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ღვივებოდა სპარსეთის ნიადაგში ქართული ხორბლის თესლი, ისევე როგორც ფერეიდნელი ქართველის გულში ღვიოდა და შთამომავლობას გადაეცემოდა სამშობლოში დაბრუნების დაუოკებელი სურვილ-ოცნება. და შეეხსა ფრთა ამ ოცნებას — სპარსეთში გადაკარგულ, მაგრამ მაინც ქართველად დარჩენილთა შთამომავლების პირველი ნაკადი მიიღო მარშან დედა-სამშობლომ. კეთილი იყოს მათი დაბრუნება!

რეპატრიანტებმა ბევრი რამ საინტერესო შემოგვინახეს ძველი საქართველოსი, რაც ნაწილობრივ აისახა ჩვენი ეთნოგრაფების საველე დღიურებში. ფერეიდნელ ქართველთა სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული მასალიდან ირკვევა, რომ სათ მემანდგრობაში ცნობილია სხვადასხვა ჯიშის ხორბალი. ამათგან კი უპირატესობა ეძლევა საშემოდგომო კულტურას, რომლის თესლი იქ საქართველოდანაა ჩატანილი. ბუნებრივია, წარმოიჭრება კითხვა — ხორბლის რა ჯიშთან გვაქვს საქმე? საფიქრელია, რომ ამ საკითხის გარკვევაში პირველ რიგში უნდა მოგვხმაროს თვით კულტურის სახელწოდება. და თუ იგი არაფრის მოქმედია, მაშინ ყურადღება უნდა გამაძვირდეს მის შესახებ არსებულ ეთნობოტანიკურ მონაცემებზე, ხალხურ აღწერილობით მასალაზე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? ფერეიდნელ ქართველთაგან მიღებული ცნობის მიხედვით, ქართულ საშემოდგომო ხორბალს „ყანას“ უწოდებენ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვაწვდის სიტყვის — „ყანა“ — შემდეგ მნიშვნელობებს: თავთავიანი კულტურების, დასავლეთ საქართველოში კი, სიმინდის ნათესი, სახნავ-სათესი ადგილი, მიწა, ქვეყანა. უკანასკნელ ხანს კი აღმოსავლეთ საქართველოში შერეული



ეთნოგრაფიული მასალით გამოვლინდა ამ სიტყვის კიდევ ერთი მნიშვნელობა — იგი იხმარება მხოლოდ საშემოდგომო ხორბლის და ისიც გარკვეული ჯიშის. — დოლის პურის, — აღსანიშნავად! ამ ფაქტის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფერეიდნის შემინდგრობაში ყანის სახელწოდებით ცნობილი საშემოდგომო ხორბალი შეესატყვისება ჩვენს ქართულ დოლის პურს. მით უფრო, რომ იქაც ეს სიტყვა აღნიშნავს მხოლოდ ხორბლის ერთ, ისიც საშემოდგომო ჯიშს და არა საერთოდ ყველა ხორბლის ნათესას თუ საყანურს. აღნიშნული ვარაუდისავე სასარგებლოდ უნდა შეტყვევებდეს ყანად წოდებული ხორბლის ფერეიდნელ მთხრობელთაგან მიღებული აღწერა — დახასიათება.

„ყანა შემოდგომის ხორბალია, ჟენკის ხორბალია“ — გვაწვდიან ცნობას ინფორმატორები და იქვე განმარტავენ: „ხორბალს რომ გალენავ, დარჩება ბუდიდან გამოუსვლელი — სორბლის ჟენკს ეძახიან. იმაზე გადაატარებენ კვერს ახალსა (ე. ი. ხელახლა), გამოვა ხორბალი თავის ბუდისაგან“. ან კიდევ — „ბეჩი რომ ხორბალია წაბვეული, იმ თავთავ ვეძახით ჟენკი. ძნელად იღეწება, თავის ხორბალი ძნელად გამოდის, მაგარია, იგრე ლეწვაში მაგარია, თოვლშიაც გამძლეა. ერთი კიდევ არი, თეთრ ხორბალ ვეძახით, ამას ჟენკი კი არა აქვს, გალენვაში სუ გამოვა ხორბალი... ემას (ყანას) ორფას (ორჯერ) გალენვა და განიაგება უნდა და სხვებს — ერთფას... ჩიტი ვერ ჭამს იმასა, ჟენკში ვერ გამოიღებს ყანას. თავთავში ჩიტი ვერ გამოიღებს შაჭამოს, მაგარია. სხვა ხორბალს ადვილად გააფუჭებს... ჩონ შამა-პაპისაგან გაგებულია, რომ ეს ჟენკის ხორბალი, ყანას რო ვეძახით, ეს ემ თოვლშეგა გამძლე არი. წითელი პურია, ფხა აქვს. ესეც გაგებული გვაქ, რო საქართველოდან მოტანილი ხორბალია. მარტო ქართველსა ჰქონდა ეს ხორბალი. თუ ვინმესა აქვს, ფერეიდნიდან წაღებულია ის ხორბალი. სხვებს ეზლა მიჰქონდათ. ნახეს რომ კარგად ძლებს, მიჰქონდათ ...ემის გალენვა ძნელია. ჩვენი შამა-პაპა ამბობდა — ეს მოხანით, არ დაკარგოთ თესლი, მოვიდეს, პური იყოს და ძნელად გაილენვოს, რა უშავსო... ყანის თავთავი დიდია, ერთ ჟენკში 3—5 ხორბალია... მაგარი პურია, ძლიერი პურია... — ამის გამსხვავება სხვა ხორბალთან იცი რა არი? იქ ერთი რაიონია, იქ შეაქლემეობა და მეცხოვრება ბევრია. ისინი მოდიოდნენ ყე, ჩონ მინდორში აძოვონ და ეს ხორბლის კარგობა ჩონ ვიყოლით. იმათაც გეტვო ყე რა არი. იმათ რომ მოვიდნენ ყე ფერეიდანში, ხორბალი იყიდიან. სხო ხორბალი არ იყიდიან. ეს ხორბალი ნეტი იყიდიან ყე, ჟენკის ხორბალი ფასიც მეტი აქვს. მძიმე იყო. იმათ იცოდეს რა არი ეს ხორბალი. ჩემ შამა შეეკითხა რათ ეგრე ძვირად სყიდობთო ამ ხორბალს? — სხო ხორბლისა თუ ორი კილო შაიჭმება, ეს ერთი კილო შაიჭმებაო. ერთი კილო ორი კილოს ალავს იჭერსო...

...პური რო გამოვაცხით ყე, რო გახმის, ათი დღისაც რო იყო და სითბოზე, ისეთი კარგი გამოდის, როგორც ახალი პური. ფეი (ძარღვი) კარგი ჰქონდა ჟენკის ხორბალს. თეთრ ხორბალს ცოტა ჰქონდა ფეი, ქერივით. დეიმიხ (ხორბალია) და თეთრი ხორბლის პურს არა აქვს ეგეთი, როგორც ყანას. ყანის პური ყველას ჯობია... ყანა ყველაზე საიმედო, არ მოცდება, არ გაფუჭდება რანაირი ჰაერიც იყოს. ის სუზე (ყველაზე) მაგარია, იმედი გვაქვს იმაზე, გამოსვლაზე — ყანაა, ჟენკის ხორბალი...“

მამ ასე, აქ მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ ყანის, საქართველოდან წაღებული ხორბლის მარცვლი მაგრად ზის ბუდეში და თუმც ძნელდება მისი გალენვა, სამაგიეროდ არ ცვივა. არც თოვლი აფუჭებს მას და ვერც ფრინველი ანადგურებს. ყანა საშემოდგომო ხორბალია. ჰავის პირობებს შეგუებული, მოსავლიანობის მხრივ საიმედო,

გამძლე, მაგარი კულტურაა, ბარაქიანი მოსავალი იცის. მისი ცომი ძარღვიანია, პური რბილი და ნოყიერი, ამიტომაც ძვირად ფასობს. ყოველივე ეს კი უდგება ქართული დოლის პურის აღწერილობას.

აღნიშნულს გარდა უწრადღებებს იპყრობს აგრეთვე ყანასთან დაკავშირებული შემდეგი ცნობაც „ყანა რო გაზაფხულზე დათესოს, თავთავს არ წაისხამს. ამოვა ჯეჯილათა და გაიშლები, არ დაორსულდები. შემოდგომით რო გვიან მოხვნი, დაწვლადღების, დაუგვიანდების, არ ამოვა. ჩონ მამების ნათქოშია — თუ ნელა (გვიან ნათესი) ხორბალი კარგი გამოვიდა, შვილთან არ თქვაო... დეგრევეის და გ(ვ)იან მახნავს და არ ამოვაო. უნდა დროზე მახნა, დრო აქვს იმას, თუ ადრე, დროსა ყე წინ თუნდაც ხუთი დღით, მოეხნაუთ ყანა, ზაფხულში რო გამოვა თავთავს არ გაიკეთებს. და თუ გ(ვ)იანაც მოხნავ, არ მოვა. ამასა ერთი დრო აქვს აუცილებელია“. საველე დღიურიდან მოტანილი მთხობელთა ამ სიტყვებიდან ვლინდება, ერთი მხრივ, ფერეიდნელი მიწათმოქმედის ფენოლოგიური ცოდნა-დაკვირვება და მასზე დამყარებით თესვის ვადების განსაზღვრა, მეორე მხრივ კი, თვით ყანად წოდებული ხორბლის ჯიშის გარკვეულ ვადაში დათესვის აუცილებლობა. ქართული ეთნოგრაფიული მასალითაც, თუ ხორბლის ზოგიერთი სხვა ჯიში შეიძლება დაითესოს როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე, დოლის პური მხოლოდ საშემოდგომო კულტურაა. მისი გაზაფხულის ნათესი მოსავალს არ იძლევა. ამასთან, განითქმულია მოსაზრება, რომ სახელწოდება — დოლის პური ნიშნავს გარკვეულ დროს, ვადაში დასათეს ხორბალს, ისევე როგორც დოლის ბატკანი და დოლის შუშა შესატყვისად გამოხატავს გარკვეულ ვადაში მოგზულ ბატკანსა და მოჭრილ შუშას.<sup>7</sup> თუმცე საქართველოს ზოგ რაიონში მოპოვებულია ამ მოსაზრების დამადასტურებელი ეთნოგრაფიული მასალა, მაგრამ ამ საკითხის საბოლოოდ გასარკვევად კიდევ დამატებითი კვლევა-ძიება საჭირო. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ თუ ქართული დოლის პური, ხორბლის სხვა ჯიშებისაგან განსხვავებით, მართლაც მოითხოვს თესვის ვადების უქველად ზუსტად დაცვას, მას ამ ნიშნითაც ემსგავსება ფერეიდნელთა ყანა. და ეგების ამ სახელწოდებით ცნობილი, ბოლო დრომდე შემორჩენილი ხორბლის სახით ფერეიდნელმა ქართველმა შემოგვიანახა ჩვენში აწ ყოფიდან გადავარდნილი მამა-პაპური დოლის პური. ეს გარემოება საყურადღებო ჩანს იმ თვალთახედვითაც, რომ წარმოადგენს სიტყვასთან — „ყანა“ — დაკავშირებით ახალმოპოვებული ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების დადასტურებას.

ფერეიდნელ ქართველთა ყოფაში მოწმდება საქართველოდან წადებული მეორე, სამეცნიერო ლიტერატურაში Tr. iberikum Men-ის სახელით ცნობილი ხორბალიც. ამ საგაზაფხულო კულტურას იქაც თან გაყოლია და დღემდე შემორჩენია ქართული სახელი — დიკა.

ქართული კულტურის მკვლევართათვის ფერეიდნელთა ყოფაში სხვაც ბევრი რამა საინტერესო. ამ უკანასკნელთა გამოვლენა და შესწავლა საშური, გადაუდებელი საქმეა, თუნდაც იმიტომ, რომ რეპატრიირებული ქართველი სწრაფად ეგუება ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს და რიც შემთხვევაში, მის მიერ მოწოდებული მასალა აქაურ ელფერს იძენს, კარგავს იმ პირველყოფილ იერს, რაც ახალჩამოსულთაგან მიღებული ცნობებისათვისაა დამახასიათებელი. ამასთან, მისი მეტყველება ითვისებს თანამედროვე ქართულის ლექსიკას და ვკარგავთ ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი, საუკუნეთა მანძილზე შემონახული ძველქართული გამოთქმების ფიქ-



საციის საშუალებას. მთხრობელი უკვე ცდილობს ჩვენთვის გასაგები, მის მიერ აქ შესწავლილი ტერმინებით გვესაუბროს, რაც, ხშირ შემთხვევაში, არ იწვევს ემისიას, ვეჭვობ, რომ ის ფერეიდანში ჩვენთვის უფრო საინტერესო სიტყვით გამოხატავდა იმედი, ვიდრე ცნობას. ამიტომ საჭიროა ფერეიდანელ ქართველთაგან მასალის დროული და დაკვირვებული შეკრება, რათა არ დაგვარგოთ წარსულის ცოცხალი ისტორიის შემორჩენილი ფურცლები.

- 1 ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ. 1957, გვ. 280.
- 2 ნ. ბრეგაძე, გორის რ-ში 1967 წ., ერწო-თიანეთში 1969 წ. ჰვ. ქართლში 1969-1971 წწ და გურჯაანის რ-ში 1973 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიციების დღიურები (ხელნაწ.).
- 3 ნ. კეცხოველი, დასახ. ნაშრ. გვ. 280.
- 4 ნ. ბრეგაძე, სიტყვის — „ყანა“ — ერთი მნიშვნელობის შესახებ, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, 67, № 1 1972.
- 5 ცნობები მომართუეს გოლამ რეზა ონიკაშვილმა, მაჰმად დარვაშ ალი, ნამთოლა და კასან ბათუაშვილებმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ.
- 6 ნ. ბრეგაძე, გურჯაანის რაიონში 1973 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური (ხელნაწ.)
- 7 ა. კვლიაშვილი, სიტყვა „დოლის“ გავებისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, № 32, 1962; ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 23-24.

**თოხების ნაირსახეობა აღმოსავლეთ სამეგრელოში  
ეთნოგრაფიული სინამდვილიდან**


აღმოსავლეთ სამეგრელოს ხეობების ტერიტორიაზე თოხების მეტად საინტერესო ნაირსახეობანი დავამოწმეთ, მათი ილუსტრაციები წარმოდგენილია ჩვენს ტაბულებზე. მხარის მთიან ზონაში გავრცელებულია კვი დი ში დო ლუ მუ ში ბერ გ ი (მჭადისა და ღომის თოხი იხ. ტაბულა III. ნახაზი. I.). იგი დამოწმებული გვაქვს სეფეთშიც და კურზეშიც. თოხი დაახლოებით 28 სანტიმეტრის სიმაღლისაა, საკვეთი პირი თანდათან ზემოთ ჩაჭრილი და ვიწრო ყელად აღმავალი სატარე აუთ ბოლოვდება. ყელის სიმაღლე ექვსი სანტიმეტრია, საკვეთი ნაწილის სიფართო თორმეტი სანტიმეტრი, გვხვდება ოდნავ წამოხრილიცა და სწორიც. წამოხრილი უფრო მთაში იხმარება, ხოლო სწორი ბარში. მსგავსი ღომის სათოხნი თოხი ისუნდერში (ცაგერის რაიონი) კინჩხასა და გორდში დავადასტურეთ. ეს თოხი შედარებით ადრეული ფორმაა. ღომის სათოხნი, სამარგლავი თოხი სხვადასხვა სახის იყო და ბევრგან იყო გავრცელებული. მცირე ფორმის ახოს თოხები დამოწმებული აქვთ ჯ. რუხაძეს<sup>1</sup> და ნ. რეხვაიაშვილს<sup>2</sup>.

ასეთივე ადრეული ფორმაა „ორ ტვი ი ში“ ან ბოსტნის თოხი, (იხ. ტაბულა III. ნახ. II). რომელიც საკვეთი პირისა და პირის სწორ მხრებიანი ცენტრიდან აღმართული ყუისაგან შედგება. მისი პირი სულ 12 სანტიმეტრის სიმაღლის და 10 სანტიმეტრის განისა. იგი მსუბუქი თოხია, რომელიც ზედაპირული და ხშირ-ნიცნარებიანი ნიადაგზე სამუშაოდ იყო გამოყენებული. ასეთი თოხი ჩვენ რაჭაში, კვაცხუთშიც აღვწერეთ. იგი ფართოდაა გავრცელებული ჩხოროწყუს რაიონშიც.

ჩენგი (იხ. ტაბულა IV ნახაზი I), ორიგინალური ფორმის თოხია, რომელიც დავამოწმეთ სალხინო-თამაკონიდან — ლებარდემდე. იგი ბუჩქნარი და მძიმე, ქვიანი ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი ყოფილა. ახლა მხოლოდ აჭა-იჭა შემორჩენილი. გეგმკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში დაცული ერთი ასეთი თოხი ეკუთვნოდა სოფ. საელიას მცხოვრებ დ. ხაქოშიას. იგი 17×12 სანტიმეტრის ფართის მქონე, სწორმხრიანი საკვეთია. პირის ყუის ზემოთ, კოპის ადგილას მაღალი ბიბილო (თიკი) აზის, 6,5 სანტიმეტრის სიმაღლისა. პირის სიფართო 5—7 სანტიმეტრზე მეტია. იგი პირის და ყუის ჭრილის გარდიგარდმო ადგას ყუას, ტარის პარალელურად. თიკი ბუჩქნარის ფესვების და სხვა ნარჩენების საჭრელად ყოფილა მოწყობილი. სახელწოდება ჩენგი გავრცელებულია მთელს სამეგრელოსა და იმერეთში, ოღონდ მათი მოყვანილობა განსხვავდება. იმერული ჩენგი მაღალი ყუის და სწორმხრიანი საკვეთი პირისაგან შედგება. ხობსა და გალში დამოწმებული ჩენგიც დაახლოებით ასეთივეა.

თოხის ძველ ფორმათა შორის მეტად საინტერესოა ო რ ჩ ქ ო ნ ა ლ ი ბ ე რ გ ი ც (საჩორგნი, საღარავი თოხი. იხ. ტაბულა IV ნახ. II) იგი შედარებით მცირე ზომისაა, სიმაღლე რქიანად 18—20 სანტიმეტრს აღემატება. ყუის ქვემოთ წვერწაწვეტებული, ხოლო წელში ფართო (ხუთი სანტიმეტრის სიფართის) რომის ფორმის საჭრელი პირი აქვს, ბრტყელია და წვეტიანი. ყუის ზემოთ ადგას მაღალ კოპზე აღმართული






ტაბულა III

Таблица — III

ექვსი სანტიმეტრის სიმაღლისა და ორი სანტიმეტრის სისქის ორი რქა. რქებს შორის მანძილი შვიდ სანტიმეტრზე მეტია. ეს თოხი შთის, ფერდობის ნიადაგის, ქვიან და ბუჩქიანი ყაშირის გასატეხად ყოფილა გამოყენებული: მისი ტარის სიგრძე 70—80 სანტიმეტრს არ აღემატება. წინიდან ხარის შუბლისა და პირის მოყვანილობა აქვს. დღეს იგი არსად არ გამოიყენება, ჩვენ მაღალმთიან ზონასა და ზეგანზე დავადასტურეთ. ერთი ასეთი ეგზემპლარი სოფ. კურსუდან ჩამოვიტანეთ, მას კეკესაც ეძახიან. და აღნიშნავენ რომ იხმარებოდა უფრო ფართო პირიანი ურქო კეკიც. ეს სახელწოდება იმერეთშიც გვხვდება და იგი პატარა ზომის საბოსტნე თოხს ჰქვია. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „პატარა თოხს იმერეთში „კეკი“ ეწოდება. ეს ტერმინი „ქეკა“ ზმნასთან, სახელდობრ, მის მგერულ სახეობა „კეკუა“-სთან უნდა იყოს დაკავშირებული<sup>1</sup>. მართლაც, იგი საკეკი, საქეკი, სახილავი, ნიადაგის მსხვილმარცვლოვანი სტრუქტურის შესაქმნელი იარაღია, რომელიც სარეველათა გამოსაქეკად, ნიადაგის გასაფხვიერებლად იხმარებოდა.

ორივე ეს სახე, თოხების იმ სახეობათა რიცხვში შედის, რომელზეც მიუთითებდა პროფ. გ. ჩიტაია. ეს არის „კომბინირებული თოხები, რომლებიც შეიცავენ თოხ-წორაქესაც და თოხებსაც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მათ მიეკუთვნება... „ცულქარჩი“, „თოხწალკატი“, „თოხწურაქევი“, „ბართოხი“ და სხვა“<sup>2</sup>.


ამ ერთეულის მსგავსი ინვენტარი აღწერილი აქვს ნ. ბრეგაძესაც. მის მიერ აღწერილი „ცქვიტიანი თოხი“<sup>3</sup>, სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი თოხის ერთ-ერთი სახეობა უნდა იყოს.



ტაბულა IV

Таблица — IV

შემოთ აღწერილი ნიმუშები თოხის უძველესი და ამჟამად მხოლოდ იშვიათად შემორჩენილი სახეობანია. ჩვენს ტაბულაზე წარმოდგენილია სიმინდის ფორმები და გავრცელების ზონები. ყველაზე გავრცელებული, ადგილობრივი მჭედლის მიერ გაკეთებული თოხია, რომელსაც „ჩქინებურას“ (ჩვენებურს) ეძახიან. მას „ყაზახში ბერგსაც“ ეტყვიან (ვაეკაცის თოხი). იგი ხასიათდება ოვალური მხრებით, სწორი პირით, მაღალი ყუით და კოპით. მის ოვალურ მხრებზე ამბობენ „ნაბადივით მოხურულიაო“. იგი მჭედად მოხერხებულ იარაღად ითვლება (ტაბულა I. ნახ. 1). ასეთი ოვალურ-მხრიანი თოხი უმთავრესად მთაში გამოიყენებოდა. მსგავსი თოხი სოფ. ჯგალში დამოწმებული აქვს ნ. რეხვიაშვილმა. ბარში უმთავრესად გავრცელებულია ყუის ორივე მხრივ ოდნავ ჩაკეცილი და შემდეგ ოვალურად მხრებჩაჭრილი თოხი, რომელსაც ყუის კოპი საკმაოდ გრძელი 2—2,5 სმ. სიმაღლისა აქვს. თოხიც უფრო გაშლილია, ოდნავ ოვალური ფორმის პირი აქვს. მისი სიგანე 25 სანტიმეტრია, მას „ოყიან, საყაზახო ბერგს“ ეძახიან (ოყიანი, სავაეკაცო თოხი). ხოლო ტარის სიგრძე მუშას ცხვირამდე უნდა წვდებოდეს,<sup>7</sup> მაგრამ 160 სანტიმეტრს მაინც არ უნდა აღემატებოდეს. მთაში ჩაყვრებული ნიდაგის გამო უფრო მოკლე ტარიან თოხს იყენებდნენ (120 სმ). მთხრობელთა სიტყვით თოხმა სიმინდის თოხნისას ნიდაგი კი არ უნდა მოთალოს, არამედ ღრმად უნდა ჩაჭრას და ააბრუნოს იგი; ამიტომ თოხი „ოყიანზე“ ორ გირვანქაზე მეტი წონისა უნდა უფილიყო. „გაიდვეი მხარზე ოყიანი თოხი და წადი სათოხნადაო“, — ასე იტყვიან ხოლმე აქ. „ოყიანზე ნაკლები წონის თოხი ბავშვურია. მას უღონო, სუსტ კაცს, ქალებს და ბავშვებს მისცემდნენ სამუშაოდ. ასეთი თოხით თოხნას ზვაეი არა აქვსო“, — ამბობდნენ ხალხში.<sup>8</sup> ასეთი თოხი ფართო, არანაკლებ 25×20 სმ. ზომისა უნდა ყოფილიყო.




ტახი I

Таблица — I

ტახი II

Таблица — II





თოხის გაჭედვა ყველას როდი შეეძლო. თოხს მალალი ხარისხის ფოლადისაგან ამზადებდნენ დაბელოვებული ოსტატები. ჩვენს საკვლევ ზონაში ცნობილი მხოლოდ ერთი ლაგვილავები. „მათ მიერ გამოჭედილი რკინა მაგარი, კარგად ასაწყობი და დამუშავებული იყო. კარგი რკინის პირის აწყობას ბევრი ჯაფა არ სჭირდებოდა, მას მიწაც კი კარგად უღესავედა პირსო“. — იგონებდა მცირეწლოვანი ალექსანდრე წულაია.

სოფლებში განსაკუთრებით სეფითიდან ნაგავზაომდე გვხვდება კურული თოხი. იგი ზოგან ოვალური მხრებით, უფრო ხშირად კი აწურული, სწორი მხრებით ხასიათდება (ტაბ. I. ნახაზი II). მას ეწოდებოდა ხუჯიანი — აწურულ მხარეანი ეწოდება. ამ თოხს ყუას ზემოთ მოზრდილი კოპი აქვს. იგი ბარში „აგოზი“ — თიხნარი, წიმიხე ნიადაგის სამუშაოდ ყოფილა გამოიზნული. შემოქმონდათ გურიიდან. მოხუცთა სიტყვით სეფითსა და აბაშაში, გურულ თოხს, რომელიც კარგა რკინისაგან მზადდებოდა, დიდი გასაყალი ჰქონდაო.

ჩუნეშური თოხი, ჩუნეშიდან, იმერეთიდან მოქმონდათ, და მთაგორიანი ადგილების სათოხნად გამოიყენებოდა. იგი ყუასთან ჩაბრილი, მკვეთრი ოვალური მხრებით ხასიათდება. ყუაზე მცირე კოპი აზის, პირი სწორი, ოვალური მხრების ზღუდარით ჩაკვეთილი აქვს. (ტაბულა II, ნახაზი I.).

როცა პირის ფოლადი გაცედებოდა (დიიშირუდუნი), გაილეოდა, მჭედელი ექვსი სანტიმეტრის სიფართოზე ჩამოსდებდა ფოლადის ზოდს, ჩამოაჭედებდა. ასეთ თოხს გიადვადს, ჩამოჭედილს ეძახიან. თოხი ამ განახლების შემდეგ კიდევ დიდხანს იხმარებოდა. (ტაბულა II, ნახ. II.).

თოხების ასეთი სიუხვე და მრავალფეროვნება უდავოდ, მიუთითებს საკვლევ რაიონში უძველესი დროიდან მრავალდარგოვანი ინტენსიური მიწათმოქმედების არსებობაზე.

1 ქ. რუხაძე — „ლომის კულტურა დასავლეთ საქართველოში“. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XI. თბილისი, 1960 წ. გვ. 84.  
 2 ნ. რუხაძე — „მქედლობა რაჭაში“, თბილისი, 1953 წ. გვ. 123—124.  
 3 ივ. ჭავჭავაძე — „ქართველი ერის ეკონომიური ისტორია“, ტ. I. თბილისი, 1930, გვ. 15.  
 4 ვ. ჩიტაია — „თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში). მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტ. IV. ნაკ. II. თბილისი, 1959 წ. გვ. 154.  
 5 ნ. ბრეგვაძე — „რაჭა-ლეჩხუმში მივლინების ანგარიში“ მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის X. თბილისი, 1959 წ. გვ. 89.  
 6 ნ. რუხაძე — „მქედლობა რაჭაში“, თბილისი, 1953 წ. გვ. 12.  
 7 გმმ სამეცნიერო ფონდი ე. წგ. № 215. მოგონებები და გამოცემები.  
 8 იქვე.

### რამული თიხის პურავლი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების კერამიკულ ფონდს უკანასკნელ წლებში რამული თიხის ტურჭლის კვანძობებიც შეემატა. ზოგიერთი მათგანი თავისი ორიგინალობითა და, შეიძლება ითქვას, უნიკალრობითაც უთუოდ საყურადღებო არის. ვფიქრობთ, რამული კერამიკის ძირითადი სახეების, სტრუქტურის, მისი დამზადების ტექნიკისა თუ ანალოგიური მომენტების შესწავლა უმჯობესად საჭირო და მეტად საშუაია; საშუაია იმდენად, რამდენადაც რამული ტურჭელ წარმოების დღევანდელი ვითარება საწინდარია იმისა, რომ რამულაში ეს საქმიანობა მალე დაიწყებას მიეცემა და მასთან დაკავშირებული ტრადიციებიც უკვალოდ გაქრება.

რამულა საქართველოს საკმაოდ ვრცელი და, განსაკუთრებით კოლორიტული მხარია. საკვირველია, რომ კერამიკულ ტურჭელწარმოებასთან დაკავშირებული წეს-ჩვევები მხოლოდ ორ პატარა სოფელში — ლაჩთასა და შეუბანში დასტურდება. ეს სოფლები რაიონული ცენტრის, ონის მახლობლად, მთის ფერდობზეა შეფენილი. ნიადაგი მწირია, ქვა-ლორღანი და ალბათ ამანაც განაპირობა ამ სოფლებში ტურჭელწარმოებისადმი ინტერესი. ლაჩთაც და შეუბანიც ძირითადად ჩიკვილაძეების სამოსას-ლოა, ლაჩთის ერთ პატარა უბანში ცხოვრობენ ოსტიაანი (ჩიკვილაძეები), რომელნიც თიხის ტურჭლის დამზადებაში ყოველთვის განსაკუთრებული წარმატებებით სარგებლობდნენ. ამ სოფლების მაცხოვრებელ მოხუც ქალთა ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას მეტურჭლეობა ანუ მეყურიენობა წარმოადგენდა. ის ფაქტი, რომ ტურჭლის რკეთებლობას დასახელებულ სოფლებში დასაბამიდან დღემდე, როგორც წესი, მხოლოდ და მხოლოდ ქალები მისდევდნენ, ბევრს ლაპარაკობს ამ მხარეში კერამიკული წარმოების უძველეს ტრადიციებზე.

საინტერესოა ის გარემოება, რომ რამულაში თიხის ტურჭლის წარმოების კერად იქცა ის ადგილი, სადაც ამ წარმოებისათვის ბუნებრივი პირობები არ არსებობდა. მხედველობაში გვაქვს კერამიკული ნედლეული, რომელსაც შეუბანელები<sup>1</sup> სხვა სოფლიდან, ბოლთადან ეზიდებოდნენ, მეორე მხრივ, საინტერესოა ის გარემოებაც, რომ სოფელში, სადაც თიხის ნედლეულის მარაგია, მეტურჭლეობა არ განვითარებულა.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ თიხის ანუ როგორც რამულელები იტყვიან „მიწის“ ტურჭლის დამზადებასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს, რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო იგი, უთუოდ ქალი ასრულებდა. ქალი თხრიდა მიწას, ქალი ეზიდებოდა მას შინ. ქალივე ამუშავებდა ამ ნედლეულს და თვითონ ტურჭელი: კეცები, თონები, სადღეებლები, საფუარები, ფილები და განსაკუთრებით რამისათვის დამახასიათებელი ყურიენები მხოლოდ ქალების მიერ მზადდებოდა. დაბოლოს, ბაზარზე მისი გამტანი და გამსალბებელიც ქალი იყო. ამ თვალსაზრისით საქართველოში რამულა, ვფიქრობთ, ერთადერთი კუთხეა, სადაც მამაკაცს არასოდეს გაუწაწილებია ქალის შრომა მეტურჭლეობაში ანალოგიური სურათი კახეთის მხოლოდ ერთ სოფელში რამულელების ახალშენში დასტურდება. კახეთში ჩასახლებულმა რამულელებმა ქალებმა კერამიკის და-



მუშავეების საკუთარი ტრადიციები ახალშენშიც მტკიცედ დანერგეს. როგორც ჩანს, რაჭამ ყველაზე მკაფიოდ შემოინახა ქართული კერამიკის განვითარების ადრინდელი საფეხურები.

შეუბნელი მეჭურჭლეები, რომლებიც მეყურივნების სახელით არიან ცნობილი, რაჭამ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს ის კერამიკული ნაწარმი, რომელიც ზემო და ქვემო რაჭის თითქმის ყველა ოჯახშია დღესაც შემორჩენილი.

როგორც მოხრობელები გადმოგვცემენ, რაჭას თიხის ჭურჭლით იმერეთი ამარაგებდა, მაგრამ შეუბნურ ყურივნებზე მაინც დიდი მოთხოვნილება იგრძნობოდა. ეს გასაგებია, რაჭველი ოსტატები ძირითადად ადგილობრივი საოჯახო მურწმობისათვის გათვალისწინებულ ჭურჭელს ამზადებდნენ.

რაჭული ჭურჭელწარმოება ნედლეულის მოპოვება-დამუშავების, ჭურჭლის გეთების თუ მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა ძირითადი მომენტების თვალსაზრისით, ზოგადქართული ხალხური კერამიკული წარმოების ერთი ორგანული ნაწილია, თუმცა შეინიშნება ისეთი დეტალებიც, რომლებიც რაჭულ კერამიკას, სხვა ცენტრებთან შედარებით, რამდენადმე განასხვავებს და თავისი სპეციფიკურობის იერს აძლევს. ჩვენი წერილის მიზანია ყურადღება სწორედ ამ მიმართებით გაავამაზვილოთ და შეუბნური კერამიკის ტექნოლოგიის საკითხების მოკლე განხილვით მისთვის ნიშანდობლივი მხარეები გამოგვეთვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუბნელები თიხას „მიწას“ უწოდებდნენ. მისი მოპოვებისათვის თიხებითა და ბარებით შეიარაღებული ქალები ჯგუფურად მიდიოდნენ. მოპოვების ადგილიდან ზურგით უზიდებოდნენ მიწას და ქვიშას, მოსუფთავებულ უსოში დაყრიდნენ, ჯერ აყალო მიწას ნაჯახით „დემერქვავენ“ და მერე ქვებისა თუ „ხვინჭკისაგან“ გაასუფთავებდნენ. გასუფთავებულ მიწას ხის გობში ან გატეხილ ფილაში დაალობდნენ და ამის შემდეგ ქვიშაში არეულ თიხას ფეხით დაზელდნენ. მიწის ზელისას ქალები ჯოხზე დარყდნობით ძალას მარჯვენა ფეხს ატანდნენ. დაზედილი მიწის ვარგისიანობას, პრაქტიკით მიღებული ცოდნის საფუძველზე ნედლეულის თითზე გადახვევით ამოწმებდნენ. „თუ თითს მიწა კარგად დეხვევოდა, — გადმოგვეცმს ერთ-ერთი ძველი მეჭურჭლე, — კარგი მოზელილი იყო, ამის შემდეგ მიწას შევგრგოლამდით და დავთმუნედი“.

თიხის ჭურჭლის კეთებასთან დაკავშირებული პროცესები რაჭაში მეტად მარტივი ჩანს. ჭურჭლის გასაკეთებელ ხელსაწყოდ იყენებდნენ „მორგვს“, მსგავსი ხელსაწყო დღესაც გამოიყენება ქსნის ხეობასა და იმერეთში. მორგვის გასაკეთებელ მასალად წიფლის ხეს არჩევენ. საყრდენი ფეხის ღერძს ჩამოცმული ჰქონდა მორგვის ძირითადი ნაწილი, რომელიც ასაშენებელი ჭურჭლის დასაყრდენად იყო გათვალისწინებული. მორგვზე მუშაობის დაწყებისას შეუბნელი ქალები ჯერ ქვიშას მოაყრიდნენ, გამზადებული მიწის ერთ პატარა ნაწილს ხელშიც გადაზელდნენ, „დატყემურტნიდნენ“, — მერე „დაასურსალებდნენ“ და მორგვზე დაკრულ ჭურჭლის ფსკერს, სურსალს შემოავლებდნენ. მორგვის ტრიალითა და რამდენიმე სურსალის შემოვლევით ჭურჭელს თანდათან ამაღლებდნენ. იარაღი, რომლითაც რაჭველი ქალები მორგვზე ხელით აყვანილ ჭურჭელს ამუშავებდნენ, იყო „საფხეკლა“, რომელსაც მეყურივნები თვითონვე ამზადებდნენ.

რაჭული თიხის ჭურჭლისათვის ნიშანდობლივია ყურის გაკეთება. რა სახისა და დანიშნულების ჭურჭელიც არ უნდა დავამზადებინათ, მას უთუოდ ყურს მიაბამდნენ.



აქედან გავრცელდა რაჭაში ჭურჭელწარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობები: ყურიენები (ჭურჭლის მნიშვნელობით) და მეყურიენეები მნიშვნელობით).

ლაჩათა-შეუბნური ჭურჭლისათვის ყურის მიმაგრების პროცესი მეტად სპეციფიკური ჩანს პირველად საყურედ გამზადებული „სურსალის“ ქვედა ბოლოს ჩალესავდნენ, „ჩააირმიცლებდნენ“, ხოლო შემდეგ, ყურის ზედა ბოლოს მისამაგრებლად გათვალისწინებულ ადგილს თითოთ გახვრეტდნენ და სურსალს შიგ გაყურდნენ. ჭურჭელზე საყურე ადგილის გახვრეტისა და საერთოდ ყურის ქვევიდან ზევით დამაგრების შეუბნური ხერხი კერამიკული წარმოების სხვა ცენტრებისაგან განსხვავდება და იგი ამ კუთხისათვის არის ნიშანდობლივი.

მზატრული გაფორმების თვალსაზრისითაც რაჭულ კერამიკას პრიმიტიული ელფერი დაჰკრავს. ლაჩათელი მეყურიენეების გადმოცემით ისინი ჭურჭლის გაფორმება-გალამაზებას ყურადღებას არ აქცევდნენ. იშვიათად თუ სადღევლებების პირს „ჩიხირუკათი დაატრულდნენ“.

საინტერესო ჩანს რაჭაში ჭურჭლის გამოწვის პროცესიც. მეყურიენეებს ჭურჭლის გამოწვის ძალიან ადრინდელი სახე შემოუნახავთ, ჩრდილში გამოშშრალ ჭურჭელს, რასაც ამ უკანასკნელის ფსკერზე „მოფხანით“ ამოწმებდნენ, გამოსაწვავად ამზადებდნენ.

სპეციალური გამოსაწვავი ქურების უქონლობის გამო რაჭველი მეყურიენეები ჭურჭელს ჩვეულებრივ პურის გამოსაცხობ თონეში წვავდნენ. თონეში ფიჭვის შეშას ჩაანთებდნენ, როგორც კი ცეცხლი გავარვარდებოდა და შეშა „ჩახოშრდებოდა“ (ჩანაკურცხლდებოდა), საგანგებო რკინის ჩანგლებით ჭურჭელს თონეში აწყობდნენ. გამოსაწვავი ჭურჭელი თონეში პირით უნდა ჩაწყობილიყო, რათა ალი შიგნიდანაჲ და გარედანაც ყურიენებს თანაბრად მოსდებოდა. ჭურჭელი თონეში რივრივად ლავდებოდა. როცა შეშა მთლიანად „ჩახოშრდებოდა“ და ჭურჭელი გაწითლდებოდა, ცხელი ჭურჭელი რკინის ჩანგლითვე ამოიყრებოდა და შემოწმდებოდა. შემოწმებისას ჭურჭელს რკინის შემოკერისთანავე ზარივით ხმა უნდა გაეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოწვის პროცესი დასრულებულად არ ითვლებოდა.

თიხის ჭურჭელს ან როგორც რაჭველები იტყვიან „მიწის“ ჭურჭელს საბოლოო დამუშავებისათვის პურის ფიფინა ესაჭიროებოდა. პურის ფიფინას წინასწარ ამზადებდნენ, ცივ წყალში გახსნილ პურის ფქვილს თხლად მოადუღებდნენ და ცხელსავე სითხეში ამოვლებული ნაჭრით ჯერ გარედან, ხოლო შემდეგ შიგნიდან, მთელ ჭურჭელს მოავლებდნენ. პურის ფიფინა ალამაზებდა „აწვიანებდა“, „რაც მიზეზი ქონდა იმას ფარემდა და თანაც ჭურჭელს ამაგრებდა“ გადმოგვეცემს მთხრობელი.

პურის ფიფინით ჭურჭლის დამუშავება ძალიან ძველი ჩვეულება უნდა იყოს. მისი, როგორც ჩვენში, ისე კავკასიის სხვა ხალხთა პრაქტიკაში დამოწმება, ამ ტრადიციის საერთო გავრცელებაზე მიუთითებს.

ლაჩათა-შეუბნელი მეყურიენეების „მიწის“ ნახელავი არ გამოირჩევა არც სახეთა მრავალფეროვნებითა და არც ფუნქციათა ნაირსახეობით. აქ მხოლოდ საოჯახო-ყოფითი მოხმარების ჭურჭელი მზადდებოდა, მათი ყველაზე გავრცელებული სახეები:

1. ყ უ რ ი ვ ნ ე ბ ი — კერძის დასამზადებლად განკუთვნილი სხვადასხვა ზომის ქოთნები.
2. ს ა ფ უ ა რ ი — პურის ცომის ამოსაწეულად სახმარი ჭურჭელი.
3. რ ძ ის პროდუქტების დამზადება-შენახვასთან დაკავშირებული ჭურჭელი;

უურიან-კერძის დასაშაღებელი  
ბურქელი

Куриенби — посуда для при-  
готовления пищи



საფარი

Сапуари — посуда для месения теста







ა) სათავე, რომელსაც ზოგჯერ სარძითვესაც და საწაქესაც  
დებენ.

— „აქმა, კატაო, კატაო,  
რას ჩამომჩხავი თავსაო,  
სარძითვეს მაგრა მიხურავს  
შენ ვერ მომიხდი თავსაო.“<sup>2</sup>

სათავე რძის მოსაკავებელი ჭურჭელია, ფსევრთან ამოღებული აქვს სითხის გასავალი ზვრელი, რომელიც პატარა „ხეუკათი“ (ხის ნაჭერი) იყო დაცული. სათავეს რძით რომ გაავსებდნენ, „ბუჯურზე“ (თარო) შემოდგამდნენ, რამდენაზე ხნის შემდეგ გასავალ მილს გასწინდნენ და წაქას ჯამზე გადმოცლიდნენ, დარჩენილ, დაწმენდილ რძის თავს შესადღვებად დაამზადებდნენ.

ბ) სადღვებელი — კარაქის შესადღვებად სახმარი ჭურჭელია. რაჭული სადღვებელი მეტად ორიგინალური ფორმისაა და ამ მხრივ იგი ქართულ ხალხურ სადღვებელთა შორის ერთ-ერთ უნიკალურ სახეობას წარმოადგენს.

რაჭაში თიხის სადღვებელი ძალიან პოპულარული ჭურჭელია. ხაზი უნდა გაეკვას იმ ფაქტს, რომ იქ, განსაკუთრებით მთის რაჭის ზემო სოფლებში, უფრო მეტად დიდი ზომის ხის სადღვებელს — ვარაიას იყენებენ. „მიწის სადღვებელი, — გადმოგვცემს ზემო რაჭის მთხრობელი, — ჩვენ რას გვიზამდა, ჩვენი მხარე საქონლის ქვეყანაა და ჯალაბობაც დიდია, დაბლა სოფლებში კი (იგულისხმება შეუბანი და მისი შემოგარენი მ. ზ.) სათიბები ნაკლები იყო, საქონელიც თითო-ორილა და მიწის სადღვებელი მათთვის ურთივ საკმარისი იყო“

შეუბნურ „მიწის“ სადღვებელში, სათავეში ნაგროვებ რძის თავს ჩაახსამდნენ, თავზე საქონლის ფაშვს — „სერიას“ გადააკრავდნენ. პატარა ბალიშზე დასდებდნენ, ჭურჭლის ტანზე მიმაგრებულ ყურს ხელს წაავლებდნენ და სადღვებელს წინ და უკან თანაბარი რხევით ამოძრავებდნენ. სადღვებელს ყურის დაბლა სასულე ზვრელი ქჭონდა, რომელიც „შუშუტოთი“ — თხმლის ხისაგან გაკეთებული საცობით იხურებოდა. „შუშუტოს“ შუაში „სულის ამოსავალად“ პატარა ჭუჭურუტანა დაქვევბოდა. დღვებისას, რძე როგორც კი „აქყარპალდებოდა“, მდღვებელი „შუშუტოს“ მოსწინადა, სასულე ზვრელში თითს ჩასდებდა, თუ თითს კარაქი კუნძაკუნძა მოხვედებოდა, ე. ი. „კარაქი მოსული იყო“, დღვების პროცესიც სრულდებოდა.

გ) ფილი — რძის მოსაკავებელი ჭურჭელია, რომელიც აგრეთვე ერბოსა და ხაჭოს შესანახადაც გამოიყენებოდა.

ასეთია ლაითა — შეუბნელი ქალების მიერ დამზადებული თიხის ჭურჭლის ძირითადი სახეები. ჩვენ არაფერს ვამბობთ კეცების კეთების ტრადიციასზე, რომელსაც რაჭის ყველა სოფელში ქალები დღესაც მისდევენ.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, რაჭული თიხის ჭურჭელი სახეობათა მრავალფეროვნებით არ ხასიათდება, პირიქით, კერამიკის სხვა ცენტრებთან შედარებით, ლარბულადაც გამოიყურება. რაჭული კერამიკული ჭურჭლის სახეთა გარკვეული შეზღუდულობა, რა თქმა უნდა, დიდად იყო განპირობებული თიხის, როგორც საშენი ნედლეულის სპეციფიკითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაჭაში, მევენახეობა-მეღვინეობის მხარეში, არ შეიძლებოდა სათანადო სიმაღლეზე არ მდგარიყო მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებული ჭურჭელიც, რომლითაც რაჭას ყოველთვის იმერელი ოსტატები ამარაგებდნენ.

სადვითვე


Садзитве — посуда для хранения молока



საქართველოს  
მუზეუმების  
სამეცნიერო ცენტრი

სადვებელი

Содвებели — маслобойка





როგორც ირკვევა, რატველი ქალები თიხის ტურტელს შინა მოხმარებისათვისაც ამზადებდნენ და ბაზარში გასატანადაც, რასაც, ალბათ, დიდად შეუწყობდათ თასა და შეუბანთან ბაზრის სიახლოვემ. ბაზარში გასაყიდ ტურტელს ლაჩთინა და შეუბნის ქალები სპეციალურ ფთხილის სახრისაგან მოწნული „ხვირგბით“ ზურგით ეხიდებოდნენ. შეუბნური ტურტლის პოპულარობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მის გასაღებაში რატველი ვაჭრები აქტიურად მონაწილეობდნენ. ისინი დამზადების ადგილზე მზა ტურტელს შედარებით იაფად ყიდულობდნენ და ამბროლაურსა და მთის შორეულ სოფლებში მოგებით ასალებდნენ. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ რატველი თიხის ნაწარმი დასაბამიდანვე დიდ ბრუნვაში იყო, რაც თავისთავად ამ კულტურის გარკვეულ ტრადიციაზე მიუთითებს.

როგორც საანალიზო ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, ლაჩთა-შეუბნური კერამიკა ზოგადქართული ხალხური კერამიკის ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი, როგორც გზადაგზა ჩანდა, ნედლეულის დამზადების, კეთების, ფორმა — დანიშნულების ზოგიერთი თავისებურებებით ხასიათდება. ამ თავისებურების გამოვლენა ხელს უწყობს რატვაში კერამიკის წარმოების ტრადიციის ჩვენებას, რასაც ქართული კულტურის ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

1 სოფ. ლაჩთა, სხვა სოფლებთან ერთად, შედის შეუბნის სასოფლო საბჭოში. ამის გამო, ზოგჯერ, ორი სოფლის დასახელების თავიდან აცილების მიზნით ვიხმარებ ზოგად სახელს — შეუბანს.

2 მთქმელი ლენა ლობჯანიძე.

**საღვინე ჰურჭელ-ინვენტარი საინჟინოში**

მევენახეობა-მელენეობა ინგილოების უძველესი და უსაყვარლესი დარგია. მევენახეობისა და მელენეობის წარსულზე საინჟინოში მიგვიტოვებს მრავალი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალა.

უძველესი დროის ძველთაგან აღსანიშნავია სოფ. ლეჭეთის (ლეჭართის ქალთა მონასტერი) მდინარე ქურმუხზე სოფ. ელისოსთან (ორმოცდაათი წყარო, ზალხისათვის) ორ მაღალ კონცხზე აღმართული უბურჯო ლამაზი ხიდი „უღუქორფი“ (წინაპართა მაღალი ხიდი), რომელიც ინგილოთა გადმოცემით თამარ მეფეს აუშენებია.

საინტერესოა აგრეთვე ამავე პერიოდის 20-კმ-მდე სიგრძის სარწყავი არხი, რომლის სათავე იწყება სოფ. ოხუთიდან (ასწავლე) და გასდევს კაკასიონის მთის კალთებს სოფ. კობუხამდე, მეტად რთულ რელიეფზე გაყვანილი, რომელიც დღესაც გამოიყენება, იგი „თამარხანუმას“ ან „თამარფაღას“ სახელწოდებითაა შემორჩენილი. დასახელებული არხი ძველად ვენახების მოსარწყავად ყოფილა გამოყენებული, ამ არხის ნაპირებზე უძველესი ვაზები და გაგარეულებული ფორმები აქ მრავლადაა შემორჩენილი (ქერეთის აღწერა, ჟურნალი „მოგზაური“, 1902—1903, № 7—8).

ინგილოებს გარკვეული წვლილი მიუძღვით მევენახეობის დარგის განვითარების საქმეში. ამაზე მეტყველებენ საინჟინოში დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, ისტორიული და არქეოლოგიური მასალები.

ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შემორჩენილი საღვინე ჰურჭელ-ინვენტარი შეიძლება ორ ძირითად ტიპად დაჯგოთ: პირველი თიხის ჰურჭელი, მეორე — მიწაში არსებული აუზები. მიუხედავად იმისა, რომ საინგილო (ქერეთ კახეთი) მრავალჯერ იქნა აზრებული სპარსეთისა და ოსმალ დამპყრობლების მიერ, დასახელებულ მხარეში საღვინე ჰურჭელ-ინვენტარი მრავლადაა შემორჩენილი ძველ ტიპებთან, ციხე-სიმაგრეებთან, ძველ ნასახლარ-ნანგრევებზე და მოსახლეობაში.

საინგილოში არსებული აუზები ქვითა და კარხსნარით არის ამოშენებული. ისინი მრავლადაა წარმოდგენილი შემდეგ სოფლებში: ა ლ ა თ ე მ უ რ შ ი, ალიბეგლოში, (ქათმისხევი), მუშაბაში, ქოთოქლოში, რიყის პირას, კახისთავში, მთისძირში, თოფახში, ქეშუთანში ყარამეშაში, (შავტყიანი) და ძველ ნასახლარებზე. დიდ ა ზ ნ ა უ რ შ ი, პატარა ა ზ ნ ა უ რ შ ი, მარანიკში, სამებაზე, საკენში (საკანი) თორფახ ყალაში (მიწათა ციხე), სოსკანში, ყორალანში, შოთავარში, და მდინარე ქურმუხის სანაპიროზე, მათი სიღრმე 4—5 მ. სიგანე მუცლის არეში 2,5—3 მ. ზოლო ორმოს პირის დიამეტრი 0,5—1,5 მ. შეადგენს.

ყურძნის პირველადი გადამუშავება საინგილოში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საწნახელში წარმოებდა. დღემდე შემორჩენილი საწნახელების სიგრძე მეტწილად 6—12 მეტრს შორის მერყეობს. სიგანე 80—100 სმ, ზოლო სიღრმე 50 სმ. აღწევს. ასეთი საწნახლები მეტწილად ცაცხვისაგან მზადდებოდა.

ისტორიული მასალების მიხედვით საქართველოში ქვევრების წარმოება ენეოლითის პერიოდიდან აღინიშნება (ა. ბოზოჩაძე, 1963). საინგილოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვევრები და მათი ნამტვრევები საფუძველს იძლევა ისინი უძველეს ეგზემპლარ-

ქვევრი. კახის რაიონა სოფ. თოფახი

Квеври (керамическая посуда)



რად მივიჩნით. ადგილობრივი ქვევრები საქართველოს სხვა კუთხეებში დამზადებული ქვევრებისაგან მეტად დიდი მოცულობით განსხვავდებიან. (აქ ვხვდებით 20000 ლ. ტევადობის ქვევრებს). მათთვის დამახასიათებელია კონუსური, ბრტყელი ფუძეები, მოწუქურთმებული სარტყლები.

1957 წელს ყარაშეშის (შავი ტყე) ახლოს ტყის ათვისებისას ახობის გამოხდისას აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 3,5 მ. სიღრმეზე ორი დიდი ზომის ქვევრი ამ ქვევრების სიმაღლე 2—3 მ., სიგანე — 1,8 მ. ასეთი დიდი ზომის ქვევრები აღმოჩენილია აგრეთვე ქეშხუთნის გაუვალ ტყეებში.

კასრის საყდართან არის შემოჩენილი ერთი უნიკალური ქვევრი, რომელიც 718 წელს არჩილ მეფის დროსაა დამზადებული, მისი მოცულობა 1000 ჩაფამდე აღწევს (გ. ჯანაშვილი, 1913, კ. ჩხენკელი, 1958).

გ. კუფტინის (1948) მიხედვით დიდი ზომის (3000 ლიტ.) ტევადობის ქვევრები დიდგვაროვანთა ოჯახისათვის დამზადებული საღვინე ჭურჭელი უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა აგრეთვე კახის რაიონულ ცენტრში არსებული უზარმაზარი მარანი. პირველ მარანში წარმოდგენილია 130 ქვევრი, 4500 დეკალ. ტევადობით, ხოლო მეორე მარანში კი 150 ქვევრი და 4 დიდი ზომის ქვითკირით ნაშენი ორმო, რომელთა საერთო ტევადობა 6755 დეკალიტრს შეადგენს. ორმოების სიღრმე 5—7 მეტრს აღწევს, ხოლო სიგანე 3-5 მეტრია.

კახის რაიონის ქართულ მოსახლეობაში დღეისათვის ჩვენს მიერ აღრიცხულია დაახლოებით 2525 ქვევრი. მათ შორის უმრავლესობა დიდი ზომისაა 15—20 თაღრიანი. თაღარი ჩვენთან 15 ვედროს ანუ 180 ლიტრი ტევადობის გამოშასხველია. აღნიშნულიდან გამომდინარე თითოეული ქვევრის ტევადობა 2700 — 3600 ლიტრამდე აღწევს.

კახში თითოეულ მოსახლეს საშუალოდ 5—10 ათასი ლიტრი ტევადობის საღვინე ჭურჭელი გააჩნია. ასე მაგალითად მოსე ჯანაშვილის ეზოში არის მარანი, რომელშიც 39 ქვევრია, მისი საერთო ტევადობა 9200 ლიტრია, ს. ბაბაჯანაშვილის მარანში 22 ქვევრია, ა. ხუციშვილის ეზოში 15 ქვევრია, რომელთა ტევადობა 4000 — 6000 ლიტრამდე აღწევს. მსგავსი მარნები გააჩნია მრავალ მოსახლეს.



მარანი, კახის რაიონი სოფ. მთისძირი

**მარანი (винный погреб), село Мтисძირი**

საინგილოში 1887 — 1888 წწ უზარმაზარ ქვევრებს ამზადებდნენ კერამიკული ქარხნის მეპატრონეები ძმები გამხარაშვილები და მიხეილ ხუციშვილი, რომელთაც ხელოსნებად ჩუბინიძეები ჰყავდათ დაქირავებული. ამ პერიოდში დამზადებულ ქვევრების პირებზე დასმულია შტამში ქარხნისა და ოსტატის გვარი.


ეს ქარხნები განლაგებული ყოფილა საკენში (საკანი) კეჭენში, რიყის პირას, სადაც არის სპეციალური თიხა მიწა თორნეებისა და ქვევრების დასამზადებლად. ეს ქარხნები ამზადებდნენ აგრეთვე წვრილ საღვინე ჭურჭელს.

აქ დამზადებულმა სურამ 1887 წელს ამიერკავკასიის იმპერატორთა საზოგადოების სოფლის მეურნეობის გამოყენაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაიმსახურა, რომელიც საზოგადოებამ თავისი ორნამენტაციით და მხატვრული მორთულობით შეადარა ჩვენში მარსელიდან შემოტანილ სურას.

მეტად საყურადღებოა კერამიკული ქარხნების მიერ აქ დამზადებული წვრილი საღვინე ჭურჭლები: დოქები (კუჭელა), გოზაური. პარაწი (ჭინჭველა), ღვინის სასმისი ფიალები.

1952 წელს მდინარე დურუჯისა და აგრო-ჩაის შესართავთან არხის გაყვანის დროს ჩვენ ვიპოვეთ (სამი მ-ის ხილრმეზე) ღვინის საშელი ფიალა, რომელიც პირველი საუკუნით (ჩ. წ.) თარიღდება (რ. რამიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) და თავისი ორიგინალობით გამოირჩევა. ეს ფიალა თიხისაგანაა გამოქვრილი მომრგვალო, დაკუთხული ქიმებით და ორი ტუჩით. აქვს ორი სახელური და ბრტყელი ფუძე, ტვეადობა ნახევარი ლიტრი.

ღვინის სასმისი. ნაპოვნია მდ. დურუჯის ნაპირას



Винные сосуды найденные на берегу р. Дуруджи

ღვინის სასმისი. ნაპოვნია მდ. დურუჯის ნაპირას



მაგიდაზე ღვინის მისატანი ჭურჭლიდან საინტერესოა ოვალური ფორმის დოქა (კუჭელა), ყელი 10—15 სმ სიგრძით, ვიწრო ცილინდრული ფორმა აქვს, ყელის ქვედა მხარე ოვალური ფორმისაა, შუა სარტყელში განიერი არშია აქვს შემოვლებული. ტევადობაა 3—5 ლიტრი, ჩვეულებრივი სახელურით.

კიწიპა და ჰარაწი პატარა ზომის (3—4 ჩაის ჭიქის მოცულობით) სურინამაგვარი ჭურჭელია, რომლებსაც ღვინის სასმელად იყენებენ.

კილანი თიხის ბრტყელი ფიალაა, რომელშიც ეტევა სამი ჩაის ჭიქა ღვინო, იგი ბრტყელია ლარნაკივით და მომრგვალო ფუძე აქვს. ასევე საინტერესოა სპილენძის ჭურჭელი, რომელიც მეღვინეობაში არის გამოყენებული: თუნგი სიმაღლე 1 მ. განიერი მაღალი ყელით და შუა სარტყელში გაგანივრებული, ფსკერი ჯამისებრი ჩაღრმავებული ფუძით. ტევადობა 12 ლიტრია, იყენებენ ქვევრიდან ღვინის გადასაღებად.



სპილენძის ჩაფი (პატარა თუნგი), ტევადობა ნ ლიტრია, იყენებენ ქვეყრიდან ღვინის გადასაღებად, ქოცოებში ან მუზობლისათვის ღვინის ჩასასხმელად. სპილენძის მონუქურთმებული ლარნაკი, განიერი ყელით, ბრტყელ ეტევა ხუთი ჩაის ჭიქა.

სპილენძის თასი წარმოადგენს ღრმა ჭურჭელს, განიერ ზედაპირით და ვიწრო ფუძით. ზედაპირი მოხატულია ორიგინალური ორნამენტებით, ორი ჩაის ჭიქის ტევადობისაა.

საინგილოში პატარა ქვევრების სარეცხად იყენებენ სარცხს, რომელსაც ამზადებენ გარეული ბალის (ბალამწარას) კანისაგან. დიდ ქვევრებში კი მუშა ჩადის და ცოცხით ამუშავენ მათ, ხოლო ბოლოს სპეციალურად გარეული ვაზის საზეხით ხეხავს ქვევრს სანამ იგი წითელ ფერს არ მიიღებს.

ღვინის გადასაღებად გამოიყენება სხვადასხვა ზომის კოტოში (ხაპი) რომლის სიგრძე ტარიანად 50—150 სმ. შორის მერყეობს.

ამ დანიშნულებით გამოყენებულ გოგრებს (კოტოშს) საკმაოდ ჭრბელი ცილინდრული ფორმის ყელი გააჩნიათ. მუცლის მხარეზე სამკუთხედისებური ან კვადრატული ჭრილობა უკეთდება და ტარის წვერი ირიბადაა წაკვეთილი ღვინის გადასატანად.

ამგვარი ჭურჭელი მეტად მოხერხებულია ქვეყრიდან ღვინის ამოსაღებად. დიდი მოცულობის კოტოშის ტევადობა დაახლოებით 10—12 ლიტრს შეადგენს.



კოსმეტიკური ხელსაწყო-იარაღები

ხალხური კოსმეტიკის ისტორიის შესწავლისას გამოყენება-დანიშნულების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს, როგორც არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული, ისე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული კოსმეტიკური ხელსაწყო-იარაღები და საპირფარეო ნესესერები: უმარლის მოსაღესები, სანელსაცხებლე ჭურჭლები, ილარები, სავარცხლები, სარკეები და სხვა, რომელთა დახმარებითაც ქართველი მანდილოსნები ხელს უწყობდნენ ბუნებით მონიჭებული სილამაზის განანგრძლივებას და პირადი ჰიგიენის წესების დაცვას.

ქართველი მანდილოსნებისათვის გატანებულ მზითვეში, რომელიც მზითვის წიგნებშია აღნუსხული, სხვა საგნებთან ერთად ჩამოთვლილია აბანოსათვის და საპირფარეოდ განკუთვნილი ნივთები, რომელნიც ქალის „საპირფარეო მაგიდის“ აუცილებელ ინვენტარებს წარმოადგენდნენ.

„ხოწნა ვერცხლისა დიდი, საჩხიზე ოქროსი თავის ჩხირებითა. ჩოფი ოქროსი, თმისაყოფი ოქროსი, ფიალი ოქროსი, ნალბაქი ოქროსი, საწებავო ოქროსი, სადაფი ოქროთ მოჭედილი თავისის მურასის სალესავითა და სირმით ნაკერის ბუღითა. სადაფი მეორე, მოჭედილი თავისის სალესავითა და დიბოს ბუღითა, ბანბადანი ოქროსი, სურმადანი ოქროსი, ჯამთასი ვერცხლისა, სარკე ყულარიშისა, სარკე სადაფისა, სავარცხელი კუს ძვლისა, სავარცხელი თევზის კბილისა. ინის საღობო ჯამთასი ვერცხლისა, ჩულრუთო და სათლი სპილენძისა“.<sup>1</sup>

პირისაზის გამათეთრებელი იმ მრავალრიცხოვანი მცენარეული თუ ქიმიური საშუალებებიდან, რომელიც ჩვენი ქალები განკარგულებაში იყო, ერთ-ერთ პოპულარულ საშუალებას წარმოადგენდა ფერ-უმარილი, რომელიც მზადდებოდა როგორც კალას ნაცრისაგან, ისე თევზისა და ვერცხლისწყლის ნარევისაგან. ხმარების წინ უმარილი უნდა მოელესათ, რომ ერთფეროვანი მასა მიეღოთ და შემდეგ წაიცხებდნენ სახეზე ჩოფით. ჩოფი არის გრიმის დასადები ჩხირი, რომელსაც ერთი ბოლო ნიჩაბივით ბრტყელი ჰქონდა, რომ სახეზე წასმული საცხი კარგად შეეზილა კანში. ყველაზე საუკეთესოდ ითვლებოდა კურდღლის თათისაგან დაზადებული ჩოფი, რომელსაც დღესაც იპოვით ხანდაზმული მანდილოსნის და მსახიობის საპირფარეო მაგიდაზე. უმარლის მოსაღესად გამოიყენებოდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის მოსაღესები, რომლებიც ფილისა და ქვის ორიგინალურ სახესხვაობას წარმოადგენდნენ. უმარლის მოსაღესები უმეტესად კეთდებოდა სადაფის (ზღვის) ნივარებისაგან და ძვირფასი მეტალებით იყო მოჭედილი, რომელიც მალალი წრის მანდილოსნებისათვის თუ იყო ხელმისაწვდომი. დაბალი წრის მანდილოსნებისათვის სადაფის ნივარები ნაკლებ ხელმისაწვდომი იყო და ისინი უმეტესად ხმარობდნენ თიხის, მინის, ან კერამიკულ მოსაღესებს.

ფერუმარლის მოსაღეს ნივარას ჰქონდა მისალესი ქვა, რომელიც უმეტესად ბროლის ან რომელიმე მაგარი, ლამაზი ქვისაგან იყო გამოთლილი.

არმაზისხევის ერისთავთა სამარხში აღმოჩნდა მოწითალო-ყავისფერი სარდონიქსისაგან გამოთლილი ქვის ლამბაქი, რომელიც უმარლის საღესი უნდა იყოს. ლამბაქი

დიდი გემოვნებითა და სინატიფით არის გამოთლილი და „ერისთავთა მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარის ძლიერი თავისებურების ერთ-ერთი მანიშნებელი მომენტია“<sup>2</sup>.

უმარილის მოსალესები, როგორც არქეოლოგიური გათხრებით, ისე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოპოვებული, ფორმითა და დანიშნულების მიხედვით მსგავსია. განსხვავება შეინიშნება მხოლოდ მასალაში და გარეგნულ გაფორმებაში.

საკართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და უძველესი ხელობა იყო მენელსაცხებლობა. ნელსაცხებელი ჩვენში ოდითგანვე საკმაოდ დიდ გავრცელებას პოულობდა და ფართო მოხმარების საგნად იყო მიჩნეული. ნელსაცხებელი გამოიყენებოდა არა მარტო როგორც კოსმეტიკური საშუალება, არამედ დიდი რაოდენობით იხმარებოდა ქრისტიანულ გვლესიაში რელიგიური რიტუალების დროს. ნელსაცხებელს ამზადებდნენ როგორც მენელსაცხებელნი, ისე თვითონ მოხმარებლები. ხალხში დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ნელსაცხებლებს ნელსურნელოვანი ნივთიერებების კეთილსურნელოვან ზეთებთან შეზავების შედეგად. ნელსაცხებელი მრავალგვარი იყო: „ნელსაცხებელი ნარდისა“ ანუ ნარდიონი, შტახსი, მური, მუშკი, გუნდრუკი, ალვა, ამბარი და სხვ. ნელსაცხებლის შესანახად საჭირო იყო განსაკუთრებით დაცული და „დაბეჭდილი ჭურჭელი“, რომ „არა გამოუტყვეის სულნელება“, ამიტომ მენელსაცხებლებს ნელსაცხებლის შესანახად გააჩნდათ საგანგებო ჭურჭელი, რომელსაც „სანელსაცხებელე ჭურჭელი“ ერქვა და სხვადასხვა მასალისაგან ამზადებდნენ. სანელსაცხებელე ჭურჭლად უძველესი დროიდან გამოყენებული იყო მინა, კერამიკა, ალუბასტრი და სხვა. დიდი რაოდენობით მინის სანელსაცხებლები აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრებით. მაგალითად; თრიალეთის სამარხში (ძვ. წ. V ს.) გათხრილ სურნელოვანი სითხის შესანახ სანელსაცხებელს თავისებური მოყვანილობის ფორმა აქვს და დამზადებულია შავი, გაუმჭვირვალე მინისაგან<sup>3</sup>. მინის სანელსაცხებლები დიდი რაოდენობით გათხრილია მცხეთის, მცხეთა-სამთავროს, ურბნისის, რუსთავის, გვიანდელი პერიოდის სამარხებშიც, რაც მოწმობს მინის, როგორც სანელსაცხებელე მასალად გამოყენების დიდი ხნის ისტორიას. სანელსაცხებელედ ზოგჯერ ალუბასტრი იყო გამოყენებული „მოსე და არონ თხემსა და არონ მას ალუბასტრი ნელსაცხებლისა“<sup>4</sup>. ალუბასტრი არის ჭურჭელი, რომელიც მარმარილოსებრი ქვისაგან მზადდებოდა „ქვა მარმარილოს მჯობი“ (საბა) და ის იშვიათი და ძვირფასი სანელსაცხებელე იყო. ყელსაბამისა და სანელსაცხებელეს შესანიშნავ სინთეზს წარმოადგენს არმაზისხევის ერისთავთა მე-7 სამარხის (ახ. წ. II ს. მეორე ნახევარი) ოქროს ყელსაბამი რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება და „მესამე ნაწილია ოქროს მოთვალული სანელსაცხებელე, რომ ეს ჭურჭელი უნდა წარმოადგენდეს რთული ყელსამკაულის შემადგენლობაში ჩართულ სანელსაცხებელეს, ამას გვაფიქრებინებს მის ფსკერზე ჩარჩენილი ცოტაოდენი მოწითალო იისფერი კრისტალური ფხენილი, რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ ნელსაცხებლის ნალექად“<sup>5</sup>. ამ მოსაზრებას ადასტურებს ძველი აღმოსავლეთის მანდილოსნებში გავრცელებული ჩვეულება, ღილები, თმისსარჭები, ყელსაბამები, თავისი დანიშნულების გარდა ამავე დროს გამოყენებინათ სატარებელ სანელსაცხებელედ. ნელსაცხებლის დამზადების ტექნოლოგია მოითხოვს ნელსაცხებლის გაწურვას და, რასაკვირველია, ქართველ მენელსაცხებელეთ ამ დანიშნულების იარაღიც ექნებოდათ. მაგრამ ჩვენ არ ვიცით: ამ იარაღების არც ფორმა და არც სახელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სულხან-საბა ორბელიანის ცნობას — როცა ის შტახსს განმარტავს, შემთხვევით ნელსურნელოვან ნივთიერებათა გასაწურ იარაღებზეც ლაპარაკობს. „რა დას-



სუნელსაცხებლე ურბნისიდან.

Сосуда для растирания белил



სარკე ვერცხლის ბუდით  
Туалетное зеркало в серебрянной оправе



სურმაღანი ჩხირით

Сосуда для сурмы с палочкой



თმისსუოფი და მაშა-ჩქიფი

Инструменты для уборки волос

წურვენ სუნელსა მას, ავრეშთა განადენი არს შტახსი, ხოლო უზრქესი ავრეშთა შინა არს მური“. აქედან ვგებულობთ, რომ ნელსურნელოვან სითხეთა საწურავს ავრეზი ეწოდებოდა, მაგრამ სულხან-საბასვე ცნობით „ავრეზი ღვინის საწურავია“ და ავრეზი საწურავთა საერთო სახელიც უნდა ყოფილიყო.

ხალხში სურნელოვანი სითხეების და კეთილსურნელოვანი ზეთების გასაწურად იხმარებოდა „მურღვიმის“ საცერი, რომელშიც თავის მხრივ ჩაფენილი იყო მატყლი, წმინდად გაწურვის მიზნით. ხალხში აგრეთვე ნელსაცხებლებს გასაწურად ხმარობდნენ წმინდად ნაქსოვ მატყლის ქისებს.

„მურღვიმის“ საცრები იხმარებოდა აგრეთვე კოსმეტიკის ფხვნილების, მაგალითად კალას უმარილის, სხვადასხვა მცენარეების დანაყილი თესლების გასაცრელად და სხვა.

კოსმეტიკური ფხვნილების საწურავის ფრაგმენტი უნდა იყოს არმაზისხევის ერისთავთა სამარხში (ახ. წ. II ს. მიწურული) აღმოჩენილი ოქროს დაცხრილული ფირფიტა, რომელიც ალბათ დიდგვაროვანი არისტოკრატი ქალის კუთვნილებას წარმოადგენდა.

ახლო წარსულამდე ხანდაზმული მანდილოსნები სხვა საგნებთან ერთად მოქსოვილ ქისებში ინახავდნენ ძეწკვზე ასხმულ მეტალის, ძელის ან ხისაგან (ბზა) დამზადებულ ილარს, რომელიც სამ ნივთს მაშა-ჩქიფებს, ყურსაჩიჩქნს და კბილსაჩიჩქნს წარმოადგენს.

ქართველი მანდილოსნების იდეალი იყო გადამშვილდული წარბები და საჭიროების შემთხვევაში ჩვენი ქალები წარბებს ოსტატურად აძლევდნენ სასურველ ფორმას




ილარაწი კბილსაჩიქნი  
ფუნჯით

Зубочистка с кисточкой



ფეხის სახეხი ქვა

Камень для обтирания ног



ჩქის სავარცხელი

Гребень из рога



ძვლის სავარცხელი

Гребень костьюй

მაშა-შქიფების საშუალებით, ამავე მიზნით მიმართავენ თვალების მოხატვას, რისთვისაც არსებობდა სასურმე ჩხირები.

ლამაზი და ჯანსაღი კბილები სილამაზისა და ჯანმრთელობის საწინდარია, სახეს ანიჭებს არა მარტო კარგ გამომეტყველებას და სილამაზეს, არამედ საჭმლის მოვლენასაც უწყობს ზელს. ამიტომ, ბუნებრივია, ქართველი მანდილოსნები პირის ღრუს მოვლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სხვა პროცედურასთან ერთად კბილის მოვლის ერთერთ პროცედურას საჭმლის შემდეგ კბილის გამოჩიქნა და გამობანა წარმოადგენდა. კბილსაჩიქნს ბოლო წამახვილებული და წვერი ოდნავ გაბრტყელებული აქონდა.

ყურის ჰიგიენის დაცვას ემსახურებოდა მინიატურული კოვზის ფორმის ყურსაჩიქნი.

მაშა-ჩქიფები, კბილსაჩიქნი და ყურსაჩიქნი ილარად იწოდებოდა და ის საპირფარეშო ნესესერს წარმოადგენდა. საქ. ზელოვნების სახ. მუზეუმის ფონდებში და-



ცული ილარები აღწერა და შეისწავლა ეთნოგრაფმა ირ. სონდულაშვილმა<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ურში (სუმერეთი) აღმოჩენილი ილარის, რომელიც თარიღდება ძვ. წ. მეორე ათასწლეულით, მსგავსია ის ილარები, რომლებიც დაცულია საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში.

ზოგიერთ ილარში, რომელიც ხალხში დღესაც შემონახულია, მაშაჩქიფები არის ვერცხლის ან სხვა მეტალისაგან დამზადებული, ყურსაჩიჩქნი და კბილსაჩიჩქნი კი ძვლის ან ხისაგან.

საქართველოში უძველესი დროიდან მოყოლებული დიდ ყურადღებას აქცევდნენ თმის მოვლას, რაც დასტურდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალებით. ესენია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალგან მოპოვებული ძვლისა და ბრინჯაოს სავარცხლები, თმისსაყოფი ჩხირები და სხვა.

თმას თმისსაყოფი ჩხირით, რომელიც ძვირფასი მეტალისაგან ან რქის ძვლისა და ხისაგან იყო დამზადებული, გაიყოფდნენ შუაზე, ჩამოიშლიდნენ გვერდებზე და დავარცხნიდნენ სავარცხლით. სავარცხელი კეთდებოდა როგორც ძვირფასი მეტალები-საგან ისე ძვლისაგან, რქისა და ხისაგან. მზითვის წიგნებში აღწუსულია „სავარცხელი კუს ძვლისა“, „სავარცხელი თევზის კბილისა“, „სავარცხელი მუშაბახად მოჭრილი“, „ძვლის შაბაქა სავარცხელი“, „ხის შაბაქა სავარცხელი“ და სხვა.

სავარცხლები გამოჭრილი იყო სხვადასხვა ფორმისა და ზომის — ზოგი მსხვილი წაწვეტებულ კბილიანი, ზოგი მასხვილი ბლაგვეკბილიანი, ზოგი მრგვალებილიანი, ზოგი თხელკბილიანი, წერილკბილიანი, მჭიდრო და მჭრებრკბილიანი. სავარცხლებს ქონდა ორიგინალური და მოხერხებული ხელის მოსაკიდი. მაგ. ერთ-ერთ ძვლის სავარცხელს ქონდა ვარდის გირლიანდის ფორმის ხელმოსაკიდი და სხვა.

ქართული ხალხური კოსმეტიკის ზემოთ ჩამოთვლილი ხელსაწყო-იარაღები და საპირფარეშო ნესესერები გვიჩვენებენ ერთის მხრივ ქართველი ხალხის დიდ გემოვნებას და ჰიგიენის კულტურას, მეორეს მხრივ კი მისი კულტურის დონეს და სულიერი სიმდიდრის მასაზრდოვებელ წყაროებს.

1 ს. ბარნაველი, ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, X, თბ., 1940, გვ. 216.  
 2 მცხეთა I, თბილისი, 1955, გვ. 72.  
 3 ნ. უგრელიძე, შინა ძველ საქართველოში, თბილისი, 1961, გვ. 5.  
 4 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1949, გვ. 200.  
 5 მცხეთა, I თბილისი, 1955, გვ. 85.  
 6 ირ. სონდულაშვილი, ილარები საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, VIII, თბ., 1933.

## აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასულიერო კულტურის ისტორიიდან

იმ სიძველეთა შორის, რომელთაც კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, ყურადღებას იპყრობენ სალოცავი დროშები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთამ ბოლო დრომდე მეტ-ნაკლებად შემოინახა. სალოცავი დროშა შემდეგი სახისა იყო: თავდროშა, სასანათლო, საჯურუმო, სულის სამხსნელო. ამ უკანასკნელთან იყო დაკავშირებული საინტერესო რიტუალი, რომელსაც თუშ-ფშავე-ხევსურეთში ასრულებდნენ.

ქართულ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებსა და ქრისტიანულ რელიგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რწმენას სულების შესახებ, რაც კარგად დასტურდება საქართველოს მთის მოსახლეობის ეთნოგრაფიული მონაცემებით. ამის მაგალითს წარმოადგენს ე. წ. „სულის გამოსხნის“ წეს-ჩვეულება.

ხევსურების, ფშაველების, თუშების ძველი რელიგიური რწმენის თანახმად, ადამიანის არაბუნებრივ სიკვდილს ბოროტი ძალა იწვევდა. ამიტომ თვითმკვლელის, წყალში დამხრჩვალის, კლდეზე გადაჩეხილის, ზვავისაგან მოკულების „სულის გამოსხნა“ სავალდებულოდ მიიჩნდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზალხის რწმენით, გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ნათესაებს საიქიოში არ მიესვლებოდათ. ამიტომ „სულის გამოსახსნელად“ საგანგებოდ ემზადებოდნენ: ოჯახში ლუდს ადუღებდნენ, არაყს ხდიდნენ, ხმადებს აცხობდნენ.

ხევსურეთში ჭირისპატრონი ე. ი. გარდაცვლილის მებატრონე მოგვარეს გაგზავნიდა ლიქოკის კოპალა კარატის ჯვარის მედროშესთან და „სულის გამოსხნას“ სთხოვდა. ძღვნად აუცილებლად წელგამოვლილ ჭედილას, ლუდს, არაყს, ფულს გაუგზავნიდა. მედროშე ხატის ერთ-ერთ მსახურს დასტურს იახლებდა, ხელში კარატის ჯვარის დროშას დაიჭერდა და გზას გაუდგებოდა.

მოკლედ გავეცნოთ თუ რას წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სალოცავის ჯვარის ანუ ხატის დროშა.

დროშა შედგებოდა ხის ტარისა, ზარაკის (პატარა ზარის) და რამდენიმე ფერადი ნაჭრისაგან, რომელთაც სამკადრო ეწოდებოდა. დროშის ტარი მთავრდებოდა ვერცხლის ბურთულითა და ჯვრით, ზოგჯერ კი მხოლოდ ამ უკანასკნელით.

დროშა წარმოადგენდა სათემო-ტომობრივი სალოცავების უწმინდეს საგანს, რომელსაც კულტის მსახურთა მეთაურისა და მედროშეს გარდა, ვერავინ ვერ მიეკარებოდა<sup>1</sup>. განსაკუთრებული შემთხვევების დროს — დაღბინების ან გაჭირვების შემთხვევაში, მეთემე სახლში იწვევდა სათემო ღვთაებას. მეთემის სახლში ღვთაების სტუმრობა ხორციელდებოდა ამ ღვთაების დროშის „მობრძანებით“.

უბედური შემთხვევის მსხვერპლის „სულის გამოსხნაც“ ჯვარის დროშის მეშვეობით ხორციელდებოდა.

მედროშეს წინდაწინ არ ეუბნებოდნენ თუ სად, რა ადგილას მოხდა უბედური შემთხვევა, ეს თვით დროშას უნდა გამოეცნო. როდესაც შემთხვევის ადგილს მიუახლოვდებოდა, მედროშეს მოუსვენრობა დაეტყობოდა, იგი ზოგჯერ წყალში გადასახ-

ტომადაც იწვევდა, მაგრამ დასტური აკავებდა. ბოლოს დროშა მიიყვანდა იმ ადგილას/ სადაც უბედურება მოხდა. აქ მედროშე დიდხანს დროშის ტარს მიწაზე არტყამდა, დროშას არხვედა, ხმამაღლა სწყველიდა ბოროტ სულებს, ემუქრებოდა და ხოხოლდებოდა დაღუპულის სულის განთავისუფლებას ბოლოს მედროშე დაიძახებდა: „შემაკვინისათვის წამირთმევი სულიო“. ამ დროს შავ ციკანს დაკლავდნენ და ხელუკუღმა გადააგდებდნენ. აქვე სანთელს დაანთებდნენ და მიცვალებულისათვის შენდობას იტყობდნენ ამის შემდეგ მედროშე ჭირისპატრონის სახლისაკენ გაემუწრებოდა და დროშას ბანზე დაბერტყავდა, რაც სულის სახლში მოყვანას ნიშნავდა. შეფემის სახლში სტუმრად ნოსულ დროშას ბანზედღე „დააბრძანებდნენ“, რომელიც ხევსურის სახლში ყველაზე წმინდა ადგილად ითვლებოდა. შემდეგ კი ჭირისპატრონი ხალხს გაუმასპინძლდებოდა. უკან დაბრუნებულ მედროშეს და მის თანხლებს დასტურს 3—4 კგ სპილენძს ატანდნენ ჯვარის საჭიროებისათვის. გარდა ამისა, ხატიონს რამდენიმე ცხვარსაც აძლევდნენ ზოლზე<sup>2</sup>. ფშავში „სულის გამოსხნა“ იახსრის ჯვარის ფუნქციებში შედიოდა და ხევსურეთში დამოწმებული წესისამებრ ხდებოდა.

როგორც ირკვევა, თუშეთშიც კოპალა კარატის ჯვარის დროშას მიმართავდნენ „სულის სახსნელად“. ყოველ ზაფხულს, დიდი სახალხო დღეობის ათნიგენას (ათენგენას) წინა კვირას, ხევსურეთიდან ჯვარის მსახურნი, ე. წ. ჯვარიონნი, (ექსცი-შეიდი კაცის შემადგენლობით) გადმოდიოდნენ, თან ხახმატისა და კოპალა კარატის ჯვარის დროშები მოჰქონდათ.

სწორედ ამ დროისათვის ემზადებოდნენ თუშები უბედური შემთხვევებისაგან გარდაცვლილ ადამიანთა სულების გამოსახსნელად. ამ მიზნით ისინი კოპალა კარატის ჯვარის დროშას იწვევდნენ, რადგან მთხრობლის განმარტებით „თუშებსა და თუშის დროშას აქ ძალა არ ჰქონდა“. სულის გამოსხნის შემდეგ, რომელიც ხევსურეთსა და ფშავში დამოწმებული ანალოგიური წესით ხდებოდა, კარატის ჯვარის მედროშე ჭირისპატრონის სახლისაკენ გაემუწრებოდა. მას წინ თუში მიუძღოდა, რომელიც იძახდა: „მოვალ და მომყავს (გარდაცვლილის სახელი) სულიო“. ოჯახში რომ მოვიდოდნენ, ხევსური სახლის ყველაზე მაღალ ადგილას სიპზე უნდა ასულიყო და აქ უნდა დაებერტყა დროშა<sup>3</sup>.

გარდა თუშ-ფშავ-ხევსურეთისა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც ყოფილა გავრცელებული მიცვალებულთა „სულების გამოსხნის“ ჩვეულება. ამ მხრივ საინტერესოა სვანეთში დამოწმებული „ქინი ლიტხეს“ (სულის დაბრუნების) რიტუალი, რაც შემდეგნაირად სორციელდებოდა. ჭირისუფლები მიდიოდნენ უბედური შემთხვევის ადგილას. ერთს ჩანგი მიჰქონდა, მეორეს კი მამალი ვჭირა მარჯვენა ილღიამი. ადგილზე მისულნი ტირილს იწყებდნენ და სულს შინ დაბრუნებას სთხოვდნენ. უკან ძალიან ნელა მოდიოდნენ, წინ ჩანგზე დამკვრელი მიუძღოდათ. თუ სიმები კარგად აქედრდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ სული თან მიჰყვებოდათ, რაც მამლის დაყვილებასაც უნდა დაემოწმებინა<sup>4</sup>.

როგორც ზემოთ მოტანილი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიეღთა წარმოდგენით, უბედურ შემთხვევებს, რომლებსაც ადამიანთა სიკვდილი მოსდევდა, ბოროტი სული იწვევდა. ხევსურეთსა და ფშავში ამ ადამიანთა „სულების გამოსხნის“ საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ კოპალა კარატის ჯვარი და იახსრის ჯვარი, რადგან ეს ღვთაებები, ხალხური რწმენის თანახმად, წარმატებით ებრძოდნენ ბოროტ სულებს. ასეთმა წარმოდგენამ განაპირობა სწორედ ის გარემოება, რომ თუშეთში მიცვალებულის „სულის გამოსახსნელად“ ადგილობრივ

ლეთაებას კი არ მიმართავენ, არამედ ხევსურულ ღვთაებას აძლევენ უაირატი სობას. კოპალა კარატის ჯვარი ძლიერი თემის მფარველ ღვთაებას წარმოადგენდა და ამ თემის მიერ წარმოებული დამპყრობლური ომების შედეგად მუზობულად შეიქმნა შივ გაიჩინა საყმო, მაგრამ, გარდა ამისა, თავისი განსაკუთრებული ფუნქციის გამო, ადგილობრივი ღვთაებებისაგან მკვეთრად განირჩეოდა. კერძოდ, ბოროტ სულებთან წარმატებით მებრძოლ კოპალა კარატის ჯვარს, თუშეთშიც დიდი გავლენა უნდა მოეპოვებინა.

სწორედ ბოროტ სულებთან მებრძოლ ღვთაებათა საკრალური საგანი — დროშა, ახორციელებდა არაბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილ ადამიანთა „სულების გამოხსნას“, რადგან „დროშა იყო არა მარტო ღვთაების სიმბოლო, არამედ მისი განსახიერებაც“.

უნდა აღინიშნოს, რომ „სულის გამოხსნის“ რიტუალში შესაძლებელია თვალი გადადევნოთ რეგიონალური ჯვარ-ხატების ფუნქციითა და დიფერენცირებულ სხვაობას, რაც ინტერესს იწვევს წარსული ეპოქების სოციალურ-გკონომიური განვითარების თვალსაზრისითაც.

<sup>1</sup> В. В. Бардавелидзе, древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тб., 1957, стр. 58, 62.

<sup>2</sup> ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940, გვ. 71. ს. შაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 216.

<sup>3</sup> ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 71.

<sup>4</sup> დ. გიორგაძე, მთა-თუშეთის 1965—1966 წწ საველე დღიურები.

<sup>5</sup> თავისუფალი სვანი, სვანების სა-ქო, ვახ. „ივერია“, 1888, № 116 118. მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ. 1961, გვ. 166-167.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სპანური დღეობა ჯგირვანაშობა

ბენოს სასოფლო საბჭოს სოფელ ტვებიშის დასავლეთით, სასაფლაოსთან ახლოს დგას დიდი იფნის ხე. ხის ძირში კი პატარა, ნახევრად დანგრეული ბაზილიკაა, რომელიც შემდეგში ქვის მშრალი წყობით აღუდგენიათ და ყავრით გადაუხურავეთ. იფნის ხეზე ჩამოკიდებულია კვირისთავების რამდენიმე აცმა. ბაზილიკის შიგნით კი ნიშები გავსებულია კვირისთავებითა და ქვასანაყის ტიპის გრძელი ქვეებით. იფნის ხიდან ორ მეტრზე მოწყობილია ფიქალის ქვით დახურული კერია. ამ ბაზილიკას ადგილობრივი მოსახლეობა „ჯგირვანაშ“ უწოდებს, ხოლო დღეობას კი ჯგირვანაშობას

იფნისის თვეში ახალ მთვარეზე დღეობა პლიშობის წინა დღეს (პლშა საფტინ) და მდინარე კელდირას ზემოთ მცხოვრები სოფლების ქალები იკრიბებიან ამ დღეობაზე. დღეობა ტრადიციულად შაბათს ხედებოდა, რადგანაც პლიშობა აუცილებლად კვირას უნდა გამართულიყო.

დღეობა მამარაული იყო მსხვილფეხა საქონლის, კერძოდ კი ფურების განაყოფიერება-გამრავლებისა და წველის მომატებისაკენ. მოცველებს აქ მიჰქონდათ ყველი, ფქვილი, ამ დღისათვის ნაყიდი შესაწირავი ხბო. იმ ოჯახის ქალებს კი, რომლებსაც პირველი ხბომონაგები ძროხა ჰყავდათ, ახალ მთვარეზე ორშაბათის ნაწველი თოთო ყველი და კვირისთავი.

პირველი იშვების შემდეგ დეკეულს — „ნამსტევანს“ მეტი ყურადღება და მოვლა სჭირდებოდა. ფურს შეიძლება ხბო არ მიეშვა ახლოს, წიხლი ეკრა გობისათვის, რქენია გამზდარიყო და სხვა. ამიტომ ოჯახის უფროსი ქალი რამდენიმე კენიტ (ფხიტ) მარილს შეულოცავდა, ნაწილს ძროხას შეაჭმევდა, ნაწილს კი ცეცხლში შეყრიდა. ამ ძროხის პირველი ჩამონაწველი რძის ცვარს (მანკუშ დღულ) გაატარებდა ამ ცერემონიალისთვის საგანგებოდ დამზადებული კვირისთავის ნახვრტში და პირდაპირ მიწაში ჩააწვეთებდა. ეს კვირისთავი ძროხის პატრონს (მიშგალის — მწველავს ჯგირვანაშობისას მიჰქონდა ეკლესიაში და იქ ტოვებდა-

დღეობაზე თავს იყრიდნენ მოხუცი და ახალგათხოვილი ქალები. აქ ცხვებოდა ხაჭაპურები, შესაწირავი კვერები — ლემზირები, იხარშებოდა ხორცი, ყველი (ლემმარ) და სხვა საჭმელი.

სამი უხუცესი ქალი შესაწირავი კვერებით — ლემზირებითა და ლემზირებზე დადებული კვირისთავეებით აღმოსავლეთისაკენ ხელუბაპყრობილნი შესთხოვდნენ ფურების სალოცავ ღმერთს ბარბოლს, ამ კვირისთავის პატრონის ძროხების თვინიერებას, ბევრ წველას, გამრავლებას, ადამიანების ჯანმრთელობასა და სიმრავლეს.

„ო დიდებუ აჯხედა, მალღუ აჯადა  
ფურრე ლამზერ ღერმათ ბარბოლს  
დიდაბ. ბარბოლ! ისგვა დიდაბჯო  
ათნუყურ, ათფიშერ, ხოჩალაშე ლახო,  
(აქ კვირისთავის პატრონის სახელს  
იტყოდნენ), მიჩა მეჭუმ მარაცხან.(ბევრი)  
ისგვა დიდაბჯო მალდიან“.

„ო დიდებამც მოგვსლოდეს, მადლიმც  
მოგვსლოდეს, ძროხების სალოცავ ღმერთს  
ბარბოლს დიდება. ბარბოლ! შენს  
მადლს, ამშვიდე, ამრავლე, კარგი  
შენს მადლს, მადლიანო“.



ამ სიტყვებით დალოცავდნენ სალოცავში მოსული ქალები საქონლისა და ადამიანების სიმართლეს — სიმრავლეს და შემდეგ იმართებოდა პურობა. პურფხეს უდრის: რომელიმე მოხუცი ქალი მიეპარებოდა უშვილო ან ახალ გათხოვილ ქალს და სანაყს კალთაში ჩაუგდებდა. თან დააყოლებდა „ფალოსის მაღლით ბარბოლი გაის ამ დრომდე ვაეიშვილს ჩაგიგორებს კალთაშიო“. მამაკაცებს ამ დღეობაზე დასწრება და აქ დამზადებული საქმლის ჭამა ეკრძალებოდათ, თუ ვინმე შეეცდებოდა და დაარღვედა ქალების მყუდროებას, მას ჭინჭრით სუსხავდნენ.

როგორც შესაწირავი, ისე ლოცვის ტექსტი და რიტუალი მიგვანიშნებს, რომ დღეობა იმართებოდა მზის ქალღვთაების ბარბოლის — ქალბაბარის სახელობაზე. კვირისთავები, რომლებიც ასე უხვადაა შეწირული ეკლესიისათვის, ბარბოლის სახელზე შეიწირებოდა, რადგან იგი უკავშირდება ქალურ ბუნებასაც და მზესაც. საფიქრებელია, რომ კვირისთავი ბარბოლის ერთ-ერთი ატრიბუტიც ყოფილიყო.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს იხიცი, რომ სადღესასწაულო სუფრას მხოლოდ ქალები ესწრებოდნენ და იქ მისული მამაკაცი სასტიკად ისჯებოდა. აქვე ტარდებოდა რიგი სიმბოლური მოქმედებებისა, რომელთა მიზანი უშვილო და ახლად გათხოვილი ქალების შვილიერების გამოწვევა ჩანს. დღესასწაული ფურების გამრავლება — ნაყოფიერებას სთხოვდა ძროხების ღვთაებას, კერძოდ ბარბოლს, რომელიც ყოველგვარი დედურის მფარველ და ამლორძინებელ ძალად მიაჩნდათ სვანეთში.

ასევე საყურადღებოა რძის პირველი შხეფის კვირისთავში გატარებისა და მიწაზე დაღერის წესი. ეს ცერემონია ალბათ გურულების „მიწის გაჯერიების“ ანალოგიური მოვლენაა, რომლის მეოხებით კვირისთავში გატარებულ, გაწმენდილ პირველ შხეფს რძისას მიუძღვნიან მიწის ღვთაებას.

მთელი ეს ცერემონიალი არქაული ჩანს და მესაქონლეობისა და მიწისმოქმედების ადრეული ხანიდან უნდა მომდინარეობდეს, როდესაც სქესთა ურთიერთობის სიმბოლური გააზრება უკავშირდებოდა მზისა და მიწის ანალოგიურ ურთიერთობას. მიუხედავად ასეთი არქაულობისა, დღეობაზე თავისი კვალი დაუტოვებია ქრისტიანობას. ამ წარმართულ სალოცავზე ქრისტიანული ტაძარი აშენებულა და დღეობის სახელსაც საფიქრებელია ქრისტიანული იერი გააკრავს. ფიქრობენ, რომ ჯგირვანაშობა — ჯგირიწმინდა იანის ან იოვანეს სახელს უკავშირდებოდაც.

თუმცა უმეტეს შემთხვევაში საკართველოში ქრისტიანული წმინდანების სახელით ხშირად უძველესი ხალხური ღვთაებები იგულანხმებოდა, ქრისტიანული უქმედღესასწაულების სახელწოდებით და ამ უქმედღესასწაულებითვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული წეს-ჩვეულებები სრულდება. (ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ) თბ. 1941, გვ. 63-64).


სორის კედლის მოხატულობის ერთი ფაზისა

(XIV საუკუნის შუახანები)

ზემო რაჭაში, მდინარე რიონის ხეობაში, ონიდან 15 კმ-ზე რიონის მარჯვენა შენაკადის სონტარულის ნაპირზე მთის უბეს შეიფარებია სორის ჯვარცმის სახელობის პატარა ეკლესია. ძველად აქ მონასტერი ყოფილა, ახლა მხოლოდ დარბაზული ტიპის ერთნავეიანი ეკლესია დგას, რომელსაც აშკარად ეტყობა გადაკეთების კვალი: დაგრძელებულია ეკლესიის დასავლეთი მხარე. ამრიგად, ეკლესია შიგნიდან ორ ნაწილად იყოფა: 1) ახალი და 2) ეკლესიის თავდაპირველი ნაწილი. ახალი ნაწილი შეთეთრებულია, ძირითადი ნაგებობის ნაშთი კი კედლის მხატვრობით არის შემკული. ძველის მოხატულობის იკონოგრაფიული სქემა ტრადიციულია და დამახასიათებელია ქართული ეკლესიების კედლის მხატვრობის ძეგლებისათვის, რომლებშიც „ათორმეტი დღესასწაულის“ სცენების გარდა მოცემულია აგრეთვე ისტორიულ პირთა პორტრეტული გამოსახულებანი.

ძველი ქართული ტრადიციის თანახმად კონქში მოცემულია „ვედრების“ კომპოზიცია. აფსიდის ქვემო რეგისტრი კი უჭირავს მღვდელმთავართა და დიაკვნთა ფიგურებს. დარბაზულ სივრცეში მოხატულობა გაშლილია სამ რეგისტრად. ზედა რეგისტრს უჭირავს თალი, ხოლო ორი რეგისტრი კედლებზეა მოცემული. ორ ზედა რეგისტრში ძირითადად გადმოცემულია სახარების სცენები: „მარება“, „შობა“, „ფერისცვალება“, „ლაზარეს აღდგინება“, „ბზობა“, „ჯვარცმა“, „სული წმიდის მოყვანა“ და „ღვთისმშობლის მიძინება“. ქვედა რეგისტრი კი შედგება წმინდანთა და საერო პირთა მთელი სიმაღლით მოცემული ფიგურებისაგან.

ამჟერად, ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ სორის მოხატულობაში „ჯვარცმის“ კომპოზიციაზე, რომლის ემოციური წყობა დამახასიათებელია XIII—XIV სს ხელნაწების მოწინავე ძეგლებისათვის. კომპოზიციის ცენტრში უზარმაზარ ჯვარზე გაკრულია შიშველი ქრისტე, რომელსაც მხოლოდ წელს ქვემოთ კვართი აცვია, მისი სხეული ძლიერ არის დაქანებული ჯვარზე, მუხლებში მოხრილია, ხელები უღონოდ ჩამოკიდებულია, თავი მარჯვენა ბეჭზე დაუხრია, თვალები დახუჭული აქვს, იგი მკვდარია. მარცხნივ გამოსახულია ღვთისმშობლისა და იერუსალიმელ დედათა ფიგურები. ღვთისმშობელი გულშეწუებულია, უღონოდ დახრილა და წმ. დედანი ხელს აშველებენ. მარჯვენა მხარეს ძლიერ გაირჩევა იოანე მახარებლის შარავანდიანი თავის მოხაზულობა. ქრისტეს ჯვარცმული ფიგურის ორივე მხარეს გამოსახულნი არიან ჯარისკაცები, რომლებიც შუბებს ურჭობენ ქრისტეს სხეულში და იქიდან სისხლი გადმოსჩქეფს. განსაკუთრებით თამამი რაკურსით არის გადმოცემული მარჯვენა ჯარისკაცის ფიგურა. ჯვრის ორივე მხარეზე გამოსახული ანგელოზთა ფიგურები დაზიანებულია, რაც არ იძლევა საშუალებას დადგინდეს მათი ემოციური მდგომარეობა. ჩვეულებრივად XIV ს. ჯვარცმის კომპოზიციებში ჯვრის ორივე მხარეზე გამოსახულ ანგელოზთა ფიგურები ტირიან.




ფრესკა (XIV ს. შუახანები)

Фреска (середина XIV в.)

ორნამენტის ფრაგმენტები (XIV ს.  
შუახანები) 

Фрагменты орнамента (середина XIV в.)





სორის „ჯვარცმის“ სიუჟეტისათვის დამახასიათებელია დიდი ინტიმურობა და თემის ფსიქოლოგიური გააზრება, რასაც ეხედავთ XIII—XIV სს ხელოვნების შემოქმედებებში.

XIII—XIV სს. როდესაც ბიზანტიურ ხელოვნებაში ძლიერდება ყველა ემოციური მომენტი, „ჯვარცმის“ კომპოზიციაში ღვთისმშობელი ხშირად გამოისახება გულშეწებულ მდგომარეობაში, მას ხელს აშველებენ ან წმ. დედანი, ან, კიდევ იოანე მახარებელი. ღვთისმშობლის გულშეწებული ფიგურა პირველად XIII ს კედლის მხატვრობისა და მინიატურული ხელოვნების ძეგლებში ჩნდება: სოპოჩანის ფრესკა, თალარის ფრესკა, კუნძულ ეგინაზე ომორფის ვკლესიის მოხატულობა, ძველი ნაგორიჩინოს, გრანინიკას ფრესკები, სომხური მინიატურები იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკიდან № 2568/13, № 2563/8, ბელგრადის ფსალმუნი და სხვ. ქართული ძეგლებიდან ეს მოტივი გვხვდება საფარის წმ. მარინეს ვკლესიაში (XIV), ჩხარის ჯვრის მოჭედულობაზე (XVI).

XIII—XIV საუკუნეთა ოსტატები ცდილობენ ტრადიციულ სიუჟეტებს უფრო მეტად ორიგინალური ახსნა მისცენ, რაც რეალურ სამყაროზე მათი პირადი დაკვირვებიდან გამომდინარეობს. სორის ოსტატის ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს წმ. იოანე სახეთა ინდივიდუალური დახასიათება, ღრმა შინაგანი სამყარო და ტრაგიკული პათოსი. სორის მოხატულობისათვის უფრო დამახასიათებელია სცენები, რომლებშიც ფიგურები შეპყრობილი არიან ძლიერი ადამიანური გრძნობებით („ჯვარცმა“, „სული წმინდის მოფენა“, „ღვთისმშობლის მიძინება“) სორის მხატვარი ყველა ამ ფსიქოლოგიურ მომენტს იძლევა არაჩვეულებრივი თვალსაჩინოებით, ამ დროისათვის იშვიათი რეალიზმით და „ალარაფერი რჩება ბიზანტიური კანონისაგან“. სიკვდილის თემა და მისით გამოწვეული მწუხარება ახლოს იყო მხატვართან და ამიტომაც თავისი ფსიქოლოგიური გააზრებით „ჯვარცმის“ კომპოზიცია სორის მოხატულობაში ყველაზე უფრო შთამბეჭდავია. ძლიერ შემოქმედებას ახდენს ჯვარცმული ქრისტეს ჩამოკიდებული სხეული, გულშეწებული ღვთისმშობლის ფიგურა, წმ. დედანა მწუხარე ფიგურები, განსაკუთრებით სულ ბოლოს მდგომი წმ. დედის ფიგურა, რომლის სახე უდიდეს მწუხარებას და სასოწარკვეთილებას გამოხატავს. ამ კომპოზიციაში გვაქვს არა ერთი მთავარი მოქმედი პირის სულიერი განცდების გამოხატვა, არამედ მთელი კომპოზიციის ერთიანი ფსიქოლოგიური გააზრება. თავისი ადამიანური განცდებით „ჯვარცმის“ კომპოზიცია ერთ-ერთი შესანიშნავი ფრესკაა სორის მოხატულობაში.

## ქ ე გ ლ ტ ა მ ე ც ნ ი ა რ უ ლ ი ლ ა ც ვ ა — — ა ლ დ გ ე ნ ი ს კ რ ა ე მ ი ა

რუსულან გვირდვინთილი

### ბანა ასათი უნდა იყოს ქეგლის მეცნიერული ღაცვა?

„ქეგლის მეგობრის“ 31—32 ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „ისევ თიანეთის სიონის მეცნიერული დაცვის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს პასუხს წერილზე „რამდენიმე შენიშვნა თიანეთის სიონის აღდგენა-გამაგრების პროექტის შესახებ“ (დ. მ. № 29, გვ. 65—70).

ფაქტიურად უპასუხოდ დატოვებული შენიშვნები და პრინციპული ხასიათის მეთოდოლოგიური შეცდომები, დაშვებული პასუხში მაიძულებს, გაეაგრძელო ეს დისკუსია. ვეცდები მოკლედ შევეხო მხოლოდ მთავარ საკითხებს.

საქმე ეხება თიანეთის სიონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის, მთავარი ნაწილისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული გადახურვის აღდგენას.

აღდგენა-გამაგრების პროექტის განმარტებით ბარათში პროექტის ავტორი პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ფაქტიური მასალების“ სიმცირის გამო იგი იძულებულია მიმართოს ქეგლის „ნაწილობრივ აღდგენას“ (დ. მ. № 18 გვ. 9), ნახაზზე კი იძლევა სრულ აღდგენას. ყოველ შემთხვევაში პროექტში ყველა სადავო საკითხი, როგორცაა შუა ნაწილის სრული სიმაღლე და სახურავის ფორმა, ბოლომდეა დადგენილი და ჩამოყალიბებული. მთავარი ნაწილის შუაზე გაკვეთა საქმეს არ ცვლის, რადგან სიმეტრიული გეგმის მქონე ბაზილიკის აღსადგენად სრულიად საკმარისია მისი ერთი რომელიმე ნახევრის აღდგენა. ფაქტი ფაქტად რჩება, შენიშვნა კი უპასუხოდ.

ასევე უპასუხოდ არის დატოვებული შენიშვნა იმის შესახებ, რომ კარნიზის ნაშთი, რომელიც ჩრდილო ნაწილს ფარგლებს არ სცილდება, მთავარი ნაწილის სახურავის აღსადგენად ვერ გამოდგება.

როგორც ჩანს, ამ საკითხში საჭიროა მეტი გარკვეულობის შეტანა. თიანეთის სიონის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში შერჩენილია ქეგლის აგების დროინდელი კარნიზი და ჩრდილო ნაწილს დახრის კუთხე. ეს მნიშვნელოვანი საყრდენია ქეგლის სახურავის ფორმის გადასაწყვეტად, მართალია, არა იმ გაგებით, როგორც ეს პროექტის ავტორს ესმის.



თიანეთის სიონი, ჩრდ. ნავის აღმ. ფასადა  
 თავდაპირველი კარნიზის ნაშთით

Тианетский Сиони, вост. фасад северного  
 нефа с первоначальным остатком карниза

ეს დეტალი დაფიქსირებულია: ძეგლის პირველ შემსწავლელ ირ. ციციშვილის 1951 წლის ანაზომზე (ინვ. № 4471), ძეგლის დასლამდე გადაღებულ ფოტოსურათზე (№ 22712), თვით ლ. ხიმშიაშვილის 1961 წლის ანაზომზე (ინვ. № 3812) და, რაც მთავარია, ეს დეტალი პროექტის ავტორის მიერ ზუსტადაა გადატანილი ძეგლზე. მისი ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების მუზეუმში აგების დროს (ფოტო № 22714ა<sup>1</sup>).

ოთხივე შემთხვევაში ძეგლის ეს შემორჩენილი მონაცემი გვადლევს ჩრდილო ნა-  
 ვის სახურავის დაბრას 9—11<sup>0</sup> ფარგლებში<sup>2</sup>.



თიანეთის სიონი. ჩრდ. ნაწიის აღმ. ფასადი  
აღდგენილი მუზეუმში


Трианетский Сион. вост. фасад северного  
нефа восстановленный в музее

მაგრამ, ძეგლის აგების დროინდელი ეს უძვირფასესი მასალა აღდგენის პროექტში სრულიად იგნორირებულია.

პროექტის ავტორი წერს: „დახრის კუთხე აღმოსავლეთის ფასადის ფრონტონისათვის განსაზღვრული იქნა შემონახული კვალის მიხედვით, რომელიც 20—25<sup>1</sup> ფარგლებშია“ (Sic!). (ძ. მ. № 18, გვ. 9.).

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რამ აიძულა ლ. ხიმშიაშვილი გადაედგა რესტავრატორისათვის ეს ყოვლად დაუშვებელი ნაბიჯი, საკმარისია განვიხილოთ თიანეთის სიონის განივი განაკვეთი აღდგენილი 11° და 25° დახრის მქონე სახურავით. (ნახ. 1 და 2).






პირველ ნახაზზე კარგად ჩანს, რომ 11<sup>0</sup> მქონე დახრის სახურავი ნორმალურად სურავს ჩრდილო ნავს, მაგრამ ჰკვეთს მინიმალური შესაძლებელი სიმაღლით აღდგენილ შუა ნავის გადახურვის კამარას, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩრდილო ნავის სახურავი წყდებოდა მთავარი ნავის კედელთან. მაშასადამე, მთავარ ნავს უნდა ჰქონოდა ცალკე, გვერდის ნავისაგან დამოუკიდებელი, სახურავი.

მაგრამ პროექტის ავტორმა მხედველობიდან გაუშვა საკითხის გადაწყვეტის ეს ერთადერთი გზა და რათა როგორმე გადაეხურა სამივე ნავი ორქანობიანი სახურავით, გაზარდა მისი ქანობი 25<sup>0</sup>-მდე (ნახ. 2). მას იმისათვისაც კი არ მიუჭყვევია ვურადლება, რომ ამით შექმნა გვერდის ნავის თავზე კონსტრუქციული თვალსაზრისით დაუშვებელი 1, 10 მეტრის სისქის წყობის მასივი.

ასე დაიბადა თიანეთის სიონის აღდგენის „ორკალთიანი“ ვარიანტი, რომელმაც სოგიერთები შეცდომაშიც კი შეიყვანა.

აქ შეიძლება თიანეთის სიონის აღდგენის „ორკალთიანი“ ვარიანტისათვის საერთოდ წერტილი დაგვესვა, „პასუხში“ კიდევ სხვა პრინციპული ხასიათის მეთოდოლოგიური შეცდომები რომ არ არსებობდეს.

თავისი პოზიციების „მეცნიერული“ საფუძვლიანობის შთაბეჭდილების შესაქმნელად პროექტის ავტორს მოაქვს ციტატები სხვისი შრომებიდან. უპირველეს ყოვლისა, მას მოაქვს ამონაწერი ვ. ცინცაძის რეცენზიიდან, რომელიც პროექტთან ერთდროულად დაიბეჭდა (დ. მ. № 18, გვ 13, 14), და რომელშიც მოცემულია ცდა გამოიყენოს თიანეთის სიონის „ორკალთიანობის“ დასამტკიცებლად მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი.



„თიანეთის სიონის ჩრდილოეთის ნაგვის კადამხურავი ცილინდრული თაღის ზე-  
ნითი თითქმის საკურთხეველის ტრიუმფალური თაღის ზენიტს უსწორდება. შუა ნაგვის  
და გვერდითა ნაგვების გამოყოფი არქატურის ქუსლები ტრიუმფალური თაღის ქუსლე-  
ბის ღონეზე მდებარეობს. ეს ხომ ერთდარბაზოვანი სივრცის, ან, სხვა სიტყვებით რომ  
ვთქვათ, ერთ ღონესე აღმართული სივრცის სამ ნაწილად დაყოფაა. სივრცის გადაწყ-  
ვეტის ეს პრინციპი განსხვავდება სამნავიანი ბაზილიკებისათვის დამახასიათებელი გა-  
დაწყვეტისაგან. უკანასკნელში მთავარი ნაგვის სივრცე მკვეთრად არის გამოყოფილი  
გვერდითა ნაგვიდან. ის მალალია და ფართო, გვერდითა ნაგვები კი — დაბალი და  
ვიწრო. შინაგანი სივრცის ეს გადაწყვეტა მკვეთრადაა გამოვლინებული გარეთა მასე-  
ბის აგებისას, შეხაფურისი „ოთხკალთიანი“ სახურავის მოწყობით...

შინაგანი სივრცისა და გარეთა მასების აღნიშნული დამოკიდებულება ქართული  
ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მთავარ დამახასიათებელი თვისებაა და შემცდარი არ  
უნდა ვიქნეთ თუ ვიფიქრებთ, რომ სწორედ ამით არის შეპირობებული თიანეთის სი-  
ონში ორფერდა სახურავის ქვეშ სამი თითქმის ერთი სიმაღლის ნაგვიანი სივრცის  
მოთავსება. ჩვენ ზევით პირობით ვუწოდებთ თიანეთის სიონის შიდა სივრცეს დარბა-  
ზული სივრცე დაყოფილი სამი ნავით. მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი ამის უყ-  
ლებას გვაძლევს“... (ძ. მ. № 18, გვ. 14—15 და № 31—32 გვ. 58—59).

ცნობილია, რომ ფაქტებისა და ლოგიკის გარეშე მეცნიერება არ არსებობს.

ამ ციტატის დასაწყისში აღწერილია ძეგლის ფაქტიური მდგომარეობა: თიანე-  
თის სიონს მართლაც თითქმის ერთი სიმაღლის აბსიდი და გვერდის ნაგვები აქვს. მაგ-  
რამ ასეთივე აღნაგობა აქვს ყველა დაბალ-აბსიდიან ბაზილიკას. ამიტომ აქედან ლო-



გიკური დასკვნა შემდეგი იქნებოდა: თიანეთის სიონიც ჩვეულებრივი დაბალ აბსიდიანი ბაზილიკაა. ხოლო უძველესი ბაზილიკებისათვის დამახასიათებელი ერთდროულად განლაგებული ნაგებობის გამოყოფი არქატიურისა და ტრიუმფალური თაღის უკლებლივ (აკურთა, ხაშმი), კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თიანეთის სიონის არქაულ ხასიათს. ამის მაგიერ: დკითხულობთ: „ეს ხომ ერთი დარბაზოვანი სივრცის ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ დონეზე აღმართულ სივრცის სამ ნაწილად დაყოფა“.

Sic! აქ უკვე აღარც ფაქტებია და აღარც ლოგიკა.

ჯერ ერთი, რას ნიშნავს „ერთ დონეზე აღმართული სივრცე?“ განა ბაზილიკური სივრცე სხვადასხვა დონეზე არის ხოლმე აღმართული? შესაძლებელია რეცენზენტს სურდა ეთქვა ერთ დონეზე აღმართული სივრცე? მაგრამ მაშინ მას ავიწყდება, რომ როდესაც თიანეთის სიონის აბსიდიანს და გვერდის ნაგებობის სიმაღლეების შეფარდებიდან საუბარი გადააქვს ძველის შიდა სივრცეზე, ეს უკანასკნელი სინამდვილეში უკვე აღარ არსებობს, ის მოცემულია მხოლოდ პროექტში და, რაც მთავარია, ნახაზზე კონქია თავზე ამართულია თითქმის 2,5 მეტრის სიმაღლის შუბლი, რომლის წყალობით შექმნილია ბაზილიკისათვის დამახასიათებელი შიდა სივრცე მაღალი და განიერი შუა, დაბალი და ვიწრო გვერდის ნაგებობით, სწორედ ისეთი, რომელსაც რატომღაც უპირისპირებს რეცენზენტი თიანეთის სიონს. სხვა საქმეა, რომ ეს სივრცე მეტისმეტად მძიმე და ტლანქია.

აი რა კურიოზებამდე შეუძლია მიგვიყვანოს ფაქტიური მონაცემების შეგნებულმა თუ უგნებლოდ უგულვებელყოფამ და ძველის აღდგენის დაფუძნებამ მხოლოდ სუბიექტურ მხატვრულ-სტილისტიკურ ანალიზზე. მხატვრულ-სტილისტიკურ ანალიზს მხოლოდ მაშინ აქვს ქმედითი ძალა და ძველის აღდგენილი ელემენტების სასწორის შემოწმების უნარი, როდესაც ის ფაქტებს და მხოლოდ ფაქტებს ეყრდნობა.

რესტავრატორს არა აქვს უფლება თავისი ნებასურვილით შეუცვალოს ძველს თავდაპირველი სახე, იგი მოვალეა უდიდესი სიფაქიზით დაიცვას თავისი პროფესიის. ეს წმინდათაწმინდა, რა სიმწვლეებიც არ უნდა აღიმართოს ამის გამო მის წინაშე.

რაც შეეხება თიანეთის სიონის აღმოსავლეთი ფასადის პილონებს, რომლებიც თითქოს გამოირიცხავენ „ოთხკალთიანი“ სახურავის მოწყობის საშუალებას, აქაც არ ღირს საკითხის გართულება, რადგან მათი შექმნა გამოწვეულია წმინდა კონსტრუქციული მიზეზებით. ვინაიდან მშენებელს არ შეეძლო დაეყრდნო კონქზე არაჩვეულებრივი დიდი სისქის აღმოსავლეთის კედელი (155 სმ), ის იძულებული იყო დაეწირობებინა იგი მთავარი ნაგვის ფარგლებში. ბუნებრივია, რომ კედლის სისქის შემცირება ამ გზათ, უდავოდ, უპასუხებდა გარდამავალი ხანის სურათობძღვრის გემოვნებასა და ტექნიკურ აღლოსაც.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა პროექტის ავტორის პოლემიკური ხელწერის შესახებ. დაბალაბსიდიანი ბაზილიკების ტაბულა, რომელსაც ის ასე ენერგიულად ებრძვის, არ არის შედგენილი საგანგებოდ თიანეთის სიონისათვის, ეს არის ნაწილი იმ მასალისა, რომელიც დაეროვდა ანჩისხატისა და ბოლნისის ბაზილიკების რესტავრაციის დროს და რომლის გარეშე ძველის აღდგენაზე მუშაობა წარმოუდგენელია.

პროექტის ავტორს ეს ტაბულა ოდნავ მეტი ყურადღებით რომ დაეთვალიერებინა, იმას მაინც დანახავდა, რომ არც ურბნისის, არც ანჩისხატის არც ახმეტის ღვთაების და არც სანაგირეს ბაზილიკები, ვერტიკალური შუბლის მოსპობის შემთხვევაშიც კი, ორქანობიანი სახურავით მაინც ვერ გადაიხურებოდა.

მიუხედავად ამისა, ის წერს: „ყველა ამ ძეგლზე აბსიდის შუბლი ან გვიან შუბლი საუკუნეებშია მეორედ ამოყვანილი, ან ატარებს გადაკეთების კვლს“ (დ. მ. № 31—32, გვ. 60). ამის დასამტკიცებლად ის იშველებს განსვენებული აკადემიკოსის ნაშრომს ნაშვილის ავტორიტეტს და მოყვას მისი შრომიდან „კახეთის ხუროთმოძღვრება“ ან კუპიურები. ან როდესაც ტექსტი მას არ აწყობს, მათი მოკლე შინაარსი საკუთარი ინტერპრეტაციით, თუმცა გ. ჩუბინაშვილს არასოდეს და არსად, არც ძველად და არც ბოლო დროს გამოცემულ შრომებში არ უთქვამს, რომ ვერტიკალური შუბლი, რომელიც აქვს ზოგიერთ სამნავიან და სამგელესიან ბაზილიკას, არ შეიძლება არსებობდეს. მას მხოლოდ აკვირებს ამ შუბლის უკან, კონქის თავზე არსებული ბნელი სათავსოს მოწყობის მიზანი. ასეთი სათავსოები მან აღწერა ხაშმის და ახმეტის ღვთაების სამნავიან და შილდის სამგელესიან ბაზილიკებში.<sup>3</sup> მართალია, ანჩისხატისა და ურბნისის ბაზილიკების შესახებ ის წერს:

«Возвышающийся... в Анчисхатской... и Урбнисской базилике над конхой алтаря высокий лоб по всем данным является результатом позднейших переделок после разрушения этих зданий, и следовательно, едва ли может быть здесь учтен. (Арх. Ках. 1959, стр. 63).

ეს ციტატა როგორც მისთვის ხელსაყრელი, ლ. ხიმშიაშვილს მოყვას მთლიანად. მაგრამ ვინაიდან გ. ჩუბინაშვილის აზრი ხაშმის (კაწარეთის სამების შესახებ მას ხელს არ აძლევს განაგრძობს საკუთარი სიტყვებით: „მსგავს აზრს გამოთქვამს იქვე ხაშმის ბაზილიკის შესახებაც“ (დ. მ. № 31—32, გვ. 60).

მაგრამ აი, რას წერს ხაშმის ბაზილიკის შესახებ თვითონ გ. ჩუბინაშვილი:

«...учитывая как отдельные формы, так в особенности внимательно рассматривая оголившиеся от штукатурки с росписью части стен среднего нефа внутри, я вынужден считать формы его, т. е. высоту, наличие лба над конхой, ряд окон по длине, принадлежащими первоначальной поре строительства, как ни странно это создание над конхой пустоты» (Арх. Ках. 1959, стр. 62).

ვანდობ მკითხველს შეაფასოს ამ ორი აზრის იგივეობა!

რაც შეეხება ანჩისხატის ბაზილიკას, „კახეთის ხუროთმოძღვრების“ გამოსვლის შემდეგ, იმავე 1959 წელს, იქაც სარესტავრაციო სამუშაოების დროს, VI საუკუნის წყობაში გახსნილი იყო კონქის თავზე ისეთივე ბნელი სათავსო, თლილი ქვით გამოყვანილი შესასვლელით ჩრდილო კედელში<sup>4</sup> და ლ. ხიმშიაშვილს, როგორც სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს ერთ-ერთ იმდროინდელ ხელმძღვანელს, ეს უნდა სცოდნოდა.

ურბნისის ბაზილიკა კი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ხაშმისა და ანჩისხატის ბაზილიკებთან, როგორც აგების დროით, ისე სხვა მრავალი ნიშნით და პირველ რიგში, გარე კედლების სწორკუთხედში ჩაწერილი აბსიდით, რომ მისი დღევანდელი ფორმები აუცილებლად ძველის განმეორებას უნდა წარმოადგენდნენ. ეს რომ ასეც არ ყოფილიყო, მისი გვერდის ნაგებობისა და აბსიდის სიმალღებების შეფარდება ორკანობიანი სახურავის მოწყობის საშუალებას პაინც გამოორიენავენ

ის გარემოებაც, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე, რკონის ბაზილიკაშიც სახურავის მოწყობის დროს, კონქის თავზე აღმოჩნდა ასეთივე ბნელი სათავსო, ვფიქრობ უკვე ჩვეულებრივ ამაღ ხდის მის არსებობას ყველა დაბალაბსიდიანი ბაზილიკის კონქის თავზე, იმ პირობით, თუ მათი აბსიდი შეერილი არ არის.

ასევე „თავისებურად“ უსწორდება პროექტის ავტორი ტაბულაში მოყვანილ ყველა დანარჩენ ძეგლებსაც და ბოლოს ასკვნის: „...ისევე როგორც ზევით ჩამოთვლილ



სხვა ძეგლების ურთიერთობას თიანეთის სიონთან. კრიტიკაში დასმული საკითხის გადაწყვეტის დროს, ჩვენ აკად. გ. ჩუბინაშვილის პოზიციებიდან გამოვდივართ და მივყავთ სიტყვებით ვუპასუხებთ, რომ:

«Тем более и другие сходные примеры уже более позднего времени (напр. Эрцойский Сион) нельзя считать параллелями, подкрепляющими решения стоящего переди следователем вопроса» (Арх. Ках. стр. 63).

გ. ჩუბინაშვილის წინაშე მდგარ საკითხს არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც გულისხმობს პროექტის ავტორი, ამაში დასარწმუნებლად საკმარისია წავიკითხოთ ამავე რუსული ციტატის დასაწყისი, სადაც ნათქვამია, რომ ხაშმის ბაზილიკაში კონქის თავზე არსებული ბნელი სათავსოს პარალელურად ვერ გამოდგება ვერც აკაურთის და, მით უმეტეს, ვერც უფრო გვიანნი თიანეთის სიონის ბაზილიკები, რადგან ამ ძეგლებს შვერილი აბსიდი აქვსო (Sic!).

როგორც ამბობენ, კომენტარი ზედმეტია!

რაც შეეხება აღდგენის პროექტის დამტკიცების გაჭიანურებას თითქოს ჩემს მიერ გამოქვეყნებული „შენიშვნების“ გამო, მიმაჩნია, რომ ყველას აქვს უფლება გამოთქვას თავისი აზრი, მით უმეტეს, თუ ღრმად არის დარწმუნებული მის სისწორეში. ხოლო პროექტის დასამტკიცებლად არსებობს სამეცნიერო საბჭო, რომლის კომპეტენციაში შედის მისი მიღება თუ არ მიღება.

<sup>1</sup> აღნიშნული მასალა დაეუღია სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს არქივში.

<sup>2</sup> სახურავის დახრის ეს კუთხე მცირეა, მაგრამ მაინც გვხვდება (კონდამიანი კისისზევთან 12°, ხელიშის ჩრდილო სათავსო 13°, მთისძირი ლავოდების რაიონში 8°, მუეალის მაცხვაროში 14°).

განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს თიანეთისა და ხელიშის ძეგლებს, სადაც ჩვენ საქმე ევაქვს აგების დროიდან უცვლელად შენახულ ქანობებთან. თუ მივიღებთ მხედველობაში თიანეთის სიონის უაღრესად არქაულ ხასიათს, რაც გამოიხატება კედლების უზარმაზარ სისქეში, ხალიან დაბალ პროპორციებში, დეკორის ხასიათში, სახურავის ასეთი მცირე ქანობის არსებობაზე გასაკვირველი არ იქნება.

<sup>3</sup> Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб. 1959, стр. 62—63.

<sup>4</sup> რ. გვერდწითელი, ანისხატის ბაზილიკა, კვლევითი სამუშაოების სამეცნიერო ანგარიში, 1959, სპეც. სსს არქივი.

ლ. 3366 ფრ. 1010

316 მოქსოვს ნოხს!

(ეთნოგრაფის დღიურიდან)

ყვირას ქედის წარმტაც კალთებზე ჩაქარგულა სოფელი ჩქვალერი. თეთრი, სპეტაკი კირქვების რიყეში ლურჯ ზოლად იღვრება მდინარე მოროფა და საჩინოსკენ ინწირას ერთვის. ზეუთ ლარამედანი და ჯგალია, ქვევით ჯვარი და ლია. სახელთა ეს სიმფონია ამ დიდებული ბუნების საკადრისია. ვის არ მოხიბლავს აქოჩრილი მუქმწვანე მთები, თეთრად აქათქათებული ხეობები, ხვავრიელი ხოდაბუნები და ფუქმომულელი ნაფუძარები. ქვიშამოყრილი გზებიც თეთრად გადაპენტილან, მზის ოქროცურვილში გახვეული უხვი სიმწვანე და სისპეტაკე ახალამოსულ. შეუწვეველ კაცს ატყვევებს, აჯადოებს. ამ უფლის ხელით დახატულ გარემოში კაცობრიობის დასაბამიდან ცხოვრობენ ძველი კოლხები — ფიფიები, ტანტურიები, მატუები — გამრჯე, მამაცი, ნიჭიერი და პატიოსანი ხალხი. ვის არ შემურდება აქაური სტუმართმოყვარეობა და ნატიფი ზრდილობა, ვაგვაცთა სიმარჯვე-სიჩაუქე და ქალაა მოხდენილობა, დახვეწილი ხელგარჯილობა. სწორედ ამიტომ მივაშურეთ ეთნოგრაფებმა ჩქვალერს. ადგილობრივი საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის შემწვობით მრავალი საინტერესო ექსპონატი შეგვგროვეთ. გავეცანით ზინა ტაგუს ასულ ტანტურიას, ხალიჩების, ნოხების და ფარდაგების ქსოვის უკანასკნელ დიდოსტატს. სამოცდაათი წლის ქალი შრომაში დამდნარა და დაღუულა, მაგრამ საქსოვი დაზგა არ მიუტოვებია და დღესაც ქსოვით ტეხს ღამეებს.

— „მა დოვღურუქი, მინ დოშუს ორხუს!“ — მე რომ მოვკვდები, ვინ მოქსოვს ნოხს! — ჯავრობს ზინა და არც თუ უსაფუძვლოდ. მთელ ამ არემარეში ის ერთადერთია, რომელიც კიდევ ქმნის ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების შედეგებს. შევედით თუ არა მის პატარა, კოპწია ხის სახლში, ერთბაშად მოგვხიბლა ხატოვანმა ფარდაგმა, რომელსაც მთელი კედელი დაეჭირა და ტახტიც დაეფარა. ჩქვალერის მიდამოთა განუმეორებელ ფერთა გამა ბორჯღალებში, ვარდულებში, კლანკილებსა და თევზხუბებში განსხეულებულა. მაგრამ ხელოვანი არ დასჯერებია მამა-პაპათაგან გადმოცემულ ორნამენტთა დაკანონებულ სილამაზეს. მას საკუთარი ფანტაზია გაღვიძებია, შორს არ წასულა, ჩქვალერული მარჩნალი ვეყანი ძროხა გამოუხატავს — გატიკნილი ცურით და კოკობა რქებით, ლეგა თხასაც არჩვივით მოუღერებია ყელი, ნეკერს ეჭებს თუ ციკანი მონატრებია. ძირს ქორბუდა ფაფარდაყრილი ხარირემი და ფურირემია. მათ ქვემოთ ბაღახებში მოხდენილად ფეხებშეკეცილი ნუკრი წევს, გა-



ზინა ჭანტურია

Зинаида Чантурия:

მოუცდელიობის სიმწეიდე დაუფლებია, არბეინადაა. ნამდვილი „ოჯახური“ იდილიაა. ეს წაეი თითქოს ახლახან გამოვიდა წყლიდან, გგონია, სადაცაა ბეწვს დაიფერთხავს. ერთი ყურცქვიტა საკუთარ თათებში განაბულა, მეორე უკანა ფეხებზე შემდგარა და ეთამაშებდა.

თვით ბუნების გულწფელობა და უშუალობა გადმოუცია ქსოვის ჯადოქარს ან ჯებერთელა ფარდაგზე. უმწერ და ძალაუნებურად გაცონდება ფიროსმანი, მართალია ზინას არასდროს უნახავს მისი სწორუპოვარი ნახატები, მაგრამ სახალხო შემოქმედთა სულიერი ნათესაობა, რომელიც ქართველი ხალხის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ღველფივით ღვივის, ზოგჯერ ასე დიდებულად გამოაწუკებს და ერთბელ კიდევ დაგვარწმუნებს, რომ ერთი ხის რტოები ვართ...

ზინას ნახელავი ფარდაგი ამჟამად თბილისის ღია ცის ქვეშ მუწუემს აშწვენებ. როცა გაიგო, რომ მუწუემს სჭირდებაო, უყოყმანოდ დასთმო თავისი მრავალი წლის ნაამგარი.

ზინა ნაბდის მოთელვის ოსტატიცაა. მისი ნახელავი ნაბდები უძღვნეს საბჭოთა კავშირის გმირებს ეგოროვსა და ქანთარიას, მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილს. სამამულო ომის წლებში ზინა ჭანტურია მენაბდეთა მთელ ბრიგადას ხელმძღვანელობდა და საბჭოთა მეომრებისათვის ხუთი ათასი ნაბადი დაამზადა ვინ იცის რამდენი მებრძოლი გათბა, დასველებას და გაციებას გადარჩა ხელმად-



ლიან ჩქვალერულ ქალთა მოხდენილი ნაბდების წყალობით. აქაური ნაბადი, რომელსაც გარედან კულულებად აყრია ხუკუჭა მატყლი, მეტად კოხტა და ლამაზი იქნა და შემომარი, მას სიაზოვნებით ატარებს ბევრი მოქალაქე. ვინც ჯერ კიდევ მცხინვერში იმყოფება, ნული ტანისამოსის ფასი, რა დასანანია, რომ ეს საქმე ჩვენს თვალსა და ხელს შუა ქრება.

